

କୃତି ର ମହାଯୁଦ୍ଧ
ମନ୍ୟରମହାତ୍ମା?

ଶ୍ରୀକୃତି
ର କଣ୍ଠ

ზემობაზ საჩივ

რას მატყვის სამოცდაენთა?..

თბილისი
2022

მთელი სიცოცხლე ჯერ ჩემს მოსწავლებზე ვზრუნავდი (დავაარ-სე ნორჩ შემოქმედთა წრე „ფიფქები“, რომელსაც სამ ათეულ წელზე მეტხანს ვხელმძღვანელობდი), შემდეგ ლიტერატურული სალონი შე-ვქმენი ჩემივე სტუდენტებისათვის (თსუ ზუგდიდის ფილიალის ახალ-გაზრდებთან ვატარებდი ლიტერატურულ შეხვედრებს, საღამოებს, წიგნების განხილვებს...) და აქვე დავაარსე უურნალი „მაფშალია.“

ვიყავი სამეცნიერო შრომათა კრებულების რედაქტორი და ვხელმძღვანელობდი სამეცნიერო განყოფილებას შოთა მესხიას უნივერსიტეტში.


2017 წელს თანამოაზრებთან ერთად დავაარსე სალიტერატურო უურნალი „ებგური“ და დღემდე ჩემი უმთავრესი საზრუნავია ეს გამოცემა.

წელს სიცოცხლეში პირველად ვიფიქრე, რომ კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში („მწერალთა ხელშეწყობა“) მიმედო მონაწილეობა და თუ გავიმარჯვებდი, დამებეჭდა ჩემივე უყურადღებობით გაფანტული საკუთარი ლექსები.

ა ეს კრებულიც.

მადლობა მეგობრებს, რომლებმაც მივიწყებული ლექსები მომაწოდეს.

ავტორისაგან



სახარისავის
რელიგიური,
და ახალგაზინდობის
სამინისტრო

ქრისტული იბეჭდება ქონქურსის – „აზალი ქართული
წიგნი – მწერლების ხელშეწყობა“ – ფარგლებში, რომელიც
გამოაცხადა კულტურის, სპორტისა და ახალგაზინდობის
სამინისტრო.

© ზეინაბ სარია, 2022

რედაქტორი დალილა ბედიანიძე

მხატვარი ნინო სარია



გამომცემლობა „სარია“, 2022
ISBN 978-9941-493-64-5

მრჩევასი

მწამს სიტყვა –
შუქის კულული –
რომელიც მომეცი
და როგორც მომეცი,
გავბედე და ისე მივიპარე.
რაოდენი ძალიც მეყო,
რაოდენის დატევაც შევძელ,
ჩავისუნთქე, გავნათდი.
ვიხილე ჩემი თავი
გამჭვირვალედ
და მომერიდა.
სასულედან სული ამომდიოდა
და კვლავ ჩამდიოდა.
შენი უცხო ენერგეტიკით
სხეული განვიახლე.
რაც საცნაურვყავ,
ქალალდს მივეცი.
რასაც ვერ მივხვდი და
გამიუჩინარდა –
მეპატიოს.

* * *

თვალსაწირში თვალუხლები როგორ შემოვა?
ამიტომ ასე: ფიქრსაწირის ბინადრებს მოგესალმებით.
ფიქრის თვალით ჩანხართ ყველანი.
ფიქრი კარს აღებს ჩვენ შორის და
ფიქრში ხართ ყველა.
განიხვნებიან კარები.
ოთხი მხარე ცოცხლებისაა.
აი ისინი კი
ამოდიან მეხუთე
და ჩამოდიან მეექვსე მხრიდან.
მეშვიდე ჩემია –
საკუთარი შინასკნელი.
გვხედავენ და გვფიქრობენ და
გვიციან.
ჩვენ მერე ესეც შეწყდება და
განახლდება
ჩვენსა და შემდეგ წარმავალთ შორის.
რიტუალია ამგვარი, –
გამხსენებლები სანამ არიან.
შემდეგ სადა ვართ?
რომელ მეტამორფოზაში?
(მეტამორფოზა კი იგივ ფარდაა).
ვის გაუთქვამს, რაც არ იცოდა?
გაუვალი საიდუმლო – ფარდასავით.
ფარდა – აკრძალვასავით.

მუდმივია მკვახე ვაშლის მისტერია.

მსგავსება

ნიავი რომ ჩამოგიდუმდება
ყოველგვარი დირექტივის მიუღებლად, თავის ნებაზე,
მზის სხივი რომ დაუძვრება ათას ფოთოლს
და ხელისგულზე ნებირად ჩამოგესიტყვება,
დაუკანონებელი რომ მოვა წვიმა,
ჩამოუსხლტება შუბლშეკრულ ლრუბლებს მოულოდნელად,
წინასწარი განზრახვის გარეშე რომ წკრიალებს
ფანჯარასთან უცნობი ჩიტი,
უბატონო და უბრძანებელი, მოუთმენელი უცხო წკრიალით,
სათითაოდ რაღაცნაირად მემსგავსებიან.

არანაირი ვარჯიში და წვრთნა რომ არ უნდა,
ისე რომ მოდის მოუთმენი გათენებები,
მოუთმენელი წყურგილე რომ ამოსკდება
მანდატურის ჯოხის გარეშე,
მოუთმენელ ფიფქებსაც რომ ვერავინ ძალით
მაღლა ვეღარ შეატრიალებს,
ივნისის ღამეს ციცინათელა რომ გაკრთება
მოუთმენელი გამოკრთომით
(და რომ არა ეს გამოკრთომა, ხოჭო რომ არის)
და ვერავინ მოახერხებს მისი ციმციმის რეგულირებას,
სათითაოდ რაღაცნაირად მემსგავსებიან...

0ყო და აჩა 0ყო

იყო და არა იყო,
არა იყო და იყო:
შენმა ხმამ გამოისხა უცხო ტყე,
არასდროს ფეხი რომ არ შემეღვა,
შრიალითა და შიშით სავსე,
გამოუცნობბილიკანი.
ბილიკი ფეთებით გარბოდა სილრმეში,
სად წაგვიყვანდა, არ ამხელდა,
მაგრამ წერა ასე წერდა და წავბილიკდით.
მივდიოდით,
მივძნელბედობდით,
მივიმსხვრეოდით,
წუთისოფლის უნამუსობებს ძვლებჭახაჭუხით ვეფშვნებოდით,
მაგრამ ზედვე იმ ნამსხვრევებზე
დაფლეთილ ტერფთა შუაგულიდან
ამოჩუმდებოდა იმედის წყურგილე,
ამოიმედდებოდა,
გაგვაიმედიანებდა,
წა-წაგვა-წაგვაიმედებდა... სხვა მსხვრევებისკენ.

სამი ვაჟი შემოგვეგება
და სამივე სწორედ ისეთი,
გული სამად ხომ არ მექცაო, დაგაფიქრებდნენ...

...ახლა ვაჟებს უშრიალებთ ხმაში იგივ ტყეეიდუმალი
და თანამგზავრს უშლიან ფეხქვეშ მორბენალ ბილიკს.

* * *

პოეტებს – საკუთარ თავში ჩაგროვილ ადამიანებს –
ისე შეიცნობ,

ოკეანეში

როგორც

ჩადიან.

მათ თვალებში ისეთი კადრებია ჩაძირული,

გული წამთა იმგვარი გაელვებებით უცემთ,

თითოეული რაღ-რაღაცას რომ აშკარადყოფს.

აკვალანგები

(მთელი შენი ჩაძირვების გამოცდილება) უნდა მოირგო,
სილრმიდან მარჯანს

(მთელ მათ გამოცდილებას) ამოიტან

და შენადყოფ (ან სულაც ვერა).

ჩაგ-ჩავწიალდეთ რუსთველსიტყვაში.

„ვარგი“ თუ ვართ, „ვივარგოთ“ და

ორივე პეშვით სიბრძნე ამოვაჯავარიანოთ.

აი ერთი მარგალიტი:

ერთწამიან სიზმარში ვმყოფობთ,

სხვა რაღაა წუთისოფელი? –

წუთიც კი არა,

წყვილი დარტყმა გულისა: „დუგ-დუგ!“

წამი, „წამწამის მსწრობელი“ და

სხვა არაფერი.

და სულ ერთ წამში,

სულ ერთ წამში,

იაქე წამში

რა, რა შე-შეაბრუნებს მტრობას ძმობაში,
ზიზლს – სიყვარულში,
ბნელს – ნათელში,
მდაბალს – მაღალში?!..
ეგ მარჯანი ხომ ვაჟას აკვატორიაშია,
ჩაყვინთავ და ამოგვიმარჯანიანდები.

სივრცეში სივრცე მყოფობს გალაოკეანეში,
ეფემერაში – ეფემერა,
ნისლში – ნისლები.
თოვლში თუ შეხვალ, რომ ესტუმრო პოეტთა მეფეს,
(თუ იცი-მეთქი თოვლში შესვლა, ამას ვგულისხმობ),
თოვლის სტიქის ბინადარსაც იქვე დალანდავ
და ფიფქებს შუა ამოგყვება გალამარჯანი, –
აქ ისე ფრთხილად,
ისე ნატიფად უნდა მყოფობდე,
თოვლის ზღაპარი რომ არ გექცეს ნესტის სისველედ...
აი გალაოკეანის იდუმალება:
იმდაგვარია პოეზია,
თუ სინატიფეს გადასცდები,
თოვლი წურნურით
ჩამ-ჩამო-ჩამონესტიანდება
და იმასაც ერთი კარგი მიხვედრა უნდა,
თოვლში ხარ თუ სისველეში ხარ.

ის კი რაშია, ვინც შეაცივდა ზეცას თვალებით,
ვისაც თვალებში ცა ჩაუვიდა,
ვინც ცით აივსო?..
ვისაც წილი ალარ უდევს არც სიცოცხლეში
და არც სიკვდილში, ღმერთო ჩემო, და არც სიკვდილში,
არც ერთში, არც მეორეში,

მესამეშია.

უსხეულო სიცოცხლეში?

სიცოცხლით სავსე სიკვდილში?

სიკვდილლექსშია?

ლექსმარადში?

ლექსადფეთქვაში?..

რაა მესამე?

რაა,

რაა,

რაა მესამე?..

ან რას ამბობს,

ვინც შეაცივდა ზეცას თვალებით?

ორივე ხელი მუცელზე აქვს შემოჭდობილი

და იცინის,

კვდება სიცილით,

პოეტები ციყვებივით როდი ხტიანო

სოფელ-სოფელ და ქალაქ-ქალაქ

აპლოდისმენტთა საგროვებლად,

აი, რას ამბობს.

.....

პოეტები – საკუთარ თავში

ოკეანედ ჩაგროვილები...

გხა

ამ გზამ ზოზინი დაიწყო უკვე,
ამ გზას, თითქოსდა, ჩაუქრა ღიმი.
ჩემი ნაბიჯის შეხება უკვირს,
გზისქვეშ, თითქოსდა, მიმალავს მღვიმეს.

ვის გამოურბის ჩემკენ ფეხები?
ვის უხარია გზად ჩემი ყოლა?
ვისი ბრაზისგან დაიმეხება
გზა, ჩაინგრევა და ჩამიყოლებს?

გზაზე საფრთხე ზის თუ სიხარული,
სიხარული ზის თუ საფრთხე გზაზე?
თუ წყვილად მოვლენ სწრაფი მხარულით
ბედისწერის და სიცოცხლის ხაზით?

რაღაც უკმეხად და რაღაც მქისედ
გზამ უთვალავჯერ გამიმეორა:
– ან ეს არის და ან კიდევ – ისა,
ხან ერთია და ხანაც – მეორე.

* * *

როცა მილანიდან ვბრუნდები,
ბერლინიდან ვბრუნდები,
ვენიდან ვბრუნდები,
ათენიდან ვბრუნდები
და კიდევ ორიოდე
მართლაც ციცინათელათაგულა ქვეყნიდან, –
შვილმა რომ მამოგზაურა
ამ ბოლო წლებში, –
დაშვების მრუდს მოხაზავს თუ არა თვითმფრინავი,
ქარგამოდევნებული ნისლივით
სად იფანტება ისტორიების პათეტიკა?
გული ყრუდ რად მეკანრება,
როგორც უცები ელვა გაკანრავს
შუალამის შორ ღრუბლიანებს და
ტრაპიდან ფეხის ჩამოდგმისთანავე
რად მეკიდება წამნამებზე
ცრემლის კანკალი?..

* * *

წინაპრების ძვლებითაო... მითი როდია.
მართლა ისეთი პატარაა ჩემი ქვეყანა,
რომ წაფორხილდე
და დაეცე,
ქვევიდან ხმა მოგესმება:
– ადე,
წაქცევა მერეც გეყოფა!..

* * *

გამოველ გარეთ,
საქართველოში საქართველო შემეგრძნო.
თვალს მივეც ცოტა დასანახი –
სახემწუხარე ქალები, კაცები,
პოლიეთილენის პატარა პარკებით.
მცირეოდენი სურსათი მიაქვთ შინისაკენ,
დღევანდელი სადილის სამყოფი.
მაცივარში შესანახი, ალბათ,
არც რა იქნება.
ყურს მივეც ცოტა მოსასმენი –
ისტერიული სიტყვა-პასუხი,
გულფიცხი თქმები,
თან მობილურზე საუბარი
ნაწყვეტ-ნაწყვეტად,
მგონი, ვიღაცას ედავებიან.
ეგ ყველაფერი გულს მივეცი შესაგრძნობად და
გულმა ამოთქვა:
– რას ფორიაქობ,
რა გტკივა,
ან
რა გემართება, საქართველო?!.

პაზლის აჩქმება

საჩინო ქვეყნიდან
ხელჩაჭიდებული მიჰყავს შვილები
ზღვარამდე,
მერე უჩინარდება...
ახლა ამ შვილებს მიჰყავთ შვილები
ზღვარამდე,
მერე უჩინარდებიან...
ახლა ამათ მიჰყავთ შვილები
ზღვარამდე,
მერე უჩინარდებიან...
უჩინარი
უჩინარყოფს
და ემზადება
სხვების უჩინარსაყოფად,
რომ მარადისი საჩინარგვიყოს.

* * *

ათასწლეულთა ნელ სუნთქვაში დრო მომდუმარებს,
მდუმარებას კი ბრძენთა ბრძენის უჩანს თვალები.

მოირდვევა ყოველივე და ფორმას იცვლის.

ფორმაცვალების მისტერია გვმფარველობს ყველას.
გვმფარველობს ღვიძლ დედასავით.

დედის ტკბილი ალერსივით
(დე, ჩამიხუტე და დამმალე!..)

საბურველად გვეფინება
და იმას იქით ალარავის შეგვეხედება.

დავაფრიალებთ კითხვის ნიშნებს
არცოდნისანი.

გაჩენა-გაუჩინარებას შუა თვალია,
მანამ და მერე – არა.

დრო მომდუმარებს.

მდუმარება თვალგაუვალი საბანია,

თოვლივით ფარავს ყოველივეს –

სად ამოენთო ერთგულების იასამნები,
და სად დალატის ჩაიპო მიწა,

სად გაფართხალდა შურის ყვავი,

გამჭვარტლა ზეცა

და კიდევ, კიდევ ბევრ რამეზე დრო მომდუმარებს.

ფორმაცვალების მისტერია გვმფარველობს ყველას,
მდუმარებას კი ბრძენთა ბრძენის უჩანს თვალები.

* * *

ისე ჩასკუპდა გუბეში მთვარე,

თითქოს, თავისი იპოვა უბე.

გუბე არ არის იმისი ბინა,

ბინა არისო, გვარწმუნებს გუბე.

ღმერთო, რა ერთი ჩახარხარება
მუჭს მოვიგუბე!..

ჰას მეტყველის სამოცდამებთე?!

„ყოველ ასაკში ისე უნდა შეხვიდე,
როგორც უცხო ქვეყანაში.“
/შიგნით გაგონილი/

თვრამეტი ვიცი:
საიდანლაც (მგონი, ისევ შენივ სილრმიდან)
ამოფრენილი,
ჩამოსახოცად განწირული და
ღრუბლებს თავშეფარებული
ციმციმებიდან,
ვერავინ გეტყვის, რას გადაარჩენ.

ოცდახუთის ის ვიცი, რომ
სნაიპერული ოსტატობის
ხდები მხილველი.

ორმოცი ვიცი:
ამოგსვლია ნედლი ტოტები
და ცდილობ, იმათ ააცილო
ნაცნობი ხვედრი.

ორმოცდაათი ვიცი და ვიცი:
ყური ბევრად მახვილია,
თვალი – მხილველი,
უღელს სიმძიმე ემატება,
გულს – არითმია.

სამოცი ვიცი:
მიაცილებ, მიდიხარ,
გტკივა.
მაინც აქა ხარ.

და ეგ სამოცდამეათე კი?
ეგ რას გამიმხელს,
ამან რა იცის, ნეტავ, ჩემზე,
რა გამიმზადა?..
რას მეტყვის სამოცდამეათე?..

‘შჩინაჲმყოფი’

მიზანში ჰყავდე –
ზუსტ მსროლელს ჰგავს,
მისი ჟინია, –
მაგრამ რომ არ ჩანს,
არც ფიქრობ და
არც გეშინია.
ის კი მოგირდვევს
ცის და მიწის
საზღვარ-ნაპირებს
და არვინ იცის,
რაც გულში აქვს,
როდის აპირებს.
დააცლის განა
უცხო წკარუნს
ოცნების ბროლებს?
ის მოვა ერთხელ,
ერთადერთხელ
და წაგიყოლებს.

...

* * *

წაილილინა სადღაც ახლოს მეზობლის ბავშვმა
და გამახსენდი.
ეგ სიმღერა რომ გმღეროდა,
ირგვლივ ჰაერი ცახცახებდა
და იმ დენდაკრულ ახლომახლოში
ჩვენც რაღაც უცხოდ გვაცახცახებდა.
ჩაირბინა იმ სიმღერამ და იმ ცახცახმაც.
ახლა ჩვენც სხვა ვართ და ეს სიმღერაც.
ერთი სიმღერაც, თურმე, ორჯერ ვერ გმღერის, ვერა.
ის, კარგა ხნის ჩამღერებული, შენს ხსოვნაშია,
ხმოვანებს როგორ, გეხეთქება შორი სიღრმიდან,
მაგრამ შენ გარდა არავის ესმის.
თითქოს, ხსოვნის ონკანს მოძვრა
რაღაც ჭანჭიერი
და სადღაც შიგნით მონატრება მოთქრიალებს შეუჩერებლად.

* * *

მოდი, დავიმალოთ მეტაფორაში:
ეს ღამე წინწკლა კალმახია,
ნატვრის ამხდენი.
შეხე, როგორ გვენიაზება,
ფანჯარაში როგორ ფართქალებს!..

გამშველებელი

გამშველებელს მოხვდებაო, ამბობს ანდაზა.
შესაბამისად, გაშველებას თუ არც იფიქრებ,
საფრთხეც არ მოგიახლოვდება.
მაგრამ თუ ორნი უთანხმოების
ქარბორბალაში გაეხვევიან,
ოი, რა ღვთის წყალობაა
მხსნელი მესამე...
ჩემი ლოცვა შენ,
შენი კვნესამე,
მტრობაში შველად მოვლენილო
მესამევ.

* * *

ზეცამ წვიმა გვიფეშქაშა,
გვესმა, რაიც ზრახვამ კემსა,
კურთხეული უგეთი გვხურავს,
ღრუბელს სცვივა ბახის მესსა.

არც რა მე და არც რა შენა,
ზრახვამ კემსა, რაიც გვესმა,
კურთხეული უგეთი გვხურავს,
ღრუბელს სცვივა ბახის მესსა.

სიყრებისა

სმენაახსნილი ყრუები იყვნენ,
ესმოდათ, მაგრამ ერთმანეთის ვერა გაეგოთ.
ამბობდნენ,
ამბობდნენ,
ამბობდნენ... არაფერს.
ორივ მხარეს ჭკვიანები თუ იქნებოდნენ,
ყრუებიც კი მიაღწევდნენ გაგების სიბრძნეს.
ეს აშკარაა.

განვაგრძოთ ფიქრი:
ამათი იყო ჭკვიანური თუ იმათი?
თუ ესენი ბრიყვები იყვნენ,
ისინი კიდევ – ჭკვიანები,
გასაგებია, ყრუდ ქცეოდნენ ერთიმეორეს.
მაგრამ...
თუ ესენიც და ისინიც ბრიყვები იყვნენ,
მაშინაც ხომ მაგ ყურებში
ხმაურიანი უაზრობა ჩაუდგებოდათ?
მეორე იყო თუ მესამე?..

პატგად დახელოვნებული ლაპიბი მსახიობი

ამოლესილი ლობიო უდგას წინ და
სინამდვილეში ნანატრ საცივს აგემოვნებს.

მობეზრებულ ლობიოს კი არა,
ციდან ხელები საცივს აწვდიან,
კულინარული ოსტატობით მომზადებულს.

ლობიოში ამოვლებული ლუკმა მიაქვს
პირისკენ და
ინდაურის ხორცს მიირთმევს
რა მადიანად!..

– უჰ, უჰ, რა გემრიელია! – ფიქრობს
ხელების მისამართით
და აჩენს თავის მაგიდაზე
ყველა ნანატრ კერძს
სათითაოდ.

ზევით მადლობას ააგზავნის, აილოცება:
– გმადლობ, ღირსი რომ გამხადე
შენი წყალობის,
გმადლობ მეფური სადილისათვის!..

გ0ნ0გ0გ0

* * *

რაც გალმა-გამოლმა დავრჩით,
მხედავ?

* * *

სიცოცხლის ძალა სიტყვაში თუ გადაინაცვლებს,
ის პურია,
პური კი ყველა მშიერს ეკუთვნის.

* * *

დიდხანს რომ უსმენ,
ამდენი ხნის მალვის შემდეგ
ზღვას აქვს თავისი
წამონაცდენი.

* * *

რა ცოდვაა ადამიანი,
ვინც სავსე ეგონა,
სულ ცარიელს,
სულ ფუტუროს რომ აღმოაჩენს,
ქარი რასაც გასწივლებს,
თურმე, იმას რომ ამოიტყვის!..

საზოგადო ფოტოგლობი

ისინი რომ კადრს მიღმა გავლენ,
ესენი შემოდიან.
მიღი-მოდიან...

* * *

როცა დარდი ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა,
ჰო, ვერ აიცილებ,
მაგრამ როცა დარდი არ მოდის,
გამოგონება რა აუცილებელია?..

* * *

როცა მეტი იქიდან გეძახის,
ვიდრე აქედან,
მიღიხარ.

სატელევიზიო ბათქიბუთები

სოკოებივით მრავლდებიან
სატელევიზიო არხები:
ბახები, ბუხები, ბახა და ბუხები,
თრახები, თრუხები, თრუხა და თრახები...
დარახტულია სიტყვები და
დახტა და ახტა და რა ახტა:
ბომ-ბომ და ბუმ-ბუმ და ბამ-ბიმ და
გრუხ-გრუხა, ბრუხ-ბრუხა,
დარახტა-დარახტა...
უძვლოა ენა, სიტყვიანად
განიძარცვებიან შუქთაგან,
უქადა, ბუქადა, მუქადა, თუქადა,
გლიჯა და ლრიჯა და მოიგდო, უთაქა...

* * *

მიიცვალა სიყრმე,
გავხსენ ლოცვად ბაგე,
რამდენადმე იქ ვარ,
რამდენადმე – აგერ.
ყოფნა რაა? ნელა
აპარგება ლამის,
ვინძლო, მიხსნას ლექსმა,
ამინ!..

* * *

მე ვარ ხანი მოკლე ხანის,
შუა წამი დილა-ლამის,
კენტი ვარ და თან ვარ ჯამი,
ბოლო ვარ და დასაბამი.

* * *

სიშორე სიახლოვეს ცნაურდება.

* * *

სიწმინდე ჯავშანია.

* * *

ვზი.
ფურცელი შემომქათქათებს.
მატყუარა სიტყვებს ვიგერიებ.

სკლივილი

ვაი, ტყუილი როგორ გვიყვარს ადამიანებს,
თან რა ხალისით ვეჯიბრებით ერთიმეორეს!..
სუულ ცოტათი, სუულ ოდნავ რომ ვიცრუოთ?
თმას შევიღებავ, ვარცხნილობას შევეფარები,
ხომ არ იქნება დიდი სიყალბე?..
მეტი ინტენსივობის ტყუილიც ვიცი:
ბოტოქსის ინექცია შუბლზე,
წარბებს ძორის, თვალის ირგვლივ,
ცხვირისა და ტუჩის არეში...
ექვსთვიანი დიდი სიცრუე,
რომელიც პერიოდულად გამეორდება.
თვალსა და ხელს შუა იპარავ წლებს,
ასაკი ხდება გამოუცნობი.
სხვა რა არის თვალთმაქცობა
ნებადართული?
რაც მეტს იტყუები, უფრო მოსწონთ
და არსებობს ამ საქმეში დახელოვნებაც.
ხოლო თუ შენ ეგ არ გინდა,
უბრალოდ, თუკი არ გსურს ეგა,
ყოველი ამვლელ- ჩამვლელი
ჭკუას გასესხებს,
როგორ უნდა იღებებოდე.
ირგვლივ ყველა იღებება,
გამოგვიჩნდი ახლა ერთობ ნატურალური!..

ეს ყველაფერი შეიძლება სულ სხვაგვარადაც
შეტრიალდეს:
აბა, მითხარით,
ასეთი სახე რა სიმართლეა!..
სულ არაა არაფრით ჩემი.

ცხოვრებამ ჩონჩხზე რაც ჩამომაცვა,
რაღა ჩემია!
მე იგი უნდა ჩემად ვქმნა და
ჩემად ვაქციო.
ტუჩს გავიდიდებ,
ცხვირს დავიმოკლებ,
წარბის მიკრობლეიდინგიც მე მელოდება
და ათასი რამ...
ის ვიქნები, რაც მინდა.
აი ეგ არის ჩემი სიმართლე.
მზა ფორმები თუ აღარ მომწონს,
რაღა ჩემია?!.
როგორსაც შევქმნი საკუთარ თავს,
მეც ის ვიქნები...
...და ახლა როგორ?..

ხევ

მინის ნაგლეჯო ნაგლეჯებში,
მინის ნაფლეთო ნაფლეთებში,
რა ხმამ ჩაგდახა, დაგეძებო,
რა ფეთითა ხარ ნაფეთები?..

დაუხსომებლად დასახსომი,
დაუვიწყებლად დანავიწყი,
რა იქნებოდი, მინისაო,
რომ არა ის ხმა არამინის?..

ჰოცა აივნილან ცას ასტერი

ცის მოლბერტზე მზე განელდა ელდებად,
ლრუბელ-ლრუბელ ტილომ სახე ინაცვლა,
ქულა-ქულა იწყო ჩამოგედება,
ტაეპ-ტაეპ-ტაეპ ჩამოიმარცვლა.

ყველაფერი ნელა-ნელა იწყება
ანიდან და ბანიდან და განიდან,
ხოლო იმას, უცხო თავდავიწყებას,
თუ თვალს მოჰკრავ – ლექსის ჭუჭრუტანიდან.

საღამო. ბაზი. ჩადილები

მზე უოლოსფრად რომ გაზავდა ტოტებში,
აჩრდილები გამოცოცდნენ ჩრდილებთან,
ჩრდილებს ესმით გარინდების ნოტები,
ყველა ჩრდილი უთქმელობას მინებდა.

მომდუმარებს მდუმარების ნოტები,
შეაერთა გამოლმა და მიღმეთი,
რა აჩუმებს ბალს გასუსულტოტებას –
სადღაც დადის მდუმარების ქალღმერთი.

მოჩვენებებს სუნთქვა შეუწყვეტიათ,
ხემს მოსწყურდა ვიოლინო უსიმო
და ეს ყუჩი ყუჩი ისე მეტია,
მოდი, სადმე ჩამოვსხდეთ და ვუსმინოთ.

სასაფლაოზე

დაუძლეველი დუმილით დავდუმებულვართ,
გაუგებარში დავმკვიდრდით მოუბრუნებლად,
ნუ დაგვივიწყებთ, გვახსენეთ იქ თქვენებურად,
გვყავდეთ უვნებლად, ჩვენებო, გვყავდეთ უვნებლად.
დახეთ ბუნების გადაბრუნ – გადმობრუნებას!..

* * *

მოვალო და...
მყისიერად გაიშალნენ მაგნოლიები,
ლოდინის წრეში დააკმიეს თავბრუსხვევა...
ყოველი ზარი მისი ჰერნია.
ამასობაში მეზობელმა ასანთი სთხოვა,
მათხოვარმა – ხურდა,
ფოსტალიონმა ძლიერ ნაცნობის წიგნი მოართვა,
ვიღაცამ კიდევ მის ბინაში სხვა მოიკითხა...
ჩქარა, ჩქარა!..
მაგნოლიების სურნელის ძალით
ყოველ ზარზე კარს ასკდება,
იქ კი...
მაგნოლიებმა თავი ჩაქინდრეს...

* * *

ვერაფერს წაილებო,
არაფერი მიგაქვს, მაგრამ...
ყველაფერი მიგაქვს.
შემოხედვა მიგაქვს,
გალიმება მიგაქვს,
რაღაც უცხო სიმის თრთოლა
ხომ მიგაქვს და მიგაქვს;
ხმაში ფეთქვა უასმინების,
რომ ჰგავს ათას იგავს,
და შეხება... ნიავ-ნიავ
შებედვას რომ გიგავს...
არაფერი მიგაქვს, მაგრამ...
ყველაფერი მიგაქვს.

* * *

ღმერთო, მომეცი ძალა,
სამას არაგველზე როცა ვსაუბრობ,
არ მომელანდოს მათი თვალები,
რვალზე უმტკიცესი ფიცით ანთეპულები,
ფშავების, ხევსურების, არაგვისპირელების
თვალები,
საბედისწერო გიზგიზით სავსე
და ჩემი სტუდენტების თვალწინ არ ამაცრემლო!..

ოცდამერთეშიაც

ამ ჩვენს ოცდამერთეშიაც შეიძლება
სახელმწიფოს მმართველს ესიზმროს
იმპერიული სიზმრები,
გაავებული ურჩხულები გადმოსვას სიზმრიდან,
(სულ ბირთვული არა და) კასეტური ბომბები
(ნინა ასწლეულების შეზღუდული სამხედრო შესაძლებლობა
რას მოვა დღევანდელთან?..)
ქოლგებივით დააფაროს შენს ქვეყანას და
ციდან სიკვდილები გიგზავნოს;

ამ ჩვენს ოცდამერთეშიაც შეიძლება
ადამიანის გამაფარჩაკებელი ომი
გადმოკიდოს „ცა-ფირუზიდან“,
უმწეოპყოს სახელმწიფო, რომელსაც არა აქვს
ასეთი და ამდენი იარალი,
ოჯახები, რომლებშიც თბილი სადილები მზადდებოდა,
ჩიტების ბუდეებივით მიშალ-მიშალოს,
მათი სახვალიო გეგმები ქარბორბალას მისცეს,
კვამლად აქციოს და
ციდან სიკვდილები გიგზავნოს;

ამ ჩვენს ოცდამერთეშიაც შეიძლება
ასე გამაბითურებელი,
კინწისკვრით უმწეობაში მიმაპანლურებელი ომი
წამოგინწყოს,
მავთულხლართებით ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიღობოს შენი ქვეყანა,
შეგიშინოს ის, რასაც ცივილიზებულ სამყაროს არქმევ,
რადგანაც იმ ურჩხულებს მის ფანჯარაშიც
შეუძლიათ შეგრიგალება და...
ციდან სიკვდილების გამოგზავნა.

დამლაგებელი

მთელი სიცოცხლე ალაგებდა სამყოფ-საცხოვრისს,
ალაგებდა მონდომებით,
ქანცის წყვეტამდე,
ასუფთავებდა, აკრიალებდა ჯერ თავისას,
შემდეგ – სხვებისას,
მისი მოპილურის ნომერი ჰქონდა თითქმის მთელ ქალაქს,
ცხოვრებისაგან განებივრებული ზანტი ქალები,
ზარმაცები, მცონარენი, უქნარები
ურეკავდნენ და მიიხმობდნენ შინ სამუშაოდ.
დალაგებაში დაჟყო ქალმა მთელი ცხოვრება
და ახლა, როცა თავშესაფარში ელოდება ბოლო სტუმარს
და კარგად იცის, არვინ მოვა გარდა იმისა,
ზის და მის თავში განივრცობა მთელი წარსული...
წარსულიც, თურმე, უნდა ალაგო.
ისიც ალაგებს მოგონებებს
მშვიდად,
უწყინრად...
ამოზიდავს შორი ხსოვნიდან მავანის სახეს,
მიესიყვარულება, უამურ მტვერს გადააცლის,
წყენებს გარეცხავს, გამოწურავს და წყალს გაატანს,
იტოვებს მხოლოდ ჩუმ სიკეთის გამჭვირვალებას,
შემდეგ მეორეს გადაწვდება, გააწკრიალებს
და ასე ჩასვამს ხსოვნის კალეიდოსკოპებში.

კამკამებს მისი საბოლოო მოგონებებიც...

ალცჰიმია

ვერც ვიფიქრებდი,
თუ ერთ დღესაც ადამიანს
სიმაღლე-სიგანე შერჩებოდა,
აი სიღრმე კი გასაკვირად გაუქრებოდა.
მე რომ სიცოცხლით სავსე მეგონა,
რა საცოდავად ამოღრუნტულა!..
აორთქლებია ყველაფერი,
სხეულის შიგნით რაც არსებობს.
აღარც გული.
აღარც ღვიძლი.
არც ხერხემალი...
ცნობიერება, თითქოს, შუქივით გაუთიშეს
და ჩაუბნელდა სრულად წიაღი.
შიგნით სრული ყიამეთია.
შიგნეულობა არარამ შთანთქა.
სხეული ზუსტად იგივეა,
მაგრამ შიგნით არაფერია,
რითაც ადამიანად ვიწოდებით.
ახლა რაღაცას გეუბნება?
წამში ამ სიტყვებს ქვევრში ჩაძახებულის
ეფექტიც კი არ ექნება,
სულ უბრალოდ – არც ეხსომება.
შიგნითა უკვე განლეულია,
გარეთა დარჩა ფიტულივით.
არის – არ არის.
ღმერთო, რა საზარელი სიკვდილია,
რა უცნაური!..

შელოცვა

დღევანდელ მე-ს როგორც გადმოუშრიალდა
გუშინდელი
და წაჩუმდა საშრიალეთში
თივთიკის ქსოვილის სიფაფუკით,
ისე ჩუმჩუმად,
ნამცეცი შიშიც რომ არ უგრძვნია...
შიგნით და გარეთ
ასე აწესებს ყოვლის გამჩენი –
წავა წამსვლელი, რჩება დამრჩენი.
გუშინდელი მე
ფუი, გააქრე!..
აქ მისახვედრი რაა ამდენი?
ნუ გაგვეცლება მე დღევანდელი.

გასაღები

ყველაფერს სჭირდება გასაღები.
უიმისოდ ვერც სახლში შეხვალ,
ვერც ლექსში,
ვერც სპექტაკლში
და ვერც ფერნერულ ქმნილებაში.
მარკეტი რომ მარკეტია,
იქაც კი ვერ შეიხედავ,
თუ არ გაგიღეს.
როდის იღება ცირკის სალარო?
როდის იღება აგრობაზარი?
როცა მოვა გამღები გასაღებით ხელში.
და ეს ლექსი როდის გაიღება?
როცა მკითხველი მოჩერეკს ტექსტში
მის გასაღებს – საამისო ესთეტიკის საცნაურ მარცვლებს.
დახეთ, აი ამ უბრალო ლექსშიც ესთეტიკაა:
ინტონაცია – ბუნებრივი,
ემოციურად – ძალიან სადა,
ტემბრი – თბილი,
რეგისტრი – ჩუმი, სასაუბრო,
ხატოვანება – მინიმალური,
პათოსი – სულაც არსად არ არის.
ვიღაცა იტყვის – ძალგამოცლილი სტრიქონებია
და პათოსიც საჭიროა ზომიერადო.
ჰოდა, იცოდეს, სხვა გასაღები წამოჰყოლია,
აქ ვერ შემოვა.

ფიქტურული

რატომ არის უცილობელი,
შეღამება იყოს ზღაპრული,
მისი განუყოფელი თანმხლები – მთვარე –
უზღაპრესად გადაზღაპრული?!.
ჩვეულებრივი საღამოა, როგორც შესაქმის
პირველ დღეს იყო,
უბე გაგვიხსნა, შეგვიკედლა, შეგვიპატიუა...
ჩვეულებრივი მთვარეა და
შუქი უცვივა უთავებელი...
ჩვეულებრივი, წეტავ, რაღად გვეცოტავება?
რატომ უნდა ამოვავლოთ ჩვენი ხედვა კარამელში?
საღამოს რაღად მივაწებოთ ცრუ მაქმანები?
მთვარეს რატომ მივაკინძოთ ნაქარგობანი?
სამყაროს რატომ დავაკეროთ მოზაიკები?..

გავწმინდოთ ხედვა ორნამენტთაგან:
საღამო არის სწორედ ლურჯად მირონასხმული
და მთვარე – ლურჯზე წრეში ქარვისფერისმატება...

* * *

ზღვავ, თუ ენა დაიდუმო,
აი ჩემი საიდუმლო:
„ნათა ნუთა ნუთათუთა,
თაინუნლო ნაინუნლო.“
მუღამისფრად დაფარჩულო,
დის სწორო და ჩემივ რჯულო,
მომე ყური, გიჩურჩულო:
„ლულო ქულო ფიცურჩულო.“
ნურავისთან, ჩვენსა დობას,
იჭორავებ ჩემზე, ვაჰმე!..
გოგო ვარ და ნუ გამამხელ:
„ახელ მახელ თუქამქახელ...“

* * *

ეგ ღამე რა ღამეა, ვინ იცის,
სიდან სად მოღამევიდა?
ეშმად გამოექცა გეენიას,
თუ ლოცვად მოდის ზევიდან?
იქნებ, ავსულები ამოსხა,
შავად შემოსა და ჩაბურა,
შუაგულ ღამეში ვეხვევი,
ღამე მიგია და მახურავს.
ვერ მივხვდი, ქვესკნელს გამოექცა,
თუ ლოცვად მოდის ზევიდან,
იყუჩე, ღამეს ნუ აწვალებ,
ღამე ძილისაა, ზეინაბ!..
ღამევ, თქვი, ვინ, ვინ გმიფარველობს,
კეთილი სული თუ ალქაჯი?
ჩქამი არ არის, პასუხად
ჰა ლექსი – ღამის ნაგლეჯი.

* * *

ბოლოს და ბოლოს ჯიკავ-ჯიკავით
მეც შემომეცნო სოფლის იგავი:
შენ არ იყავი და შენ იყავი,
შენ იყავი და შენ არ იყავი.
ეშმასთან გაძმობს, –

აი მიზეზი –
სოფელმა ცდები იცის ისეთი,
შენ არ მიმზერდი და შენ მიმზერდი,
შენ მიმზერდი და შენ არ მიმზერდი...
მხარმარცხნივ – ეშმა შენივე ჯუფთი,
შიგ სულში სიგრძივ – სატანის შუბი,
კისერი იგივ, ნიკაპი იგივ,
იგივე თვალი, იგივე შუბლი...
ბოლოს და ბოლოს ჯიკავ-ჯიკავით
მეც შემომეცნო სოფლის იგავი:
შენ არ იყავი და შენ იყავი,
შენ იყავი და შენ არ იყავი...


* * *

საკვირველებავ!..
დავალთ შუა ფარულ სამხილთა.
ყოფნა რა არის?
თითო-თითოდ,
წვალებ-წვალებით,
ფიქრში ყვინთვა-ყურყუმელავით
გამხელაა იმა სამხილთა.
(როგორც აპრილს – უთვალავი ჟვერდაკვირტული,
კრიჭაშეკრულ ტრაფობას ამხელს ღიმი ლამაზი
და... ლამაზლიმა სიძულვილიც დაიარება).
სამხილს მიღმა ვინც წმინდაა,
ულხინე, ღმერთო!..
მივხვდი, რომ სამხილს საცნაურყოფს,
ვინც ჯერ იხილა,
მაგრამ ვინც ჯერ ვერ საცნაურყო,
ის ვერც იხილავს.

რას მეტყვეს სამცდამეათე?..

PAMELLA JONES გეგელი ჯოუნსი

ლექსები



თარგმნა ზეინაბ საჩიაძე

ტყლუმა!

რითმის ტლაპოში ჩაუცდა ფეხი და
შიგ ჩაყირავდა ეს ამოდენა ფილ. მეცნ. დოქტორი.
(ვერ შეამჩნია, სხვა ამინდი რომ არის ლექსში).
ობმოკიდებულ ძველმანებში კაცი ისე ძლიერ ჩაემხო,
აღმოაჩენდით,
ხავსი ბუნებით სულაც აკადემიურია;
ხოლო ფილ. მეცნ. დოქტორს, პროფესორს
ვერ ამოქაჩავ ემაგ ტლაპოდან,
არაკონვენციურ თოვს არა და არ ეკარება.
ყოველ ცდაზე ხელ-ფეხს ისე გათვლილად იქნევს,
პოეზია საცეკვაო რიტმი ჰგონია,
რითმა – მისი ტყუპისცალი.
(ვერ შეამჩნია, სხვა ამინდი რომ არის ლექსში).

ეჭვადაც ვერ გრძნობს,
სატყუარებს დეკორაციულს,
როგორც აპოპტოზის შედეგს – ზედმეტ უჯრედებს –
გაუჩინარების ღმერთი უკან იბრუნებს
და თავისთავად ეცლებიან დუენდეს სხეულს;
ზუსტ რითმასაც, ასონანსურ-კონსონანსურსაც,
სიწრფელე რომ ჩაეყლაპათ უნებურად და
(ღმერთო, მაჩუქე ევფემიზმი!..)
ნივთიერებათა ცვლის კანონით
ბიოლოგიურ სითხეს სრულად გამოაყოლეს;
რითმებს, შექსპირგამოვლილებს,
ბაირონის ექსტაზებში ნატივტივარებს,
მიავიწყდათ, რაც მოჰქმნდათ,
უფრო ზუსტად, პოეზიაში რომ ასეა:
ერთხელ მოტანილს მეორეჯერ ველარ მოიტან...
დამსგავსებიან – სულის ნისლად ამოსვლის ფონზე –
თუთიყუშის მჭახე ბუმბულებს,
რომელთაგან აღარც ერთში სულის ნასახიც
მისხლის მისხლად არ ისახება...

SPLAT!

Her leg slipped into the mud lands of the rhythm
And fell in, this doctor of philology.
(Without noticing the weather in the verse was different).
She dropped in old moldy cloths,
Did you notice?
Moss is actually academic by nature;
Whereas a doctor of philology, a professor
Can't be pulled out of that mud land,
Refusing to touch the non-conventional rope.
She's swinging her hands and legs in calculated attempts,
Thinking that poetry is her dance rhythm,
And rhyme - its twin sister.
(Without noticing the weather in the verse was different).
Not even suspecting
decorated baits,
The God of disappearance takes back
Excess cells - as a result of apoptosis
And they leave Duende's body by themselves;
Exact rhythm, resembling assonance-consonance,
Swallowing up sincerity inadvertently and
(God, give me euphemism!..)
By the law of substance substitution
They completely drained through the biological fluid;
Rhythms, once uttered by Shakespeare,
Floated in Byron's ecstasies,
Forgot what they were bringing,
More like, forgot that it is like this in poetry:
Once brought one can never be brought again...
They look - amid the soul rising like a fog -
Like parrot's sour feathers,
Neither of which has any trace
Of a soul, not even a tiny glimmer...

* * *

რა კარგი იყო საღამოს კრუიზი
მდინარე ტემზაზე!..

მთელი ლონდონი ერთიანად ციმციმებდა.
მივირთმევდით ბრიტანულ ჩაის
და ჩაისთან ერთად მივირთმევდით ზღაპრულ პეიზაჟს.
გავიმეორე ის კრუიზი.
ჩაიც ხელში მაქვს.
მაგრამ სად არის ის მოციმციმე ლონდონი?
ყველა ციმციმა ჩამქრალია, ჩაბუუტულია.
პეიზაჟი წაგილია პეიზაჟიდან.

* * *

What a good evening cruise that was
On the River Thames!..
The whole London was twinkling in unison.
With a cup of British tea
We were guzzling a fairytale scenery.
I repeated that cruise.
I have tea in my hand too.
But where is that twinkling London?
All the flashes are dim, they are barely blinking.
The scenery, you have taken it away from the scenery.

* * *

დედამიწის ამ ნაჭერზე ვარ.

სხვა ნაჭრებს ტელეეკრანზე ვხედავ „ახალ ამბებში“
ან ინტერნეტში.

საღამოობით ჩემს ოჯახურ სიმყუდროვეში
ვაკონინებ სფერულად მთლიანს,
ხელისგულზე დავიგორებ,
მეორე ხელით ვეფერები.
ადამიანი სად არის მშვიდად?..

მოდი, შემომყე მწუხარებაში,
ცივილიზაციების შორ ჩიფჩიფს ვუსმინოთ,
ლოდივით მძიმეა, თან – სიბრძნისფერი.

მოგვბეზრდება? გადავიდეთ სიხარულში.
იქ მიწიერ ნამცხვრებს ბრანავენ,
შოკოლადის მინანქრიანს,
ემულგატორ-სიკვდილიანს,
სულ უდარდელად მიგვასიკვდილებს.

სიხარული შენიღბული მწუხარებაა.

ერთადერთი, იქ არ შევრგოთ უბირი თავი,
სასოწარკვეთის ხევხუვებში.

* * *

I'm on this piece of Earth.
I see other pieces on TV in news
or on the Internet.
I make it spherically complete again in my
family coziness during evenings,
I roll it on my palm,
caress it with my other hand.

Where is human in peace?..

Come in, join me in sadness,
Let's listen to distant whispers of civilizations,
It's like a boulder, the color of wisdom.

Get bored of it? Go to happiness.
They are baking earthly cakes there,
with chocolate frosting,
with emulsifier-death,
Will kill us quite carefrely.

Happiness is masked sadness.

Only thing, let's not put our dumb heads there,
In the ravines of despair.

* * *

მოვდივარ და მომყავს სხეული,
რომელშიც ვიმყოფები,
ხომ უნდა ვიზრუნო მასზე?
დავბანო, გავამშრალო, ვავარჯიშო,
ვასეირნო, მოვასვენო,
დავაძინო, გავალვიძო,
ჩავაცვა, ვაჭამო,
წავიყვანო, წამოვიყვანო,
სადმე არ უნდა დამრჩეს.
ყველა მოდის, ვისაც ვიხსენებ.
ისინი უამსხეულოდაც მცნობენ.
მაგრამ ესენი, აქ ვინც მახვევია,
უამისოდ ვერ მიხილავენ,
ამიტომ ხელი უნდა ჩავჭიდო
და ერთგულად ვატარო.
ჯერ კიდებ მაინც ჩემია.

* * *

I'm coming and bringing the body I reside in,
I have to take care of it, don't I?
To wash, to dry, to exercise,
To walk, to rest,
To sleep, to awaken,
To dress, to feed,
To bring, to take,
I shouldn't leave it anywhere.
Everyone is coming, whom I remember.
They recognize me even without this body.
But these, who are around me here,
They won't see me without this,
So I have to hold it tight
And carry it faithfully.
It is still mine anyway.

* * *

აღარ არის.

ღიმილი, რომელიც მისთვის მქონდა გადანახული,
სად წავილ?

სადმე კარადაში რომ ჩავჩურთო?

ძველმანივით,

რომელსაც მათხოვარს ვაჩუქებ, როცა ჩამოივლის –
ნაქონი კაბა ჯერ ახალივითაა,

მაგრამ მოგბეზრდა,

ან ისე ახალგაზრდულია, უკვე აღარ შეგეფერება.

გააჩუქებ, მადლია.

უპოვრისთვის ეს პალტოც ხომ შველაა,
ხელთათმანებიც?..

როგორ ჩათბება ვიღაც მცივანი...

მაგრამ ამ ღიმილს ვის აჩუქებ?

ეს მისი იყო.

ბაგეს შემორჩა, როგორც ერთი ძველი ჩვევა,

რომელიც მალე დაავიწყდება.

ახლობელს მისთვის განკუთვნილი ღიმილიც მიაქვს.

* * *

It's gone.

The smile I had saved for him,

Where should I take it?

Should I stick it somewhere in the closet?

Like the old Rugs,

Which I will give to the beggar when he comes by.-

The old dress is still like new,

But you got bored of it,

Or it is so youthful, it no longer befits.

You'll give it away, it's a grace.

This coat is also a lot for a poor, isn't it?

Gloves too?..

How someone chilled will get warm...

But to whom will you gift this smile?

It was his.

It survived on the lips as an old habit,

Which will soon be forgotten.

A close person is also bringing with him a smile dedicated to him.

* * *

ორიოდ დლისავ,
სრბი საით?

უსმინე იმას, რაც იყო, არის და იქნება.
შენზე იმდენით მეტი იცის,
რამდენიც შენზე მეტხანს იყო, არის და იქნება
და ეს იმდენად შენზე მეტია,
საიდუმლოდ შედედებულა.

ზღვა გეუბნება უხსოვარი დროის შრიალს,
მზე – იმავდროის კამკამს გიყვება,
მარადისობა – ქარების რემას.

ზღვამ შემოდენა შენში შრიალი,
მზემ – კამკამი,
ქარებმა – ქროლვა.

ახლა იფიქრე, რამდენია შენში
შრიალი,
კამკამი,
ქროლვა...

რაც შენშია, იმას შეიცნობ.

კლდე უძველეს დუმილს გეტყვის,
უფსკრულიდან უძველესი სუნთქვა ამოდის...
გრძნეულებიდან უნდა დაბრუნდე.

ორიოდ დლისავ,
ჯერ ორი დლის სიცილია შენზე,
ორი დლის ფიქრი,
ორი დლის საჭმელი,
ორი დლის დავა...
განახლდი შვილში
და მიჰყევ სრბოლას
იქით,
იქითის იქით...
მერე...

კვლავ გრძნეულებაში უნდა შებრუნდე:
ზღვით შრიალს იტყვი,
მზით-კამკამებას,
ქარების რემით – ქროლვას სულისას...

* * *

Of barely two days old
Where are you running to?
Listen to what was, is and will be.
Knows so much more than you do
By as long as you have been, are and will be
And it's so much more than you,
It has secretly condensed.
The sea is telling you the shrieking of timeless memory,
The sun – telling about twinkling of the same time,
Eternity – the herd of winds.
The sea has blown rustle into you,
The sun – twinkling,
The winds – roaring.
Now think about how much is in you
Shrieking,
Twinkling,
Roaring...
What is in you, you will know.
The rock will tell you the ancient silence,
An ancient breath rises from the chasm...
You have to come back from sorcery.
Of barely two days old
There's only two days of laughter on you,
Two days of thinking,
Two days of eating,
Two-day dispute...
Renew within your child
And follow the race
Over there,
Over over there...
Then...
You have to get back to sorcery again:
With the sea you will shriek,
With the sun – twinkle,
With the herd of the winds – the roar of the soul...

(პუნებისაგან ნასწავლი სქემები)

* * *

ხელმა კალამი მოიშია,
კალამმა – ფურცელზე ჩაშრიალი
კოკრის გაშლის წესით:
სათქმელის პირველი გარსი ჩაშრაშუნდა –
მაგონდები, გამიკრთები ელვასავით
ყოველ გადმოშლილ ფურცელზე სათითაოდ.
მეორე გარსი –
როგორ ჩამზრდიხარ შიგ ხსოვნაში...
სხვა სახეებს აფერმკრთალებ,
ზედმეტ პწკარს წავშლი, შენ – ვერა.
მესამე –
ვეღარ გიცილებ,
გრავიტაციის ძალა მერევა.

შიგ კოკორში გაუშლელი ფურცლებია
და როგორც სურნელის ჯადო შუაგულშია,
მთავარი სათქმელიც იქ მდუმარებს.

(SCHEMES LEARNED FROM NATURE)

* * *

The hand got hungry for the pen,
Pen – for swishing on a sheet of paper
By the rule of an opening bud:
The first shell of the words swished –
I remember you, like lightning struck
On each opened sheet one by one.
Second shell –
How have you grown deep in my memory...
Blurring other faces,
I can erase excessive lines, not you.
Third –
I can't get rid of you,
Gravitational force is getting better of me.

.....

Deep inside, there are unopened sheets in the bud
And just like the magic of the scent is in the very heart,
The main words stay silent there as well.

გპ0გპლ0გ00

ყველა სიტყვა თვლემდა და უცემ
გრიგალივით
ამოვარდა სიტყვების წყვილი:
„სამედიცინო დასკვნა.“
გრიგალში მთავარი ქარი რომ წივის,
ზუსტად ისე დაინივლა სიტყვამ „კიბო!“
იძრა მიწისქვეშეთი და
აიმართა ქარბორბალა: „შვილები“, „ოჯახი“, „სამსახური“...
„სამსახური“, „ოჯახი.“ „შვილები...“
„შვილები“, „სამსახური“, „ოჯახი...“
მთავარმა ქარმა ქარბორბალას გამოაძრო ერთი ქროლება:
„შვილები“, „შვილები“, „შვილები...“
ააქანა, დააქანა,
სხვა ქროლვებიც გამოისხა,
და რომ აიჭრნენ ცად აშლილები,
მოთქმისებურად მაინც ისმოდა:
„შვილები“, „შვილები“, „შვილები...“
ასეა, წესი ამგვარი უფლობს:
ვისაც აობლებ, ის გტკივა უფრო.

LIKE A STORM

All the words were sleeping and suddenly
Like a storm
A pair of words fell out:
„Medical conclusion“.
Just like a howl of the main wind of a storm,
The word „cancer!“ screamed out.
The underground started moving and
A hurricane rose: „children“, „family“, „job ...“
„Job“, „family“, „children...“
„Children“, „job“, „family...“
The main wind threw one blow out of the hurricane:
„Children“, „children“, „children...“
Swung here, swung there,
It sprouted other blows,
And as they rose to the skies,
Like a wailing, it was heard:
„Children“, „children“, „children...“
Such is the rule of godhood:
Whoever you leave orphaned, hurts more.

პეპლის ფაქტორიც წესია და გავიგეოდოთ:

მთა ისაა, რომ ვამბობთ: „ცა ეზიდება თავისკენ“,
რაც ამ სიტყვებს გამოექცა და დარჩა მთასთან.
მდინარე ისაა, რომ ვამბობთ: „ცის ჩასახედი სარკე“,
რაც ამ სიტყვებს გამოექცა და დარჩა მდინარესთან.
ყვავილი ის არის, რომ ვამბობთ, „მიწის ღიმილი“,
რაც ამ სიტყვებს გამოექცა და დარჩა ყვავილთან.
ქვეყანა ის არის, რომ ვამბობთ:

„თვალებში ჩასაფლავ-ჩაგვიზეიმდა“,
რაც ამ სიტყვებს გამოექცა და დარჩა აქა.
თქმადი და უთქმელი,
როგორც პეპლის ორი ფრთა,
იშლება, იკეცება,
იშლება, იკეცება,
დაჰფარფატებს რამდენ რაიმეს...

BUTTERFLY'S FLUTTERING IS ALSO A RULE AND LET'S REPEAT:

The mountain is what we call „being lifted up by the sky“,
That, which escaped these words and stayed with the mountain.
The river is what we call „The mirror of the sky“,
That, which escaped these words and stayed with the river.
The flower is what we call „smile of the earth“,
That, which escaped these words and stayed with the flower.
The country is when we say: it got entombed and commemorated
into our eyes,
That, which escaped these words and stayed here.
Said and unspoken,
Like two wings of a butterfly,
Flatters, closes,
Flatters, closes,
Flitters above so many things...

* * *1

გადაადგილების დიდოსტატი ვარ.
რომ გვონია, აქ მხედავ,
ნურას უკაცრავად,
ამ დროს შეიძლება წამის რაღაც მეოთხედში
ბიგ-ბენის კოშკის ზარს უუსმენდე,
ბეტონის საათის ოთხივე ციფერბლატზე
ახალ დროს ვიმახსოვრებდე,
ან ვარდების ომში იორკებში მებრძოლ ქმარს ვახლდე,
ან კიდევ დევიდ კამერონს ვეხმარებოდე
რეფერენცუმის ჩატარებაში,
ვიყოთ ევროპავშირის წევრი თუ დავტოვოთ იგი?..
როცა „აქ“ და „ახლა“ დაცლილია საზრისისაგან,
წამის რაღაც მეოთხედში
სულ სხვაგანა ვარ.
გადაადგილების დიდოსტატი ვარ.

-
1. პამელა ჯოუნსის მისტიფიკაცია ქართულ-ინგლისური ლექსებით დაიწყო, რომ ეჭვი არ გაჩენილიყო ავტორის არაბრიტანულობაზე. მას შემდეგ, რაც ს. წულაიას წერილი დაიწერა და მისტიფიკაციას ფარდა აეხადა, უკვე აქტუალური არ იყო ინგლისური ვერსიები.

* * *

მამაჩემს რომ ჰყავდა თეთრი „ტოიოტა კოროლა“,
ახლა მე რომ ვატარებ,
ები-როუდზე
კინალამ შავ ჰიბრიდულ ჯიპს ჩაეხვია!..
ლმერთო, რა ბეწვზე გადავურჩი
ჰაიგეიტის² ბინადრობას!..
თქვენ რა გვინიათ, მძლოლის სწრაფმა რეაქციამ
გადამარჩინა?
არ დაიჯეროთ!
ები-როუდზე³
ჩამოეშვა დიდი მარჯვენა,
კატასტროფა არ დაუშვა,
ჯიპის საჭე დროზე მარცხნივ შეატრიალა.

-
2. ჰაიგეიტი – პოპულარული სასაფლაო ინგლისში, რომელიც დღესაც ნაწილობრივ მოქმედია.
 3. ები-როუდი – ხალხმრავალი ქუჩა ლონდონში, კემდენისა და ვესტმინსტერის ოლქებში.

* * *

როცა მარტო ხარ,
დაკვირვებიხარ,
სარკის ნამტვრევების მსგავსად
უთვალავ „მე-“დ როგორ უცებ ნაწილაკდები?
ყველა ნამსხვრევიდან
და ნამსხვრევის ნამსხვრევიდან
შენივე თავი რომ გიყურებს,
სულ სხვადასხვა წერტილიდან გამოსახული
და სათითაოდ,
და უკლებლივ ყველა შენა ხარ.
შეგიმჩნევია?
გამომიტყდი, შეგიმჩნევია?
თითოეული განა სარკის ნამტვრევებივით
ჩუმად მყოფობს? –
ჭრიჭინასავით კაწრავს შიგნით ჩამდგარ სიჩუმეს,
რომელიც უკვე აღარ არის სულაც სიჩუმე
და მრავალთაგან რომელ ხმასაც ყურს მიუგდებ,
ის სხვებზე მეტად ახმიანდება.
მაგრამ როგორც კი კარზე კაკუნის ხმა მომწვდება
და გამოვალებ საკუთარ თავს,
როგორც კი მოსულს მივესალმები
და ჩემობაში შემოვუძლვები,
ყველა ხმა ერთურთს მიეწებება,
გამთლიანდება,
მინორები აუორთქლდება,
მაჟორგარეულ ექოდ ამოდის
(ამომიწიალდება-მეთქი, თითქმის წამომცდა
და ეგ სიტყვა ჩავაბრუნ-ჩავასაყვედურე, –

სიკეკლუცის ელფერს დაიკრავს).
კარგია მოსვლა.
მღვრიე ხმების ზუზუნეთიდან
ნამში გამოხვალ,
მთლიანდები,
ერთი ხარ და მარტივი და გაუბზარავი.
ყველაფერი ცხადზე ცხადია
და ბროლივით გამჭვირვალე.
მაგრამ ნეტავ რად გვირჩევნია,
მარტომყოფობის ნამსხვრევთა ზუზუნს ვაყურადებდეთ,
თავს დამტყდარ ხმებს ვუმკლავდებოდეთ
თუ სულაც ვერ ვუმკლავდებოდეთ?..

* * *

დღეები, ჭიპლარით პურის მაღაზიასთან მიბმულები...
დღეები, გარინდების მღვიმეებისკენ გაქცეულები,
ქვეცნობიერის კარსტულ ქანებში ჩამხედავნი...
ერთმანეთს მოსდევენ მუსტანგების რემასავით.

ერთსაც ჩაფრენიხარ ფაფარში და მეორესაც,
პირველი მეორესთან მიგაქროლებს,
მეორე – პირველთან.

პრივატ გამოყენების აქციურის დაწესებლა (პნე სათემელი გამოყენელი)

რა გულისფერებით იწერება ლექსი და
რა ნაცნობობით იძეჭდება ხედავ
სათქმელი გამთქმელი
ვის რად უნდა სიტყვის ფუფქით
ფოტო ასე ავად მუქი ბაგეს ლუქი
ვის დაჰკარგვიხარ ვის აინტერესებს უცნობის რაიმე
დაძმობითაა გახსენება
ვის აინტერესებს უცნობის რაიმე
უნდა იჩალიჩო მარჯვედ იჩალიჩო
სათქმელი გამთქმელი
ვის რად უნდა სიტყვის ფუფქით
ფოტო ასე ავად მუქი ბაგეს ლუქი
არა გამოვა ჩალიჩის გარეშე
ვის აინტერესებს უცნობის რაიმე
ტელეარხებზეც გაზეთშიც უურნალშიც,
კონკურსზეც პროექტშიც ან ფესტივალებზე
სათქმელი გამთქმელი ვის რად უნდა სიტყვის ფუფქით
ფოტო ასე ავად მუქი ბაგეს ლუქი
უცნობისათვის
ნაცნობგარეშე
არსებობს მხოლოდ სიჩუმის პრემია
როგორი სიჩუმის სრული და ბერებგაკრეფილისა
ზამთრის გრძელ ღამეში მჭრელკბილა წრუნუნაც
რომ არსად გაფხაჭნის.

* * *

რა დროა?

ერთ-ერთი ცივილიზაციის
მესამე ათასწლეულის ოცდამეორე წელი უნდა მოვიდეს.
ადამიანები გარბიან ერთმანეთისგან.

ინტერნეტსაიტების უსასრულო სივრცეში იკარგებიან.
ჰავანიათ, იქ უკეთეს ადამიანებს იპოვიან.

გვიან ხვდებიან, რომ იქაც იმავე უხეირობას ნახავენ.

ადამიანი ყველგან ერთია,

ერთნაირი, ერთი და იგივე,

სატელევიზიო არხების ეკრანებზე
მოფუთფუთე,

თავის რჩენა რომ გასჭირვებია,

კოსმოსის ყველა შავი ხვრელიდან
უცნობი უბედურება გამოსჩრია...

რა ქნას,

რა ქნას?..

ჯერ მარტოობით ტკბება,

შემდეგ მარტოობით იტანჯება,

შემდეგ თავისნაირებთან ტკბება,

შემდეგ თავისნაირებთან იტანჯება....

სხვას რომ ეძებს,

იმასაც ხვდება, ამასობაში

თვითონაც სხვაა,

ყოველ დაკვირვებაზე სრულიად სხვა

და შეიძლება ინტერესით ჩაეშვას თავის ბნელში,

თავისი სხვა ნახოს...

და... ამოვარდეს ფეთიანივით,

თავისივე შელამაზებულ-მოგონილი

გლამურული ყოფისკენ გაიქცეს...

* * *

რეალობის ურჩხულები როცა აეშვებიან,
სასურველის მირაჟებმა უნდა ჩაავაგლახონ.
მიუშვი და შეაჯიბრე.
ჩაძირონ და ჩააფსკერონ,
გადაფარონ ერთიანად
წყლის ჩაკეტილ ცაჩასახედ სარკედ.
ურჩხული ვინც ჩააფსკერა,
წყალზეც ივლის.
ალიარე.
აბა, შეხე,
ილუზორულს რომელს არქმევ,
რომელს?..
მერე წყალი ამოაშრე
და თავიდან დაბინავდი,
რამდენიც გსურს, იყავ!..

* * *

გზები, არსაიდან არსაით,
თავნება მუსტანგებად გაჭრილები,
როგორ უნდა მივუშვათ ნებაზე?..
შემოვატრიალოთ, ერთმანეთს შევახვედროთ,
მერე დავამთხვიოთ, ერთ გზად ვაქციოთ და
ნელა გავყვეთ მზის ჩასვლისაკენ.

* * *

იმან იმას შესთავაზა:

– წავლადავდეთ ამ პროექტში,
ამ უკაცრიელ ულმერთობის ქვეშ,
უკიდეგანო აბსურდის ფონზე
ხომ გვაღადავა გამჩენმა და
ჩვენც ერთი მაგრა ვიღადაოთო.

შეჯგუფდნენ და აღადავდნენ:
ჩვენ კი... მაგრამ კიდევ ვინ შევიღადაოთო?

აი ის, ბატონი ღადავ ღადაობაძე
და ისიც, სულ დამწყები ღადავაშვილიო.
ჰოდა, ღადაობის იშტაზე მყოფნი,
გაემგზავრნენ საღადაოდ.

მოღადავეთა უსტაბაში აიქნევს ხელს და...
ყველანი თავთავიანთ ხმაზე
ღაღადებენ კი არა და...

ღადაობენ და ღადაობენ უღადავესად.
მერე ჩამოარიგებენ ღადავპრიზებსაც
სუპერ-მუპერ ღადაობისთვის.

ხოლო, პამელა, შენ თუ ზიხარ შენთვის, სადღაც მოფარებულში
და ქაღალდს სიტყვა ეპკურება ცრემლივით თბილი,
მოღადავედ უვარგისი ხარ!..

* * *

დახოცილი დღეები გამოვცოცხე,
აქანდაზზე მოვაქუჩე და
სანაგვეში გადავუძახე.

ოთახში დადგა იმედი
მოსასვლელი დღისა.

აიწონა-დაიწონა
რატომდა გიკვირს,
მიწა ცვიოდეს მისი პირიდან?
მიწანარევი საფიქრალი ჩამოეფიქროს?
მიწიდან არის აღებული მისი მასალა.
მიწა ეყრება ნაკვალევზე ფხვიერ ბელტებად.
თუ რამ აგროვა, მიწის წილია.

მტვრად შეხვდება მარადისობას,
დანამცეცდება მტვრის ნამცეცებად.
მტვერუეარებელს ვერაფერს ფლობს,
სწორედ რომ ასე მოიზილა, მტვრადმისაქცევად.
რატომ არ გახსოვს, რას მიეკრა, მიემაგნიტა,
რა რბილდებოდა იმ თითებში სხეულად მისთვის?
რისგანაც იშვა, ის არის და რატომდა გიკვირს?..

რატომდა გიკვირს,
ცა იშლებოდეს მისი პირიდან
და უსასრულოდ, უთავებლად ფართოვდებოდეს?..
ცისაგან არის, თიხაში ცაგარეულია.
ცა ექაჩება ორივ მხრიდან ფრთების ადგილას
და მანვე, ვინც სუნთქვა მისცა ორივ ნესტოში,
ცას გამოაკრა ცალი ახედვით.
ცას გაუზავდა უკეთესი გაფიქრებებით,
ცისკენ მიდენის ზეცანარევ ფიქრების არვეს,
თავისი ამოფიქრებებით ცის ნაწილია,
მიტომაც არის, ვერ შეუშვა ცის თასმას ხელი,
ჩაედინება კოსმიური ძალა ამ თასმით.
რისგანაც იშვა, ის არის და რატომდა გიკვირს?..

* * *

შეხედავდნენ და – ორი თვალი,
ერთი შუბლი, ორი ყური,
ორი ხელი და ორი ფეხი
ჩანდა მხოლოდლა.
აღარსად ჩანდა სხვა თვალები,
სხვა ყურები,
სხვა რაღაც შუბლი...
ორი ხელ-ფეხი – მინიერების მტკიცე დასტური –
ჩანდა და ჩანდა ფუნდამენტურად.
არ ჩანდა არსად ცას შეხლილი
აშრაშუნება შადრევნისა,
მთელი ტანი,
მთელი სხეული აშხეფებული,
სიზმარივით აქროლებადი...
მზის სხივი რომ გადიოდა,
გამოდიოდა,
ციმციმელები მიფრინავდნენ ანაშხეფთაგან
და მთელი ეს ციალ-ციალი ცისკენ იწევდა,
ცის ღიმილებს უერთდებოდა...
ან რა გამოსაჩენი იყო,
ნაბოდვარს ჰგავდა გონშემლვრეულის...
სამაგიეროდ,
როგორც ვარდნილი შადრევნისა,
კარგად ჩანდა
ორი ხელი და ორი ფეხი,
ერთი შუბლი,
ორი ყური და ორი თვალი –
მსგავსება მათთან.

გამპის პამვეტი

ბალლო, აი

ფუმფულა ღრუბელი ჯოხის ჩხირზე,

ანუ ჯოხის ჩხირით მორთმეული

კარიესი და

სტომატოლოგი მონიკელებული ხელსაწყოებით,

ან – ნახშირწყლების სიჭარბე და

კარდიოლოგთან რიგში ყოფნა,

ან უარესი – სიმსივნე!

ან ნაკლები – ალერგია...

ბალლო, აბა, ახლა ვინ გეტყვის

მაგ კამფეტივით ლოყებფუმფულას,

აქედანვე ალარ არის ცხოვრება ტკბილი,

კი სურთ, დაგიტკბონ,

მაგრამ...

* * *

სისხლის სამართლის კოდექსის წევპლა

ამაზე ასე გადმოგვიშუვლებს:

პირადი ცხოვრების კადრების გამხელა

დასასჯელია!!!

არის ჯარიმა, ძალზე ცხელი არის ჯარიმა,

გამასწორებლად სახელდებული სამუშაოა,

თავისუფლების აღკვეთაც არის,

ან კიდევ... საქმიანობის უფლების ჩამორთმევაა.

პოეტო, რომ გადაეშვი ხან სხვისა და

ხან კიდევ შენივ შინასკნელში,

სასჯელად შენ რომელს ირჩევ?!..

ზღვგზე – წიგნები

დროიდან დროში,
ქარიდან ქარში,
მტვრადმიქცევიდან მტვრადმიქცევაში
ეს მერამდენე ფარა გადაჰყავს მწყემსს...
ტალღებს ვხედავ და ვხედავ ცხადად მეტაფორასაც.

ამ შენელებულ მიქცევებში
(წყლადმიქცევაში,
მტვრადმიქცევაში,
ცეცხლად თუ
ქარადმიქცევაში)
გზები –
ტალღათოდენი წირები –
მიმისხვრევიან.
წირების ნაცვლად თვალები აჩენენ მარგალიტება კილვატერებს
ისევე ცხადად, როგორაც იმ მეტაფორას.

სხვა ფარაში ვერ ისკუპებ.

დროიდან დროში,
ქარიდან ქარში,
მტვრადმიქცევიდან მტვრადმიქცევაში
გზაა წირების.
გზაწირები – შესაძლო მარადი კილვატერები –
მწირები ნუ გავიწირებით.

ავტორები მოკალმავენ
ცრუნი – ცრუ ღელვას,
მართალნი – მართალს,
ან კიდევ – ისე, როგორც ჰეგონიათ.
უტყუარი ვისი გონია?!.

ხოლო ეს, რასაც ვწერ,
კარდიოლოგთა ენაზე კარდიოგრამის წირებია.
ფეთქავს ან ვერა –
ერთი ორიდან.
კოსმოგონიაც წირებია
შორიდან.

...და ზღვაზე რა ჩანს?
ან უფრო ცხადი რომელია:
რაც ჩანს, თუ რასაც თვალები აჩენენ?..

რას მეტყველს სამთცდამებთე?..

ერთსიანყვითენო ლექსიგი

**ლვთისადმი ალვლენილი ვედრება
ტაძრადმქმენ!..**

უგროშკაპიკოდვმდიდრდები.

**მარგალიტი, რომელიც ხურდა
სიტყვებში ამოკიაფლა
„მინატვრისთვალე!..“**

უუპარმოსაუბრეგყავ?..

გულისგულსჩამწიპწებიხარ.

ლექსხელშუბგამოგიქანე!..

**მასწავლებელი
/თუ გამოიცნობთ, აბა, როგორი?
ნიჭამომყვანი.**

მივსადლაცდებით.

ვაჰრასქელფარდასიტყვაობ!..

გულმათვალსგამოუჩინა.

ცდომებზეამომიჭეშმარიტდა.

გადავიღამ-გადავიდიკინსონოთ.

მომენიავე.

ჩა-ჩაგე-ჩაგემაყვლები.

სიცოცხლეგაუყუჩები.

იქდააქშორისლექსისტიხარი.

გამოსამშვიდობებელლიმილნამოსხმული.

ჩემი სამშობლო
ჯერსაქართველო.

წბილსოფელსავართ.

ერთურთსგადავეშვვიმოგზაუროთ.

მომავალი საფლავი
მიწაჩამსათუთებელი.

ლექსტმესი

დაგაორივფიალითთრობ...

ჩამომილექსალბუნდი!..

რას მეტყველის სამთცდამებთე?..

ამოშურითლრუვდები.

წიგნი „ქართლის ცხოვრება“

(რომელ გვერდზედაც გნებავთ, გაშალეთ)

ამომეომრებულარუნდნენ!..

შემოვინმელექსშივიდა

წაგალექსხემსებ

გამომზერაალმურგექცა.

მომავალი საფლავი

მიწაჩამსათუთებელი.

ჩაუსიზმარდებით!!!

წვიმა

ცრემლისსკვნილ-გულამოსკვნილი.

ზღვა

წყალპულსირება.

დუმილნათქვამა.

1937

წამხდარკაცობა.

სამგზის ნასამართლევი

მგელმორეული.

დრო

ვერმობრუნებისა.

სიტყვა

ერთხელამოთქმულმუდამხმიანი.

რას მეტყვის სამთცდამეათე?..

და სხვა ლექსები . . .

* * *

ორი სტიქიის ხმა შემომესმა:
უანგბადსჩაყოლილისა და
გულის სპაზმიდან ამოსულის.
პირველს შვილების სახე ჰქონია,
მათი ქაფქაფა შემოხედვა
პაგანინის ლაქვარდისფერი კაპრიჩიოების
ტრელების მწკრივით
და ლანგარზე – მწიფე ატმებით:
ხმობა და ხელისვერშეშვება.
მეორეს კიდევ – იქითა მხრიდან
საზღვარს მომდგარი
ძრწოლისფერი დიდი თვალები:
მამის გმინვა და ბებიას ცივი უარი,
შებრუნდიო,
აქეთ საითო...

* * *

სიჩუმეს ამბობს ყოველი ლოდი,
შეჰყავხარ თავის უთქმელში და
გეგრძნეულება.

პირქვე ლოდი.

ჩამზერა.

იმხელა აქვს ამოსათქმელი
და მერე ისე შეუძლებელი,
ხმას ჰკარგავს სიტყვა,
მუნჯდება და საცოდავდება.

ყველა ხმა ბოლოს ჩაგროვდება სრულ სიჩუმეში.
შენ კი ვინა ხარ? რა ძალა გაქვს და რა მიხვდრა?
თუ რამ ძალას ფლობ, ახსენი ჯადო
სიტყვებჩაპირქვავებულ დუმილს
და მოდი, ლოდი
ამოაურიამულე.

* * *

ვისთვის ცაა დედა და ვისთვის – მიწა.
გავაჩინოთ სიტყვა „დედაცა“ გრანელის ტიპის პოეტთათვის
და შუაგულში მზე ავუნთოთ.
და ჲა, ვთქვით და კიდევაც გაჩნდა...
მზით გავიღუმპეთ.
ცაშიშველადან ისე მოქშუის,
როგორც რიხტერის თითებიდან – „აპასონატას“ ცხელი ფორტე,
როგორც კამკამის სტიქია მოდის ვან გოგის არლის ტილოებიდან;
რაღაცნაირი შუქის შუქი – დედის მზერიდან,
ყოველგვარტკივილგამყუჩებელი,
იაბგერება.
მგონი,
ჩემი მზერიდანაც იგივე მიდის.
როცა ნახევარ სუკუნეს
კარგა ხანია წიხლი ვკარით
და უკაცრიელ ცისქვეშეთში
იმედის ნაპირებად ვიქეცით მზერის ხიდის იქით და აქეთ,
ვიგრძენით, მივხვდით, ვიგუმანეთ,
მზერაში მზე რომაა გამომწყვდეული
და სანამ იგი სადაისოდ დაიხრებოდეს,
/ჰე, კრიტიკოსო, რაც უნდა რომ სწორხაზოვნად ვამბობდე ამას,/

დე, მზეში მყავხარ, მზედ ამომდიხარ!..

მზედიდობაა.

ნათლის მირონი დასდის მიწას.

* * *

ვარ პლანეტაზე, სადაც სიცოცხლეს შენი სახე აქვს,
მთელმა სამყარომ შენი ენა რომ ამოიდგა.

გესაუბრები.

შემაგროვე ამ ლექსებიდან,

ჩემს ჭრილობებს რომ ჩავჩურჩულე.

შემაგროვე ამ ლექსებიდან, რომლებმაც მითხრეს:

— აქ მთები და უფსკრულებია.

ნურც ერთი ნუ შეგაშინებს,

მთა ფსკერამოტრიალებული უფსკრულია,

უფსკრული — მწვერვალჩაბრუნებული მთა.

დავიარები ამ უფსკრულ — მთებზე

და ფსკერა ფიქრებს ცის თაღისკენ ნელა მივდენი.

ზოგჯერ სიკვდილიც შემომეყრება და მომკლავს.

და ზუსტად ვიცი:

ადამიანი გზის დასასრულს უახლოვდება

დიდად მდიდარი,

დიდად მდიდარი,

დიდად მდიდარი სხვათათვის დაუნახველი თავისი სიკვდილებით.

მხოლოდ ებთ-ებთი „მე“

ამ მიმქროლავ საცვლილებოში,
წუთის წინ რომ დასცვივდა ბაგეს,
იმავ ბგერებით მეორეჯერ ვერ გაიცინებ,
ყველაფერი წამისწამად სულ სხვაა უკვე.
ჰოდა, ჩვენ რომ შევაჩერეთ და ჩავისაკუთრეთ ერთმანეთი,
ამდენი წლის, ამდენი დღისა და საათის მერე,
ამდენი ფოთოლცვენისა და შეფოთვლის მერე,
ამდენი ღიმილჩენისა და ღიმკვდომის მერე,
ამდენ ტალღასთან შებედვის და შესკდომის მერე,
ახლაც განა ისევ ისა ვართ?..
უამი წასულ-წამოსულა ცვალებ-ცვალებით
და ჩვენივე უთვალავი „მე“, შეხე,
როგორ მწკრივად წაუქარავნებია!..

.....
ჩვენ ერთ-ერთი „მე“-ლა გვახსოვს ერთიმეორის
ვრცელ ქარავნიდან.

ქლება

ახდენა იცის, თურმე, გულით თუ რამ ისურვე.

ოდესმე /თუნდაც ბავშვობაში/ თუ გინატრია სხვად გადაქცევა /როგორც ზღაპრებში: გოგო – მტრედად, ფერია – გედად, ქალი – ლერწმად და ასე შემდეგ/,
შეგიძლია დაუკვირდე და შეამჩნიო...
შეამჩნიო... რომ გისრულდება!..

რამდენჯერ ამოვცისკრებულვარ ჩვილის ბაგისფრად,
ან კიდევ ლამის ქუთუთოებს ლექსშრიალად გამოვქცევივარ,
რამდენჯერ ჩამოვუწეპლივარ ზეცას წვიმებად,
ან კიდევ ჩამოვუწებებივარ ფრთათეთრ ფიფქებად.

ვყოფილვა ნამი – ცის ნამსხვრევზე სხივის ტრფიალი,
ვყოფილვარ ქალი – ქართლის დედა ხმლით და ფიალით,
...და ინანა – შუმერულ მითების,
ვიოლინო – პაგანინის თითებში...
ვყოფილვარ მეეზოვე, ბალერინა, ავაზაკი...
და ისევ... ნამი, რომელიც მაშინ არსებობს,
როცა სხივი ეტრფიალება.
თუ სხივი არ არის, ნამიც არ არის, არის სისველე.
... და ნამი!..

80, თურმე...

...აი სამყაროს, თურმე, როგორ ერღვევა კიდე
და რა სისწრაფით ჩაიყოლებს, საიმედო ვინც გეგონა!..
აიხედე, სად გაქრა ზეცა?..
იგი ახლა ჩამოძონძილი კრეტსაბმელია,
ულმობლობის სადგისით დაჩვლეტილი,
ყოველი ნაჩვლეტიდან სისხლის წვეთი ჩამოზნექილა და გაყინულა.
დახუჭე თვალი.
გაახილე.
მყარზე ხარ და ცოცხალი ხარ.
არსად – სიკვდილი...
და გეხსნება სულ ახალი ჭეშმარიტება:
ცოცხლობ, სანამ...
სანამ...
სანამ ხარ სიკვდილითაც თანაბრად სავსე!!!
სიკვდილი რომ ჩამოგეწრიტა,
სიცოცხლე მაინც სადღაა ახლა?..
რაღაცა სხვაა...
სხვარიგი სულ სხვა...
სხვაგვარ სხვაფერი...
სანამ სიცოცხლეს დაუბრუნდები,
ამოგხედავს შავი უფსკრული,
ამოგაჯახებს სამძიმრისფერ ლექსს,
ბურუსად რომ თავს დაგადგება
და ძალისძალად
ჯერ არის და კალამს ჩაგივა,
მერე... ქაღალდზეც ასე ჩამოგივერაგდება...

როგორია?..

ამ ასანთისკოლოფა კორპუსების ქალაქში
უკიდეგანოდ როგორლა გიყვარვარ?..
გეომეტრიულ გაზონებად ჩაკრეჭილ-ჩაორნამენტებულ სალ-
ტეში
სად...
სად...
სად უნდა შევხვდეთ?!.

წამო, გავიქცეთ ანტარქტიდაზე,
ერთმანეთს სუნთქვა გადავუფესვოთ,
გადაფესვილ სუნთქვაში ცხელა.
მართალია, დინჯი, ფუმფულა პინგვინები
ვეღარაფერს გაუგებენ ჩვენს დინამიკას,
სამაგიეროდ
ფრთაძლიერი ალბატროსები შეგვისვამენ
და ფართქუნით გავჭრით სივრცეს ერთმანეთისკენ.
თოლიები – ცის ნაფლეთები – შემოგვიქსოვენ
შეხვედრების უცხო მაქმანებს.

წამო, გავიქცეთ ალიასკაზე, ესკიმოსებთან,
ყინულის ქოხში,
ტყავის სამოსში პირვანდელი ხიბლი აქვს კოცნას.
რად...
რად...

რად გვინდა შოპენჰაუერი
და ან ფროიდი,
უარი ტრფობის ოკეანის
ყოველგვარ ლოცმანს!..

წამო, გავიქცეთ საპარის უდაბნოში,
გვერდი ვუქციოთ ოაზისებს, ფინიკის პალმებს,
ცხელი დიუნი ვიგრძნოთ მუხლებში,
ნუ დაგვაყენებს ალხი და ქროლვა,
ქვიშის წყვილ ქარბორბალად
ჩავქარიშხალდეთ ერთმანეთში....

.....
ამ ასანთისკოლოფა კორპუსების ქალაქში
წყლის სტიქიაც მოიშინაურეს –
შადრევნებიც კი ზომიერია
და ჩვენ... როგორლა?!.

ლიქტატურა

/საკვანძო სიტყვები: უფროსი, ხელისუფალი, არჩევნები,
ოპოზიციონერი, სპეცდავალება/

მუსიკალურ ნაწარმოებზე მითითებაა,
სად შეახტუნო კურდლელივით სკუპა სტოკატო,
სად ფორტეა, სად – პიანო,
სად შეახანძარხანძარო სწრაფი ალეგრო,
სად ჩამჩამოტბორო მდორე ანდანტე.
ლექსს ასეთ რამეს არ აწერენ,
მაგრამ მოდი, დავაწეროთ ამ ლექსს ამგვარად:
ფრთხილად,
არ ჩაგესუნთქოს.
თუ ფილტვებში გადაგცდება,
ძარღვებს დაცეცხლავს.
გადამდებია ეგ ლექსი,
ამიტომაც გადავლე თვალი ზერელედ,
წაიკითხე და გაიცინე.
ასე ბევრად იოლია,
ბევრად უსაფრთხო.

სამსახურიდან წამოსული
ავტობუსში რომ ჩაჯდები,
მძღოლის მინის კაბინიდან
საკუთარ სახეს რომ დალანდავ
/ურბანისტული ინტერიერი/,
გაოცება შემოგეხვევა:
ვინ გიცქერის შენივ სახიდან?

სიმშვიდეშემოხეული ქალი.
რა აირეკლა სახემ, ხედავ?
რამ გამოჟონა!..

ხელისუფალმა იხმო გუშინ შენი უფროსი
და შეუღრინა:
ოთხ თვეში რომ არჩევნები გვაქვს,
თავი ხომ არ მოგბეზრებია,
ემანდ ოპოზიციონერის დას
რაღატომ არ ავიწროებო.
ისიც მოგადგა და დღეს დილით ნაგაზივით შემოგიღრინა
და შენ სანამ მიხვდებოდი, რატომ გიღრენდა,
ხომ შემოგერლვა უშფოთველობა,
ლექსი, რომელსაც ამ წუთას წერ,
აგიგანგაშდა
და მოიქცია ტაეპებში
ზიზლის ათასი ნიაგარა,
ათასი აფთრის ბასრი კლანჭი
და შიში – ოთხივ ოკეანისხელა – მთელი თავისი სიგრ-
ძე-სიგანით
/ ანუ სამსახურის დაკარგვისხელა /,
მაგრამ ვერაფრით გადაფარა ამ ყველაფერმა
სიმართლის სხივი,
გულში ელვად გადმონასხივი...
(უფრო ლამაზი, ვიდრე ხელფასი ანუ შენი სადედოფლო ...).

სად ვიპოვოთ პრეზიდენტები?!.
მათ რომ ჰგონიათ
საერთაშორისო შეხვედრებზე არსებობენ უპირატესად,
არ დაიჯერო,
მათივე ერის ღირსებაში მოვიძიოთ პრეზიდენტები
და ... მაცივრებში.

თუ გარბიან ქვეყნიდან და სხვაგან მსახურად ეწყობიან,
არც ლირსებაა და შიგ პრეზიდენტს სადღა მოძებნი?!.

გამოალებ მაცივარს და...

ჩაციებული შიმშილი გაქვს

და ეს შიმშილიც ზედ ლირსებაზე გიკაკუნებს.

ჩემო კარგებო, გგონიათ, რომ ეგ სამოსი გაცვიათ მართლა,
ამ დილით ასე გულდაგულ რომ გააუთოვეთ?

ლირსებას უყრი ხელს სახელოში,

მასვე იმოსავ.

ის შემოგავლებს ირგვლივ სიმშვიდეს

და ვინც მოგდგება სპეცდავალებით,

ჯერ სიმშვიდის გალავანს გიმტვრევს,

მერე ლირსების სამოსელსაც ის შემოგაფხრენს.

გაიხსენე გიუნტერ გრასი

და მისი „ის, რაც უნდა ითქვას.“

ყველა პოეტს აქვს კალმის წვერზე, რაც უნდა ითქვას,
მაგრამ ხომ რჩება კალამშივე ამოუთქმელად?!.

ოთხმოცდაოთხი წლის ავტორმა

არ იცოდა, რაა სიფრთხილე

და რა მოიგო?

დიდი სკანდალი.

ჩვენ ვიცით.

ჰოდა, არაფერიც აღარ მოგვივა!..

ფრთხილად,

არ ჩაგესუნთქოს.

თუ ფილტვებში გადაგცდება,

ძარღვებს დაცეცხლავს.

გადამდებია ეგ ლექსი.

ამიტომაც გადავლე თვალი ზერელედ,

წაიკითხე და გაიცინე.

ასე ბევრად იოლია, ბევრად უსაფრთხო.
ჩემში ვცხოვრობ და
მე ვარ ჩემივ ციხესიმაგრე,
ყველა კოშკი და ყველა გოდოლი
მე მედარება.
მენეტარება ჩემში ყოფნა
და ღიმილები –
ციცქნა-ციცქნა გაზაფხულები
(რეაქცია რეჟიმზე)
ბაგეებზე მეშლება ურჩად.

თუ იმ შენს უფროსს,
როგორც წესი, არ გაახსენდა,
ის ხელისუფალი სწორედაც რომ ოპოზიციიდან
გადმოხელისუფალდა
ორი საარჩევნო ვადით
და მესამედაც ისევ უნდოდა
ქვეყნის ყველაზე რბილ სავარძელში
დაპრეზიდენტება,
მაშინ როგორლა?!.

... და ახლა როგორ?..
შენ ოთხი თვე გაძლება გინდა.
არ არსებობს, ახლა დანაყრდე,
ოთხი თვე იძინო
და პირდაპირ არჩევნებზე გაიღვიძო
დედა დათვივით....
თუ სამსახური დაკარგე,
თან ღირსებებიც „შემოგადნეს“ ფანტელებივით,
მერე დაჯექი და იფიქრე:
– რომელი უფრო ცუდი იყო?!.

ციხესიმაგრე ღირსებაა.
იერიში ციხეზე მოაქვთ,
იმ ღიმილებზე
მინიატურულ გაზაფხულებად
(და არა ლიქნით დაზაფრულებად)
ბაგეებზე რომ გეშლება.

ფრთხილად,
უკვე გითხარი:
არ ჩაგესუნთქოს!
გადაავლე თვალი ზერელედ...

24 მაისი, 2012 წ.

* * *

ხეს ხორციელზე წრფელი ხმა აქვს,
აბა, უსმინე, რა უშუალო შრიალშია?!..
მოზღვავებაზე აშრაშუნდა და სიჭარბეზე.
ყველა საშრიალო ამოიშრიალა,
ყველა სალივლივო ამოილივლივა,
ყველა ბგერა აატალლა
და ყოველი ჩქამით ცამდე მართალია.
ნახევრად რომ იშრიალოს,
თითქოს დარჩენილი ნახევარი არ ეშრიალებოდეს,
ან ძალისძალად, ორმაგად რომ აშარიშურდეს
სხვა ხეთა ჯიბრით,
ძეხორციელი ხომ არ არის?!..

ნამი ბალახზე

ნამი ბალახზე – ეს ისე ჩემია,
ან კიდევ – რაღაც იმგვარია ჩემში,
ან თუ: რაღაც იმგვარი ვარ მასში,
ისე მიმიზიდა, მიმწია, ჩამისახლა,
ეს თითქმის მე ვარ,
ან – ზუსტად მე.
ის კი შედგა, შეყოვნდა
და... დამაცქერდა.
შემრცხვა.
ღმერთო, ბალახის ნამზე რამდენხანს მიყურებდა!..

ანაქტოზი

ეგ არის, რაც მანიშნე
წუთისოფლის მარილში?
ათივ თითის ბალიშზე
ათივ თითის ბალიში

და თითები – რითმები...

თითქოს რაღაცნაირად
რაღაცგვარ რაიმეთი
ჩამოსხვანაირდება
შენი სხვანაირეთი.

სხვა-სხვა-სხვანაირეთი,
სხვა მხარე და მილეთი,
საითკენაც
ამ ჩვენს ოცდამეერთეს დაჰკარგვია ბილეთი.

ხმები ირგვლივ: ხა-ხა-ხა, რა თითები,
ან რა სხვანაირეთი,
აპოკალიპსის პირას
მოდაშია ზასები და მინეტი!..

ჰარლალალო ჰარალე და
ჰარი-ჰაიჰარადა,
მოსვლას მოვრჩი, წასვლას ვიწყებ,
მტვრად წავალთ და ქარადა,
ვარაიდა ვარადა,
არა და...

ეგ არის, რაც მანიშნე
წუთისოფლის მარილში? –
ათივ თითის ბალიშზე
ათივ თითის ბალიში

და თითები – რითმები...

ანაქრონიზმი –
ანაც – კომიზმი...

იდუმალო, ვიმდუმაროთ!..

* * *

გსტუმრებია სტუმართაგან ულამაზესი
/არგუმენტი: ვარსკვლავები – შემოხედვიდან/,
შეუცნობელი
/ჭკუამოჩქექით გალუღლუღებს/,
სიზმრისებრ მძაფრი
/გძინავს ცხადში,
ყიამეთში ჩაყავხარ და შარავანდად გესამოსება/,
სიცოცხლის პირველელემენტი
/გშლის და გაშენებს,
განგშხამავს და განგაბოროტებს/
და ცხადად გრძნობ, გულისგულიდან
ღერა-ღერა ამოიღერა
ცარგვალივით მაღალი ბგერა/.
ფეხქვეშ ღრუბლის ბილიკი გაქვს
და ხდები...
ხდები...
ხდები რეალურად ირეალური.
ხვდები, სათანადო რითმაა
„სიყვარული – სიტყვა „რული“,
ოლონდ რად გინდა?
ველურია შენი სტუმარი,
რითმებს ვერ იცვამს,
ხოლო რული სიფხიზლის უკულმა პირია.
გადმოატრიალე ეგ თვლემა და ასე ჩაიცვი.
სიცხადე ლიბრის გადაცლაა,
/ვერ ლიბრი/.

პგელი დგეულიდან

* * *

წინ ვინ მიცდის?
ჩემი ბედი,
ვინ იქნება
იმის მეტი.
მიგალთ წყვილად
მე და ბედი,
დასალოცავ –
დასაყვედრი.
დროზე ადრე
ვინ ცნო ბედი,
ბედთან რაა
გასაბედი?
ტრფობის რეტი,
მტრობის ღვედი,
ყველაფერი
არის ბედი.
ჰოდა, რაა
გასახედი,
ეგ არის და
ჩემი ბედი.

* * *

მზემ მასესხა თვალში სხივი,
მიწამ – მუჭა ხორცი,
მიწა მითბობს ფეხისგულებს,
მზე მკლავებზე მკოცნის.
მევალეთა შუა ვცხოვრობ,
ღმერთო, სესხის ღირსმყავ,
მზისა ვარ და კიდევ – მიწის,
მიწის ვარ და მზის ვარ.

* * *

რაა ის?

რა ჰქვია და საიდან მოდის?

აუხსნელი ნელსურნელის მელოდიით

საიდანლაც რომ ჩამოგიციალციალდება,

აპა... აპა, აგერ-აგერ ჩაგესუნთქება,

ჩაგიუანგბადჟანგბადდება ორივე ფილტვში,

თუ პეპლის ფრთების აბსტრაქციებში იშვება

და მოხაზავს ტრაექტორიას შენკენ

და მიგიზიდავს

თუ მიიზიდავ...

თუ რომელიღაც გაფიქრებას ამოაფიქრფიქრდება

და მორიგ გაფიქრებას კვლავ ჩაჰყვება

შიგნიშიგან

და მას მერე

ჩაჰყვება და

კვლავ ამოჰყვება

და მერე ისევ რომ ჩაჰყვება

ყოველ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას

და მთელ ცხოვრებას

გისურნელებს?!.

ტბილისი

1/ უიმვაშლოდ რად არ მხედავდი?!.
/ კითხვის ტემპი – Allegro /

მან, იმ ედემში უცბიერესმა,
ჯერაც რომ არ დაწყევლილა დიდი წყევლით
და არ გაკვრია მუცლით მიწას სამარდჟამოდ,
ასე მითხრა, ამ ნაყოფით არ მოკვდებითო.
ის კი...
აკრძალვასავით მძაფრი იყო,
მაცდუნებელი ცოდვასავით,
დაუძლეველი,
ყურთასმენის წამლები ხმით ჩამომძახოდა, ჩამკბიჩეო
და ჩამ-ჩამე-ჩამე-ჩამეკბიჩა.
დედამიწის ფორმებს ისე იმეორებდა,
მისებრ როული,
ჯერაც სრულად შეუცნობელი,
თან რაღაც ტკბილი,
რაღაც უჭხოდ ამოწვნიანი,
შენკენ რომ მიმწევს,
მიმიზიდავს,
მიმახლოებს.
და... მოგაწოდე,
მაგრამ ჯერ არ ჩაგიკბეჩია,
აგერ ხელში გაქვს და პირს ავად უახლოვდება.
ჯერ სიშიშვლე უხილავია.
კაცობრიობა შებრუნდა უკან,
ათასწლეულებს შემდეგ ფილმებს უკულმა რომ დაახვევენ
და კადრები უკან-უკან დატრიალდება,
ზუსტად იმგვარად
უთვალავი მიწადქცევა დაბრუნდა უკან,
ბორცვებიდან დგებიან და ამ-ამო-ამო-ამოდიან წინაპრები

და...

იმათი წინა, წინისწინა,

აქედან – იქით,

ნეოლითიდან პალეოლითისაკენ,

ნოემდე და ნოეს იქით,

წამ-წამო-წამო-რომ-იშალნენ მიწის ზურგიდან,

მისხლითაც კი არც მეტჯერ და არც ნაკლებჯერ,

ზუსტად უთვალავ-უთვალავგზის...

და წამოვდექით აგერ ევა, აგერ – ადამი.

ჩემი ხელიდან

ვაშლმა უკვე გადაინაცვლა შენს ხელში და...

კბილებს ავად უახლოვდება.

ო, უცოდველო გულუბრყვილობავ,

მე, შენს ნეკნქალას, რად არ მხედავდი?..

უიმვაშლოდ რად არ მხედავდი?..

მიყურებდი და, თითქოს, სულაც არ ვყოფილიყავ,

ჩემს მიღმა ისე მიინევდა ეგ შენი მზერა,

თითქოს ვიყავ უსხეულო და გამჭვირვალე.

სხეულში ჩავდექ და სხეული მომესხეულა,

სხეულმყოფს რაღაც მომეახლა, სხეულზე მეტი,

სხეულმა მითხრა,

რომ შენი ვარ

და ჩემგან რაღაც ისე უცხოდ ამოსხეულდა,

ათასწლეულებს შემდეგ რომ გამოიგონებენ,

იმ ვიოლინოს პირველი სიმის თრთოლასავით,

სულის ამოსვლას რომ ჰგავს

და სხეულში კვლავ ჩაბრუნებას.

ვაშლი ხელში გაქვს და პირს ავად უახლოვდება.

უიმვაშლოდ რად არ მხედავდი?..

წამოიშლება ამ ვაშლიდან რამდენი ცოდვა,

შური, სისხლისლვრა, წართმევა და დასაკუთრება...

უიმვაშლოდ რად არ მხედავდი?!.

მერე და მერე თაობები რომ პირველცოდვას უწოდებენ
და სინანული ეუფლებათ ამ ვაშლის გამო,
უიმვაშლოდ რად არ მხედავდი?..
შენი ძვალი ძვალთაგანი
გვერდით გყავდი.
უიმვაშლოდ რად არ მხედავდი?..
სხვა ვინ იყო,
შენს თავს არვინ მეცილებოდა.
ათასწლეულებს შემდეგ და შემდეგ
როგორ რთულია იგუმანო შენი ნეკნი,
იპოვო და კვლავ ჩაინეკნო,
შენ კი უჩემოდ
გამორღვეული ფერდი იმავ წუთებიდან რად არ გტკიოდა?
გვერდით გყავდი და რად არ მხედავდი?!.
ვაშლი ხელში გაქვს და პირს ავად უახლოვდება...
უიმვაშლოდ რად არ მხედავდი?!

2/ . . .

/მოდერატო/

ხვარამზე, ქალო ხვარამზე,
მასთქვამ ვარამთა ვარამზე,
სხვა კერის დიასახლისო,
ლვიძლ კერას რარიგ საკლისობ!..

სხვა მკლავზე მწოლო, ეულო,
თაფლ-გესლადგადაქცეულო,
სხვას ჰკოცნი, განა არაო,
ქალო – ნახევარქალაო!..

შენს კოცნას – დანა ალესო –
სჯობს, უსურვილოდ ალერსობ,
ამხელა ნატვრა ნახვისა
საით-ყე შეინახვისა?!

კვნესას რო ლექსად ახრჩოლებ,
შენს ქმარსა, მითხარ, ესმისა?..
ქალობაგაცუდებულო,
შე ცალულელავ, შე სხვისა!..

3. კოლხი ხვარამზე

/Allegro/

თვალებო, ჩადით საბუდარში, არ აგანგაშდეთ!..
შფოთი ჩაიცხრეთ, ჩაეტიეთ თვალთა უპეში!..
გამცემ-ჯაშუშნო, მუხანათნო, მოღალატენო,
ამ წუთას უნდა მიერთგულოთ...
სხვაგან და სხვა დროს – როგორც გსურდეთ,
მაგრამ ახლა კი ნუ გამამხელთ!..
ერთსულოვნად ვიმოქმედოთ.
საითაც გნებავთ, გაიქეცით,
თუნდაც – ყველა მიმართულებით,
მხოლოდ იქით,
იმ ერთ მხარეს გეკრძალებათ, საიდანაც
ალხის მზერა ახლა სწორედ თქვენკენ გამორბის!..
იქით არა, დაიხსომეთ, არა და არა!..
არც გაბედოთ!..
არც იფიქროთ!..
არც მოისურვოთ!..

ბაგებში სიჩუმე გვყავს,
თვალში – სიმშვიდე!
თევზი! – აი ჩვენი პორტრეტი,
ვიზუალური ხატი ჩვენი,
ჩვენი ემბლემა.

ჩვენი გულის ბრაგუნები –
თევზის შიგანში!
გული პირველი გამცემია.

ჩვენი ხმა – თევზის ლაყუჩებში!
ხმაც ჯაშუშია.

ხოლო მისი ხმა რომ მოგვესმას,
ჩავიწყურგილოთ.
ხმა შემოვისხათ მაქმანებად
ანდა... სულაც ხმაში ჩავყვინთოთ.
ოღონდ...
ოღონდ...
შეხედვის გარეშე და ოღონდ თვალდახრით,
თითქოს სრულიად სხვა რამეზე ვფიქრობდეთ და ეგ არც
გვესმოდეს.

ხმა სამხილია.

შინასკნელიდან ამოდინდება.
იქ, მის ბზარებში, შრიალებში, სიმყუდროვეში
საიდუმლო განეფინება.
ჩვენ შეგვიძლია შუაგულში მშვიდად ჩავყვინთოთ
და თევზი რომ შეავლებს თვალს წყალმცენარებს,
აი ასე ვათვალიეროთ უთქმელობანი.
თითო-თითოდ ამოვიცნოთ
და არც ერთი არ დავტოვოთ გამოუთქმელში;
არ შევარჩინოთ, რადგან გვანიშნეს, იმ ხვაშიადში, თურმე,
ჩვენა ვართ.
(ჩვენს საიდუმლოს ჩვენვე უნდა ვფლობდეთ. ასეა.).
ჩვენ კი თურმე იმ ცხრაბეჭდიანს ერთი ბეჭედიც ვეღარ
ავხსენით.
აკი გვეგონა...
აკი გვეგონა...
აკი გვეგონა, გამომცნობი, თითქოს, ვიყავით!..
რასაც თავად ვერ ხვდები და მიგახვედრებენ,
თავშიჩაცხებულს ემსგავსება,
თავსჩაცხებული სიყვარულიც იყოს, ლოდია.

ხმა ნაპრალიდან ამოდინდება.

დუმილისაგან ბაგეები სკდება ნაპრალად.

ჩავყვეთ ხმას იმ ნახეთქებში,

ჩავწიალდეთ,

ჩავნაპრალდეთ,

ჩავჯოჯოხეთდეთ.

ხმაში ტყაპანი მოვადინოთ, როგორც სალამოს ნელთბილ ზღვაში
ხორშაკ სილაზე გარუჯვის შემდეგ.

(არა, აშკარად რომ სუსტია ეს შედარება),

ან ბავშვობის გრილ მდინარეში,

კამკამელებში კენჭს რომ დაითვლი.

(აღარც ეს ვარგა. ჯოჯოხეთურს ვერ გვაგრძნობინებს.

უფრო ზუსტი შედარება უნდა მოვიხმოთ).

ხმა ჩავისუნთქოთ,

როგორც ...

როგორც...

როგორც ნესტოებში რეზინის მილგაყრილი

ავადმყოფი სუნთქავს ხარბად

მაცოცხლებელ ჰაერს ჟანგბადის ბალიშიდან.

(ჰო, ეს, მგონი, სწორედ ის არის).

ხმა აღვსილია იდუმალი ბგერა-ნიშნებით

და უკლებლად, უთავებლად ამხელს ყველაფერს.

თქვენ კი (ჩემო გულო, თვალებო, ხმავ...)

ჩემო სამხილებო, თევზადამც გადამქცევიხართ!..

თევზს თუ გაამხელ,

მაშინ თევზი არ არის უკვე.

ამოთქმული თევზი არსად არვის სმენია.

რეალობა ამოთქმისაა.

/რეალობაში ყველა თევზი დაიხოცება.

ამიტომაც იდუმალში უნდა დავტოვოთ!../

ჩვენ კი – თევზი ვართ.
ბაგებში სიჩუმე გვყავს,
თვალში – სიმშვიდე.
თევზი – აი ჩვენი პორტრეტი.
ვიზუალური ხატი ჩვენი,
ჩვენი ემბლემა.

თევზი კეთილსაიმედოობის ეტალონია.
ძალას ისეთი თვალები აქვს,
რაღა (პირ)უტყვი, ჩვენზე უფრო პირმეტყველია,
თვალის პირველი შევლებიდანვე ამბობს და ამბობს
და ეს რაღა ერთგულება?!.
ეს ამოთქმული სიყვარულია,
ძირისძირამდე რომ შემოგყმუვლეს.

თევზი უტყვია,
უდალატო,
გაუტეხელი,
ლაყუჩებიდან არ დასცდება ერთი მარცვალიც.

თევზად ყოფნა უნდა ვისწავლოთ.
ჩემო თვალებო, ხმავ გულისცემავ,
ვიყოთ თევზივით!..

... მაგრამ, მითხარით, თევზი ნიღბად საიმედოა?
საიმედოა თავშესაფრად?
მართლა ასე საიმედოა?!

თევზმა იცის ყუჩი, როგორც „ოქრო რჩეული“.
სამყაროს ულრმეს საიდუმლოში შედგაფუნება
სწორედ ამგვარი დუმილების მოსმენას ნიშნავს.
თევზი რჩეულთან მოუბარია
და თუ წმინდა ავგუსტინეს დაეჯერება,
თევზი უხორცოს ესიტყვება.

(აქვს დუმილი – სრულყოფილება,

იგივ – სისავსე).

აბსოლუტური სმენის ხორციელს ესმის თევზის ხმა.

იქნებ...

იქნებ...

იქნებ იარსაც ესმოდეს ის გაუმხელელი?

იქნებ სწორედ იგი იყოს აღმატებული სმენისა და

ესმოდეს სწორედ უტყვი ბაგეთა ნათილისმევი?

იქნებ მას ჰქონდეს ზედ შუა შუბლზე

მდუმარების ახსნის ტვიფარი? ღიმის გარესაფარველში იქნებ გაიგოს

უღრმესი გმინვა?!

იქნება თევზის ენა ახსნას, მიწისქვეშეთ-ზესკნელების ნიშნებით სავსე?!

(მით უფრო, თუ გამომცნობი გამომცნობს იცნობს!..)

... და მაშინ?!

ცულებს პპარტიული

ამაოა, რაც ამოა,
დილა ჩანს და... საღამოა.

გვხედავენ, მარტო არასოდეს არ ვართ სრულებით
და ვინც დაგვიწყო, მასვე ვყავართ დასასრულები.
ის გვიცნობს მხოლოდ,
და მანვე იცის, ვინ რითი ვართ დაისრულები
და ნაკვალევად რატომ გვრჩება მრგვალი ნულები.

ისიც კი ვეღარ დაგვინახავს ვერვის სრულიად
და აღარც სადმე თითზე კბენა-სინანულია!..
თვალად – ნულები!..
ახედე, ცაზეც მზის ნული და მთვარის ნულია
და დედამიწაც ერთი დიდი მრგვალი ნულია.

ამაოა, რაც ამოა,
დილა ჩანს და... საღამოა.

ნუ გახსნი ბაგეს, დაუკვირდი, გახსნი – ნულია,
მკლავებს შემოჰვევ სასურველს და... მკლავიც ნუ-
ლია,
წრე რომ შევკარით საცეკვაოდ, ისიც ნულია,
ძეხორციელი სულ ნულებით შემინულია...

...და მდუმარებას იმოსავენ ახლა სულები,
ხორცის ამაო საზრუნავებგარდასულები.
სულებო, სრულად განიძარცვეთ მიწის ნულები?..

და რა იპოვეთ იქით-იქით ასალბუნებით?!.

ჩვენ ჯერ აქა ვართ

და სანამ რაც ვართ, აღარა ვართ მეტი სრულებით,
ნულების რგოლებს ჩვენც ნულებად მივენულებით.

ნულს გამოივლი, აღარც სადმე დასასრულია,

ოღონდ ხორცს დათმობ, იქით მხოლოდ...

მხოლოდ სულია....

სული სრულია.

ძლივს შევირჩინე

და ისიც... ნულებს აკაწრულია...

* * *

ვარდო, ბალლივით მიამიტო,
ვიგრძენი, ბუტკო სურნელად რომ მოარღვევს შენს საიდუმლოს.
მოდი, შემიშვი შენს სურნელში,
მეორე ოქტავის ლა ბერისა და სი ბემოლის
ტრელს რომ მაგონებს!..
შენს ბერებში შემიპატიუე,
შენს ხიბლში შემხიზნე,
ჩამიკარი, ჩამიმყუდროვე!..
მომხვივ ფურცლები, მომელიმილე...
იგრძენი განა, გული ლექსად როგორ მოარღვევს ჩემს საიდუმლოს?..
ერთმანეთის ცნობადის წრეში ჩავსაიდუმლდეთ,
ერთმანეთში ჩავიძიროთ!..
შენ იცი, როგორი ნატყვიარი შეიძლება არსებობდეს?
ეჭვად მაინც იცი?
ნატყვიარი, ხელი რომ ჩავა!!!
გინდა ჩაგახედო?
ნუ შეშინდები, იქ დაფლეთილი ლექსები ყრია,
თითო ნაფლეთში თითო ძარღვი ფეთქავს ბარტყივით.
გინდა შენი გულუბრყვილო ფურცლები
შიგ ჩაგაყოფინო?
ამოფლეთილი ხორცი – ტკივილის ღია აკლდამა
დაგანახო?
ნუ შემიკრთები,
ეგ იარა ნაგაზივით არ იყეფება,
ყრუდ იგმინება,
თითქმის მოვიშინაურე...
აი, მე უკვე შემოგიშვი.
...და სიცოცხლე სხვა რა გგონია,

თუ არა ერთიმეორეში ჩაძირვების შესაძლებლობა?..
ნატყვიარში რომ ბინდი ჩამიდგა, მიქციე ვარდად,
შენ ისეთი უცოდველი ხარ, ბალლივით წმინდა,
რომ შეგიძლია!..

ცისა და მიწის შეზავებავ,
ქვესკნელ-ზესკნელის შუა არსებავ,
ქვესკნელ-ზესკნელის შუა მყოფს იცნობ?
და...

მაგრამ...

თუმცა...

შენც ხომ... შენც ხომ დაუცველი ხარ?!
მოდი, გულიანად შეგათვალიერ-მოგეფერო,
ამ წუთისოფლის ნატყვიარი სადმე ჩუმად
შენც ხომ არა გაქვს?
ყველაზე მძიმე, ყველაზე ღრმა ნატყვიარი ღირს განდობად.
გინდა ჩაგიკრა,
მოგეხვიო,
ჩაგისათუთო?!.
გინდა ტკივილი ლექსად გიქციო?..

სურები

სად ვიყავ, სად რა მივსულვარ, –
არ გეცრუებით სრულებით, –
ტაბლაზე ჩამომედგმოდა
ლექსებშრიალა სურები.
რაც ამომშრიალებია,
სურიდან ამოსულები,
რაღაცრა მისივ ნებით და
რაღაცრა ამოსურვებით...
ამოასხვაგვარგვარებდნენ
ამოსათქმელებს სურები,
ვითომდა განაბულები,
ვითომდა გასუსულები.
ყელჩასიზმრება სურები,
სურები დაისრულების...
ამოცისკრების უთქვამთ და
ჩადაისდაისურების.
პწკარების ამოსხურების
ყელმაჭრიანი სურები...
ჩავიქეიფე სიცოცხლე,
მივმივალ, მივიწურები.

ნიშანები /ანუ ვლუმვარ – ვარ /

იხეტიალა თვალმა ათას ყეყეჩი მზერაზე
და მერე რალად შეყოვნდა თვალში?
და ორივეს...
ორივეს...
ორივეს შეეძინა რა უთქმელობა?
ნიუარისებრი.
ნიუარა სამყაროს ყურია,
იმ ყურში ცხად-სიზმრის ბურია.
შრიალია შიგ სრულიად
და შრიალში ზღვის სულია,
იმ ზღვის სულში წყვდიადია,
იმ წყვდიადში დიადია.
ვულკანი ამოფრქვევამდე დუმს,
გრიგალი გადარევამდე დუმს,
ლექსი ამოშვებამდე დუმს,
მენი გადმოსკდომამდე დუმს.
დუმილი საშიშია,
დუმილი ჰაშიშია.
ჰაშიში თრობაა,
სიცხადის თმობაა.
ცხადი...
ცხადი...
ცხადი დიდი ამაოებაა.
ნეგატივი რომ ფოტოდ მულავნდება,
ზუსტად იმგვარად
ცხადს იქით ბევრად მაღალი ცხადია.
რა უფრო არსებობს:
ცხადი თუ ცხადს იქითა მაღალი ცხადი?

ნიუარაში დუმილია
და დუმილში – ნიუარა.
თავს თუ დურთავ შუაგულში
გიუმაუნა-გიუარა,
შიგნით, ნახავ, ზღვის ყუჩია
და სიჩუმის ვოკალი:
– უთქმელობით მომგუდე,
უთქმელობით მომკალი!..
ვიფარებ დუმილს,
მისანდო ფარს,
სიტყვამდე დუმილია,
ვდუმვარ – ვარ!..

* * *

სამყარომ და მე
ერთიმეორეს თვალი შევავლეთ.
ის-ის იყო,
შეღამებისფრად შეიმღვრა დღე და
ფანჯარაში ლექსი გაისუსა.
გიტყვიო, მანიშნებდა.
...და შემომესმა,
სიტყვა სიტყვას რომ მოაკონწიალებდა
სიჩუმეების ურიამულში.

* * *

„ამ ცხოვრების ნახევარგზაზე“

უთვალავთაგან

ულრმესმა მე-მ იმგვარად შემომხედა.

პაგანინის ნებისმიერ კაპრიჩიოსავით ოცდაოთხიდან,
მის ფონზე საშობაო გოჭს ყელს რომ ღადრავენ.

აი, შე სხვა ყოფის დეტალ-ჭანჭიკო,
ვერ ჩაეხრახნე ამ ცხოვრებაში?..

ეს ცით სავსე დღე, ეს ორი ხე
და ერთი ჩიტი ხომ გრანელია?

გახსენდებოდეს.

– უჰ, რა ხანია მძინებიაო, გაიზმორება,
წამოდგება და წამოვა
„რაღაცა სხვაში“ მყოფი.

* * *

გარინდებების კრიალა ბროლში
შეირხა სიტყვა.

დაიმსხვრა ბროლი,
ჩამოიშალა ფეხქვეშ ქიმი
უმწვერვალესი გაყუჩებისა.

მაგრამ სიტყვა იყო უძლური.
გაწბილებიდან სალამური აკვნესებულა
და მის ბემოლზე დაშვებულა
აციმციმება მზის ერთი სიმის.

* * *

ვისაც რა გვიყვარს, იმით ვქეიფობთ.

პლატონმა ხომ ინადიმა კოსმიური მისტერიებით?

ვან კლიბერნი ჩაიკოვსკით, თურმე, თვრებოდა,

ემილ გილელსი – ბეთჰოვენით,

სალვადორ დალი – საკუთარი ფენომენით

/სიურრეალიზმი თავად ვარო და თავის თავზე რომანიც წერა/,

გია დვალი – სამყაროს დიდი რაობითა და ბუნების იქსკანონებით

/იმ პირველნაწილაკთა ხილით, თურმე, რა თრობა შეიძლება!../;

სოლომონ მეჯლანუაშვილი, კარგად გახსოვთ, რითაც თვრებოდა.

ის კი... სიტყვებით ქეიფობდა.

შეახვედრებდა მათ ერთმანეთს,

ჯერ შორიდან შეახედებდა,

გუმანით შეთვალთვალების შემდეგ,

უხდებიანო, თუ იფიქრებდა,

მოიმარჯვებდა კალმის ყაისნაღს

და... მიაქსოვდა ერთიმეორეს.

* * *

მზე რომ ჩადის და

გამოთხოვების შეკავებული ცრემლის განცდით ავსებს პეიზაჟს,

ჩადის და გულდაგულ ჩაკრეფილი ყველა სხივით

რაღაცას ამბობს,

მიაყურადებ.

მაგრამ რა?..

დუმილის ვეებერთელა, რვაკეცად დახვეული უხსენებელი

იცავს ნათქვამს,

როგორც ზღაპრული განძის კარებს.

გულისხმისყოფის ჯადო უნდა ამ რვაგზის წყეულს,

იქნება რამე გამოსტაცო.

წასვლის სიბრძნით სავსეა წამი.

გ ზ ე ბ 0

ყველა გზა შენივ თავთან მიგიყვანს.
მოგზაურნი ვართ.

გზები –

ყისმათის მოზიდული მშვილდიდან გაფრენილი ისრები –
ამ სოფლიდან იმ სოფლამდე
მიზუზუნებენ.

მიღმიღმივდივართ...

და რა გზები მივკეც-მოვკეცეთ!..

ყოყმანის გზაგასაყარებზეც დავყოვნებულვართ,
გამოგვივლია რამდენი შარა,
ბილიკ-ქაშანი და ბეწვის ხიდი...

გზა-გზა იყო ნოქტურნები გამოსალმების

და შეხვედრების რაფსოდიები.

კიდევ კარგი, რომ

ამ გზებს არავინ დაარქვა „იმედების ლანალუნი.“

ეს თავიდან მგზავრმა ალარ უნდა იცოდეს!

წუთისოფლის სასწორზე კი

აქეთ რომ იდო დაკარგული, იქით – ნაპოვნი,

აქეთ – ცრემლი და იქით – ლიმილი,

მერე რა, რომ

გადგადმოგადმოქანდებოდა სასწორი აქეთ?

სამაგიეროდ

ლიმილი ხშირად შეიძლება

ყალთაბანდობდეს,

ცრემლი – არასდროს!..

...და მერე ცრემლი ხომ ციმციმებს?

უთვალავი სხივი ზედ რომ დაასკუპდება,

მარგალიტობს

და მისი ძალა, თურმე, სულ სხვა გზის გამხსნელია, –

განივი ჰორიზონტალიდან ვერტიკალზე არის ამყვანი.

ქადაგმა

მიწა მოცომა და ნესტოებში
ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა მისცა თავისი
და გვერდით ქალი გაუჩინა,
ვისი ხელებიც ჯერაც არ შეხებოდა შეუა ბალის მაცდურ ვაშლებს.
თავს ზემოთ, მაღალ ლაჟვარდებში, წყრომის ნაფლეთიც
ჯერჯერობით
აღარსად ჩანდა.
წყალი – სიცოცხლე და ალერსი – მოდგაფუნებდა
ოთხივ მხარეს
და მწყურვალება იყო ცხადზე ცხადი პირობა,
რაც ყოველივეს წრეში ითრევდა:
იმ კაცს და მის ქალს,
ყვავილებს და
ცხოველებს და
ფრინველებს და
ქვენარმავლებს.
და შიმშილი იყო მეორე ცხადი პირობა
მიწის ნიშნით შობილთათვის.
მიწისანი მიწისას ვჭამდით,
მაგრამ მან, ვისი თბილი სუნთქვაც ნესტოებში გვაქვს,
ეგ არაო, ასე გვიბრძანა.
ამას არ უნდა შეეხოთო.
ტაბუ!..
იცის აკრძალვის თვალაუნვდენელ სივრცეებში
მოყაშყაშე შავმა არწივმა
და ქვევით, ტაბუს თვალჩაუნვდენ უფსკრულებში
დახვეულმა ქვენარმავალმა,
იცის შუმერთა ენქიმ,
ვის მკლავშიც ენგურია ჩაკუნთული,

ყოველთვისმყოფ მდინარეში რა ნაკადები ჩაქუხებულა
და რა გვითხრა, როგორ და რატომ
მან,

ვისი თბილი სუნთქვაც ნესტოებში გვაქვს.

წრებრუნვათა მარათონები გამწკრივდა და
მიჰყვა მორჩილად ერთომეორეს.

ჩაირღვა დრო და

ჩაიშალა თვალი უამთა ქსოვილის...

ჩამოდგა ნისლი.

და ჰა, ამ ახალ დისტანციაზე

ვიხსენებთ

და ახლებურად ვცდილობთ ავხსნათ ძველი ქარაგმა,

რა გვითხრა, როგორ და რატომ

მან,

ვისი თბილი სუნთქვაც ნესტოებში გვაქვს.

გელეა

მას აქეთ ბევრგზის

ხორციელთა მრავალთმრავალ თაობაზე
დავინების შლამი შალა შლუ მდინარებამ.

მე ვერ წამშალა.

მარადისობის ნისლოვანში მოვალ და მოვთქვამ:

ოო, ვარსკვლავების იეროგლიფნო,

ცეცხლოვანი რაშის წრეში რად დავიბადე?!.

ოო, ულმობელო ერინიებო,

წევარამი ღამის ასულებო,

ეს რა მოწყველადი წყევლა მომასხით მოსასხამივით!..

ოო, მამიდა კირკე, რად მისახსოვრე გრძნეულება?!.

რად გიხაროდა, შენზე უკეთ თუ მესმოდა

ბალახის ჩქამის ჩუმადჩუმი ჩაჩურჩულება?

შუმი შალაშო შურისმგებლის ამყვირებია,

შეშლილი ბედი შიგადაშიგ თვითონ შეშინდა,

შემომისუდრა შეთი ტრფობა,

შემომახრჩოლა შაპარდუხი შესამუსრავი...

ბალახებო, რად გამიხსენით გულისგული?..

და თქვენ, ქვესკნელის ქრია ძალებო, რად შემიშვით შიშის

შრიალით აშიშინებულ ჰეკატეს სახლში,

ოო, ჰეკატეს დიდო ტაძარო, რატომ თავს არ მემხობოდი,

საბჭუნი რომ ხელში მივეც თან ძალზე ჩემს და თანაც უცხოს?!.

ოო, ხელებო, გამახელებო, რაღატომ არ ჩამომიხმით,

იმ მაღამოს რომ ვაზავებდი?!

ბედნიერია, ვინც ბოლომდე ბედნიერია.

ოო, შურიგე, შენ მოშავშავე შურისგება გამიშეშე არსებაში,

მე კი სამყაროს ილაჯი ხომ ჩემივე ნებით ჩაგისახლე დუნე
კუნთებში?!

შენ, ბერძენმა, საიდან იცი,
შურიგეო, რომ იტყვის კოლხი,
სულს გინაწილებს,
მის სუნთქვაში ხარ!..
ამოგთქვა და ამოგინატრა!..
ჩემი ბრალია,
გაძლევინე ძმა და მამა,
სიზმრის აია!..

ვერ გავიგე, ველარ მივხვდი, ვერ გავრკვეულვარ,
უსაზარლესად მიყვარხარ თუ უერთგულესად შემძულებიხარ!..
ჯერ ხომ მზერაში შემოგიშვი,
შემოგიშვი სუნთქვაშიც, თურმე,
და ეს სიცოცხლე,
ერთ ამოსუნთქვად რომ შემემთხვა,
მთლიანად შენზე გულისკანკალით ამოვავსე.
ქალი ვიყავი. ჭარბად ქალი.
...მას აქეთ, ბევრგზის
ხორციელთა მრავალთმრავალ თაობაზე
დავიწყების შლამი შალა შლუ მდინარებამ.
მე ვერ წამშალა.
მარადისობის ნისლოვანში მოვალ და მოვთქვამ.
მოვაშრიალებ სიჩუმის ექოს,
ისე გაბევრდა,
თითქოს სიჩუმის ჩიჩახვიდან
ჩვილი ჩქამი ამოჩუმჩუმდა...
არ იჩქმალება, მოდიდდა და
ჩანს, ჩამიჩუმის მოჩქრიალებს ჩქარი ჩანჩქერი,
წამოიშალნენ სიჩუმეები,
ხმა აიმალლეს,
შემოგვიგდეს ფაფარაშლილ ხვეულებზე და
შეხე, საით მიგვაქანებუნ!..

ვერ გავიგე, ველარ მივხვდი, ვერ გავრკვეულვარ,
უსაზარლესად მიყვარხარ თუ უერთგულესად შემძულებიხარ!..
შენი ბაგე, ჩემს ბაგეს რომ ეთაფლებოდა,
იცოდე, რომ ან სხვა ბაგეს ვერასოდეს ვერ ჩაითაფლავს,
შენი მკლავები, ჩემს მკლავებს რომ ეთასმებოდა,
იცოდე, რომ ან სხვა მკლავებს ვერასოდეს ველარ გათასმავს,
შენი თვალები რომ მიმწყვდევდნენ მზერის რკალებში,
ან სხვას ვერა და ვერ მოიმწყვდევს,
სხვა, უბრალოდ, არ იქნება!..
სხვას - ცეცხლოვანი საპატარძლო შესამოსელი
ცეცხლოვანი რაშის წრეში შობილისაგან!..
დავიშალე, ჩამოვზავდი, ჩამოვპირქვავდი...
ჩვენი ვაჟები... ჩემი ვაჟები... ჩვენი ვაჟები...
თოლიგვირალი ჩვენი ვაჟები,
აიას თეთრი კვიცებივით მოკუნტრუშენი...
ამ ხელებით???

ოო, ევრიპიდე, ეს მე ვიყავ თუ დამაბრალე?!.
ეს, მითხარი, მართლადამართლა დამაბრალე თუ მე ვიყავი?..
დამაბრალე თუ ჩავიდინე?!.
.....

...და რატომ თავად ის არ ვიმსხვერპლე,
ჩემი შურიგე, თან ჩემი და იმავ დროს უცხო,
ვინც მოვიდა და ხმელი გოგო ქალად ამანთო?!.
იქნებ სიკვდილი მეცოტავა,
არად ჩავაგდე
ჩემი დიდი სიყვარულის საპირწონედ
მისი დიდი ღალატისათვის რაა სიკვდილი?!.
და სუნთქავდა ვისი სუნთქვითაც,
ვის სუნთქვამიც სუნთქვა ჰქონდა,
ის სუნთქვები სათითაოდ გადავუჭერი!!!
ცოცხლად გავგუდე!!!

ამოისუნთქა და კვლავ ვერ...

ვერ...

ვერ ჩაისუნთქა...

და არის ასე...

ასე სუნთქვაგაშეშებული...

თუმცა თავსაც იგივ დავმართე!!!

და გგონიათ, სიშმაგის ჟამს არც ვიაზრე, რა გავაკეთე?!..

მე დავსაჯე ის და ჩემი თავი თანაბრად!..

შვილებს როცა ვიმეტებდი,

დროის ჩარხი უკან-უკან დავატრიალე,

წავშალე ჩვენი ბედუკეთური სიყვარულის ნაკვალევები...

ან იქნებ მამრის მომავალი ღალატი მოვკალ,

იქნებ მომავალ ავკაცობას გამოვლადრე მევე კისერი...

ოო, უცხოელო, არასოდეს ამოგინატრებ!..

მამაკაცი გულზიდვაა!!!

ქალიც იგივე!!!

და მაინც... მაინც...

ოო, ევრიპიდე,

ათასწლეულთა ნისლი წამით გადამიწმინდე

და მე, მხოლოდ მე გამიმხილე:

კორინთელებმა ნამსხვრევ-ნამსხვრევ დამამსხვრიეს

თავს ასე ცა თუ ეს მე ვიყავი?..

დამაბრალე თუ ჩავიდინე?!..

ჩავიდინე თუ დამაბრალე?!..

დამაბრალე თუ ჩავიდინე?!..

.....
ჰა???

* * *

ყოველდღიური ფაციფუცებიდან
გიხსნი, დღენათელო,
შენც მიხსენი.

ბოლო ღიმილისფერ კაბას გადავიცვამ,
ჩავჭიდოთ ხელები ერთმანეთს.

მთლიანად გეყოლები.
მთლიანად მეყოლები.

არ-არადა-არაფერში ვიქნებით წყვილად.

რომ გვკითხავენ: როგორ ბრძანდებით? რაა თქვენთან ახალი?
მივუგებთ: – არა გვიშავს.

და ეს იქნება სრული სიმართლე,
სრულად სიცრუეგარეული.

კიდევ მივუგებთ: – ახალი – არაფერი.

და ეს იქნება კი სიმართლე?

აბა, იმას ხომ არ ვიტყვით, რომ
აპა... აპა

უახლესი შეგრძნების წამპეპელამ – მზის ათინათმა –

აგერ, ხელებზე რომ საყვარლად დაგვსკუპებია,

უშორშორესი იმპულსები, ძვალ-რბილში შემშემომშემომლწევი,
ჩაგვიდინა მთელ სხეულში, მთელ არსებაში

და სამყაროს მიგვართა უნატიფესად.

აბა, ამას ხომ არ ვიტყვით?..

ან იმას ხომ არ გავგავამხელთ,

როგორ ვიპრიორებს ჩვენი გული

და განივრცობა წრედ ტალღები მთელ სამყაროში?!

ხომ არ გავთქვამთ

აქ და იმავ დროს ყველგან ყოფნის იმწამიერ დამუღამებას?!

აურაცხელი რამრამეა, რასაც ვერ ვიტყვით.

ყოფითი ფაციფუცებიდან კი

ასეთ რამეზე საჩვენებელ თითს ატრიალებენ საფეთქელთან.

ფაციფუცების სტიქიით აღძრულს

ხომ ვერ ვეტყვით,

თვალებით, ყურით, ყნოსვით, შეხებით თუ სურნელებით

რას მეტყველის სამთცდამებთე?..

სივრცე ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ, სათითაოდ და რიგრიგობით
როგორ შემშემობალახდება,

შემოჩიტდება,

შემშემოგალობგალობდება თაფლისფერებში,

აფოთოლდება საფოთლეთი,

შეინიავებს ნიავი,

წყალი და სხივი ერთმანეთში აპროლდებიან,

ხეივანიც სახეივნო ნელსურნელებით შემოხეივხეივანდება.

მარადიულს აედევნება წუთიერიც:

ფაციფუცით ალძრული ფაცაფუცები,

ფაციფუცებში შეფაცფაციფუცებულები

მიფაცფაც-მოფაცფაცდებიან გაფაციცებით,

შინისკენ მიაფაცფაცებენ ნაფაციფუცარს...

აიზილება ამდენი რამე

და შემდეგ... ერთად აჟღერდება

მთელი ორკესტრი.

ეს არ იქნება

პაგანინის სხივკამკამა კაპრიჩიო

ან შოპენის ეტიუდი,

რომელშიც ნაკადული მიციმციმებს სიცილწასკდომით.

არა.

დაახლოებით შენბერგის კამერული სიმფონია იქნება იგი

/“ვარიაციები ორკესტრისათვის”/,

განწირულების აკუსტიკა, ბოლო ღიმილისფერი,

რომელშიც აზელილია

დიადი და ნამცეცა,

უსასრულოდ დინებადი და წყვეტადი,

კოსმიური და მიწიერი,

მშვიდი და ანენილი...

.....
ასე მოვივლი ცასა და მიწას,

ინტუიციის საფეხურებზე ჩამოვეშვ-ჩამოვბალერინდები,

ფერი მეცვლება

და მერე... ისევ ჩავეშვები

ყოველდღიურ ფაციფუცებში.

* * *

„დამავიწყდა“ ვეება ტომარაა,
მაგრამ ბაბუაწვერას ბუსუსზე უმსუბუქესი.
შიგ უთვალავი დიდ-პატარა „დამავიწყდა“ ზის.
ზურგით მიგაქვს ეგ ტომარა,
ხან ერთი „დამავიწყდა“ ამოყოფს თავს,
ხან – მეორე.

როგორც კი მიაყურადებ
და გახსენების ჟანგბადს ჩაასუნთქებ,
მთელი ტომარა მძიმდება და ბეჭებს ჩაგინგრევს,
ნელში გაგწყვეტს,
მუხლში მოგცელავს.
როგორც კი თავს შეიძრალებ
და ტომარაში მოქუჩულებს ხსოვნის ჟანგბადს გადაუჭრი,
შემსუბუქდება ეგ ტომარაც,
შეინიავებს,
პეპლის ფრთასავით აფარფატდება.
აი ერთი „დამავიწყდა“ იმ ტომრიდან:
ლენინური კომკავშირის იუბილეა,
ათოოდე წლის გოგო-ბიჭები ხოტბის სტროფებს არაკრაკებენ –
საზეიმო მონტაჟს ამბობენ.
ხელმძღვანელი ხმის აწევას ითხოვს ყველასგან:
– ხმა ხმას უნდა შეუთანაბრდეს!
ვინც ხმას ჩააგდებს მისხლისოდენად,
ხვალ არ გამოვა იგი სცენაზე!!!
იმათ კი სცენა უხარიათ, ოქროსფერი შუქით სავსე,
ილიჩის ელნათურებით განათებ-გაპიპინებული.
დაიგლიჯეს სახმო სიმები.
იმათში დგას გამხდარი გოგო,
სიფრიფანა, აწონილი,
სხეულის ყველა უჯრედით წკიპზე შემდგარი,
არიქა, სასცენოდ არ დამინუნონო
და ბოლო ხმაზე ამბობს კომკავშირის სადიდებელს.

მ0ტყვ0?!.

გიტყვი:

რად არ მოისმის ჩვენი ფიქრები, სხვისიც და ჩვენიც?..
სად დაძვრებიან,

რატომ არ უნდათ, მკაფიოდ გამოისახონ
შუბლზე, თვალებში ან თითებში,
წაკითხვა უცდომლად რომ შეიძლებოდეს
ან გაგონება?..

მაშინათვე რომ საცნაურვყოთ,
მყისიერად, შიშვლად,
სწორედ რომ დედიშობილა ჩვენი ფიქრები,
და არა მაშინ,
ჩვენვე რომ ვინებებთ მათ ამოთქმას,
აღმოსიტყვების ჟამს კი მშვენიერს ვყოფთ.

გიტყვი:

რატომ, შე ჯერაცარაფიქრო, ფიქრის წინილო, მყისვე არ
გხედავთ

ან არ ჩაგვესმი

იმთავითვე, სიტყვებით შემოსვის წამში
ან სულაც სიტყვათშობის წინა ნახევარნამში?..
„აპა-აპა გაფიქრებად“ ფიქრზე ცოცხალი
და იმავე დროს უჩინარი თუ არის რამე?

/კაენის ფიქრი...

იუდას ფიქრი...

ღვთისმშობლის ფიქრი...

იესოს ფიქრი...

სხვისი ფიქრი

და ჩემი ფიქრი.../

გიტყვი კი, რომ მთქვა?

შემიძლია, რომ გავტედო:
„მთქვი“?!

რად მოველ წვიმად

/გუშინ მაისის შხაპუნაში მზე პირს რომ იბანდა და მე კი
ქოლგა არა მქონდა/

„რად მოველ ადამიანად...“
/ვაჟა/

ნატვრამ მამსხვრია წვეთებად,
თქრიალით მომიყვანაო
და როგორც ზევსი – დანაეს,
ვერ დაგდინდები განაო?!

მზე რო მოქმუის ციდანა,
მზედ მექცა ტრფობის ძალაო,
შენა ხარ ჩემი ცალაო,
ქალაო ნატვრისთვალაო!...

ტრფობის მირონად მოგიველ
მალულად მაღლიდანაო,
ნუ გამიკვირვებ ტრფიალსა,
სიდან-ყე, საიდანაო.

რაისად ღიმს არ მაღირსებ,
რაისად მამკლავ ოცნებით,
ქალო თეთრმკლავებიანო,
წვეთ-წვეთად ჩამეკოცნები.

კისერს ჩაგივალ მძივებად,
ყელს დაგიმშვენებ ოდებით,
ორთავ სოფელში მიშველე,
შენკენ ვდი თავგამოდებით.

შენი მკლავები მიყვარან,
სველმხრები – არანაკლებად,
ვით ამოვიდე წვიმიდან,
წვიმად რადა მქმნა განგებამ!..

ან ძილისძილში წავიდეთ,
ან სიცოცხლეში წამოდი,
ან მე ამოვალ წვიმიდან,
ან ქალობიდან ამოდი!..

ნეტა შენს კვალზე მატარა,
შენს მზეჭაბუკსა მადარა,
რად მოველ წვიმად, შხაპუნად,
ძეხორციელად რად არა?!.

სპატასთან

ოო, ჩემო კარგო, დაგცემია ის წლოვანება,
როცა გეხსნება ჭეშმარიტება:
არავინ და არაფერია სარკესავით მატყუარა.
...და ეგ ქალი სულაც ვინ არის,
ვერცხლის ზედაპირს თუ აეკვრები,
თხემით ტერფამდე რომ დაგემთხვევა;
მარჯვენას რომ გადმოდგამ უკან,
ის მარცხენა ფეხს გადადგამს
სიმეტრიულად
გაოცების ყრუ აკორდის შორი თანხლებით?
რა იქნა გოგო – ფიქრლაჟვარდა და ნისლისფთილა?
შუა ხნის ქალის ეს სხეული როგორ ჩაიცვა?..
ფიფქის ასული,
ის კამკამა,
ის ნამციალა – ტანმძიმე ქალად?!.
და გაოცებამ მოიმსხვრია ფრთები სარკესთან..

.....

ოო, ჩემო კარგო, დაგცემია ის წლოვანება,
როცა გეხსნება ჭეშმარიტება:
არავინ და არაფერია სარკესავით მატყუარა.
თუ რამ გიშველის, თუ რამ აგხსნის ამ მძიმე ჯადოს,-
ის...
ის...
ის თვალები...
თვალმთვრალები...
გეგონა, სულაც აღარაფრად არ გჭირდებოდა
წყვილი ჭრილობის წარამარა შემოეკლება,
ახლა კი იცი: რაც სარკეში არა და არ ჩანს,
იქ...
იქ...

იქ ჩარჩა, იმ თვალებში აირეკლება.
უიმთვალებოდ თოში ფიქრებს წიხლავს და ჭირხლავს,
ნეტა სად არის? მოურჩი თუ ჯერ
ისევ...
ისევ...
ისევ ჭირხარ?!.

* * *

მზემ მომახალა ტალღები და
მზის ღიმიც გულზე მახალია,
მზე – მისტიური ტყუპისცალი
და მზე-ზარხოში დაქალია.

თაფლი გადასდის ცხელ ბაგეზე
და მზეობს მზისებრ ნება-ნება,
და მიფრთხილდიო, ქალო, თორემ
ლექსს დაგმართებო, მეუბნება.

რა დამკრახული შუადღეა,
რა მათრობელა ამინდია!..
ასე ბარბაცად რომ მატარებს,
მხოლოდ კალმისთვის გამინდვია.

სხივმაცაცერა მობადაგდა,—
შუქანათრთოლი ქლამინდია.
ფიქრში ზედაშედ ჩამდენიხარ,
ლექსდასამართი ამინდია!..

* * *

შემომაცრემლა ეზომ სიყრმის მოგონებები;
აქ, სახლის გვერდით, ჩრდილიანში
უყვარდა მამას ჩამოჯდომა,
ატამს გვითლიდა და გვაწვდიდა.
ატმის სურნელი ასდის მამის კანკალა ხსოვნას.
დედას მოჰკონდა სიყვარულად ქცეული ლელვი,
ვილუკმებოდით იმ ლელვით თუ იმ სიყვარულით.
წამწამებს შორის სითბო იდგა,
შიგ სითბოში ბედკეთილობას ეპოვა ლიბო,
ზედ ლიბოზე – ნეტარების მაღალი კოშკი.
იმ კოშკის მაღალ საჭვრეტიდან ვიცქირებოდი...

კავეში ანუ ნატერმონტი ლექსებით

ხომ მოხოვე, ნაყინსა და ლექსზე დამეწვიეო და
ჩამოვსხედით.

ნაყინი ალუბლის სურნელით –

სამ-სამი ბურთულა

ბაკმივით გარშემო

გრილ ნისლს იყენებდა.

შიშველი ლექსები ამოფათქუნდნენ ბაგეებიდან,
ნაკვერცხლებსიტყვება, თაკარა, ქაფქაფა...

ალხის ოხშივარი შემოივლეს გარშემო.

ცივი და ცხელი –

თოში და გზნება,

სიტყვა ხორშაკი ყინულის ბურთულებთან,

პაპანება და თან ყინვის ბული...

ორი სტიქია ჩაეხვია ერთიმეორეს:

მისი უდიდებულესობა მისტერ გული

და

მისი უდიდებულესობა ქალბატონი მორალი...

* * *

ენგურს დარდი გავატანე,
წაიღო და წავიდა.
სად ვიყავი აქამდე!..
ყოფნას ვიწყებ თავიდან.

ზეცა, თვალში ჩამსხვრეული,
გამიმთელა ენგურმა,
„სქანი ნარლიშა ღირუდუო“,
ასე ჩამიმეგრულა.

* * *

გასწრებაზეა წუთის სიცოცხლე,
აგერ-აგერ და უმალ-ყმალი,
ლექსი უნთია, ფასკუნჯწუთია,
თან ცხადია და თან – იდუმალი.

ანეტარდება ბაგეს ღიმი თუ
მე დავიკერო ღიმძალისძალი?
უბრალო ბამბით ამომევსება
ლექსებით სავსე თავსასთუმალი?..

ლექსი უნთია,
ფასკუნჯწუთია!..

და აპა, წუთიც გაშრიალდება
უცნაური და თან – საცნაური,
უშენობის თუ უშენოდშენთან,
წუთსაიდუმლო, წუთსასწაული...

ნახო, ვერ გშველის ის, რასაც ნიშნავს
საბას „კონაში“ სიტყვა თუთია,
თვალი ვერა და გული კი ხედავს,
ლექსი უნთია, ფასკუნჯწუთია!..

* * *

წუთისოფლის გულისგულში რა არი?
თუ არც რაა, განა ჩვენთვის კმა არი?..

დუმილიდან ამოვდივარ, ჩავდივარ,
ჩადრს ვიხდი და მერე ისევ ჩადრი ვარ.

სალმობაა, სიხარული აქა-იქ,
რაღას იზამ, ვეღარაფერს აქა იქმ.

რიალებენ ბედისწერის ღრუბლები,
ხომ გენიშნა, რაზე გესაუბრები?!?

მონატრებას იქით ნეტავ რაღაა?
ლიმილია ეს თუ ცრემლის დამღაა?..

ან რაღაა, როცა ხელთ გაქვს ყურმილი,
შუაგულში მოჭარბებულ დუმილის?

სიტყვაძვირი ბრძენკაცები განცდებით
აი, რაზე დარდობენ და მღერიან:
მცირე-მცირე არაფერს რომ გასცდები,
შუაგულში დიდი არაფერია.

მაგრამ ყველას არაფერი ირთვება
საკუთარი წამება-პატიჟებით.
ჰოდა, სხვათა არაფერგამოვლილნო,
ჩემს არრაზე გულით გეპატიჟებით!..

მზეს გაუთავდა სხივი...

აჰა ჩამოდგა უამი,
საათი, წუთი, წამი,—
მზეს გაუთავდა სხივი,
ცას გაუთავდა მძივი.

მუზები კვნესენ გუნდად,
არ ვიცი, რაღა უნდათ,
ლექსს გაუთავდა ლვინო,
როგორლა მოვილხინო?!

ცეცხლს გაუთავდა განცდა,
განცდას— თაკარა ცეცხლი,
ზნეკეთილობა — კაცთა,
კალამს — სილალე მერცხლის;

სითბო — თაფლიან თვალთა,
წვა — იმ უჩუმარ ალთა,
ხიბლი — კულულა ზღაპრებს,
კარაველები — აფრებს.

კარაველა და აფრა
ერთმანეთს დარჩნენ კენტად,
წადილს დასცვივდა ფრთები,
აღარ მიმაფრენს მეტად;

იდუმალებას — ჩადრი,
/ამას ვერაფერს ვადრი/,

ტაეპი კარგავს სურნელს,
სურნელი – ტაეპს თურმე!..
და ხიბლი ნება-ნება
მიდის, ილევა, ქრება...

ლექსი მაკადრებს უარს,
ვარ ქაჯს და ეშმას შუა,
ვერაფერს ვფიქრობ დიადს,
ალარად ვჯობვარ წყვდიადს.

არაფერია ირგვლივ,
მზე ალარ მიწნავს გვირგვინს.

მზეს გაუთავდა სხივი...

* * *

სულ უბრალო რამ ყოფილა,
თანაც დიდი საოცრება:
მზეს – სხივები, ზღვას – ტალღა და
გულს ბრაგუნი წამოსცდება.

ღმერთო, ბრძენიც გაოცდება,
შტერხარხარა დაოსდება:
ღრუბელს – წვიმა, იარს – სატრფო,
პოეტს ლექსი წამოსცდება.

და ბუნების უმაღლესი
ენა არის წამოცდენა,
მტკივანს კვნესა, ძუძუს რძე და
მლოცველს ლოცვა წამოსცდება.

თუ გსურს გულის ამოსმენა, –
მავისცემის ამო სმენა,
უსმინე, რაც უნებლიერ
თავისთავად წამოსცდება.

და ნურავინ ძალით ცდილობს,
და ნურავინ ამოდ ცდება:
რაიც სისხლში ჩადნება და
რაიც გულსაც გამოსცდება,

თავისთავად წამოგცდება.

ჩანაბეჭდი

ზამთრისთვის უნდა ჩახუფო
ტყემლისა და პომიდვრის საწებელი,
ყურძნის წვენი – ფელამუში ხომ გინდა, არა?
ხრაშუნა კიტრის მწნილი,
კომპოტები და მურაბები,
ბულგარული წიწაკა სტაფილოთი...
მოულოდნელ სტუმართან თავს მოიწონებ,
ხვრინნ-ხვრინნ! – მოხსნი თავს ქილებს და
თხუთმეტ წუთში სუფრაც მზადაა.
მაგრამ... ამბობენ, თერმოპროცესში
ბოსტნეულიდან ბოსტნეული გაგექცევა,
ხილიდან – ხილი,
კარცეროგენებს შეინახავ სინამდვილეში...

უნდა ჩახუფო ლექსში პოეზია
იმ დროისათვის, აյ რომ არ იქნები.
როგორც კი ჩამოგილექსსალბუნდება,
დაიჭირო ის გამოკრთომა, ის განცდა თუ ის გაელვება,
ის ხილვა და ის მიხვედრა...
შეაყოვნო და... ამოუშვა...
უნდა ჩახუფო ლექსის ქილაში.
ჩურჩულ-შრაშუნით თავს მოხსნიან,
ენას ჩაყოფენ, გემოს ნახავენ,
გაიგებენ, ეყო თუ არა შენი ცეცხლის N გრადუსი
თერმოპროცესებს.
მაგრამ... ამბობენ, თუ არ ეყო,
ვერ ჩახუფავ პოეზიას ლექსის ქილაში,
ამოუჩინარდებაო თვალშეუსწრებად,
მკვდარ სიტყვებს შეინახავ სინამდვილეში.

* * *

მზემ დასავლეთით რომ იბრუნა მღიმარი ლოყა,
გამოსათხოვად შევლიმე და კვლავ შემომღიმა ორივე ლოყით, –
ჩემკენ მოქცეულითაც და იმ მეორითაც,
ისეთივეთი, როგორიც ეს აქეთა არის,
ოლონდ მეორე იქით ჰქონდა, დაუნახავში,
იქაურთათვის.

მზის ღიმილი კოსმიური საუბარია,
ორ სოფელს შორის გამოსახული.

უცრად მივხვდი, რომ არც მეტი და არც ნაკლები,
სამყაროს საზრისს მე ვანიჭებ,
(ყველა მიხვედრა მყისიერია),
მე ვანიჭებ, სხვა არც არავინ.

(თუ ვერ მიხვდები, ვერაფერსაც ვეღარ შეიძლებ).

გათენებიდან შუადღის გავლით საღამოსაკენ

ჩვენი თუ სხვების კლასიკოსების
მოკრძალებით მოსმენის შემდეგ,

გათენებიდან შუადღის გავლით საღამოსაკენ

ამდენ წიგნში შესვლის შემდეგ,

ამდენი ვინმეს გაგების შემდეგ,

ამდენი რამის დანახვის შემდეგ,

ამდენი რამის ვერნახვის შემდეგ,

ამდენი რამის ვერა და ვერ გაგების შემდეგ

ის გაღიმებულლოყებიანი დასავლეთით რომ გადაიხარა,

რაღა მაშინ და

რაღა იმ წამში,

უცებ მივხვდი, სამყაროულ ურთიერთობებს,

თურმე, სულაც მე ვაწესრიგებ;

მე და სხვა არვინ,

თურმე, განვაგებ ცასა და მიწას, –
მზის ღიმილების სამფლობელოს;
ღიმილებისა, პირის ჭრილობის ორივ მხარეს და
თვალების ნატყვიართა ირგვლივ რომ ისახება,
ლოყებზე რომ განივრცობა
და რომ ყოველთვის სულ თავიდან გასაშიფრია.
სადავეს ვუჭერ ქარიშხლებს და
მაგმური ქანის ხერხემლით მთელ დედამიწას ვგრძნობ,
ქაღალდს დავწვდები,
და აგრაგნილ ენგურებს ამ თითებიდან ვათავისუფლებ,
მაგრამ...
ლოყებმლიმარი დასავლეთით გადაიხარა
და სულ მალე
მეორე ლოყით თუ გამილიმებს,
მხოლოდ და მხოლოდ მეორე ლოყით...

* * *

რომელი უფრო ფრინველია:

ნისკარტზე ბგერა რომ უცახცახებს,
თუ რომელსაც ფრთა უშრიალებს?..

თუ ფრინველი ფრენისაა,

ფრთის შრიალი მაშინ უფრო მისი ყოფილა.

მაგრამ თუ ბგერა სულაც ფრენის წინ,

ან ფრენის შემდეგ აცახცახდება,

როგორც ფრენის მოგონება ან მოლოდინი?..

ჩვენ ხომ არ ვიცით, რას ცახცახებს ცახცახა ბგერა?!.

რაც არ ვიცით, იმას მოვეშვათ.

შრიალი ვიცით. შორადშორი შრიალეთიდან მოდის შრიალი,
ვინც გამოიხმე, მისი ხმა მოაქვს.

იქიდნ აქეთ შრიალის გზაა.

ზღვა უთვალავი ფრთის შრიალია,

ოლონდ ვერც ერთი ცად ვერ აიწევს.

ხე უთვალავი ფრთის შრიალია,

ოლონდ ვერც ერთი ცად ვერ აიწევს.

აი ეგ არის ჯადოთი შეკვრა:

შრიალებდე და ვერ აშრიალდე საშრიალეთში.

ფრინველი კი გამოსწევს ფრთას და

ისე ლალად აშრიალდება!..

და გაიყოლებს ადამიანის ფრინველურ ნაწილს,

ამოგიზიდავს, ამოსწევს და თან გაიყოლებს,

ცაში გაავლებს...

სამუღლო და გისი მიზინები

გამოველ ჩემგან.

გამოვიხურე

და მოვყევი ქუჩის მიტინგის ქარბორბალაში.

მთელ კონუსზე ტრიალებდა

გენმოდიფიცირებული სიტყვები –

რაღაც უშნოდ ლამაზები, უგემურები.

გამოვალწიე.

გავიარე და... სხვა მიტინგი

სხვა კონუსზე ტრიალებდა.

იმ ვულკანური სხვა კონუსის კრატერიდან

სხვა სიტყვების ლავა დიოდა

და სიტყვებიდან მოჟონავდა:

„თბილი სავარძლები, თბილი სავარძლები...“

სადაც ჩადგები, ის კონუსი დაგაბზრიალებს
სიტყვების უწყვეტ წრებრუნვაში.

აბა, ვის ვკითხო, ვინ ამიხსნის,

ვინ მიპასუხებს,

სად გაქრა ის საცხრააპრილო

თოთო სიტყვები,

ის ურუანტელა სიტყვები,

გახსნიდი და

შიგ რომ ბარტყებს გული უცემდათ,

გახსნიდი და შიგ წყურგილეს ბროლი რომ იდგა,

გახსნიდი და სამშობლო რომ შემოგხედვდა...

ჩავდგებოდი იმ მიტინგის სიწრფეებში,

იმ სიტყვების წყალკამკამაში

ისევ თავიდან.

პრის სიტყვები...

არის სიტყვები ყურისთვის და მიკროფონისთვის,
ყურისას გზა აერია, მისწვდა მიკროფონს,
გახმიანდა და მჭახე იყო,
მუავე იყო,
გრუხუნა იყო,
ნაფლეთ-ნაფლეთ გულის დამშლელი...
ყველა სიტყვა წამის უმაღ გახდა უგზო,
თვალდაშრეტილი,
იცლებოდა ღმერთისაგან,
შუქისაგან,
მოსეირენი უმატებდნენ ცოფის ვირუსებს...
და მე რა მინდა?
დაბრუნდეს ყველა უგზო სიტყვა ამოუთქმელში,
დაბრუნდეს და წამცეც-წამცეც აიკრას შუქი,
ყურის სიტყვა ყურისაკენ გაჩამიჩუმდეს
და ყველა სიტყვა იქით-აქეთ
მინდა იყოს სიტყვის მფლობელის.

პანონი წესვლა-გლეგლისძ

რაც უნდა უძახოს ხელმა ხელს,

ხელი ხელში გაილევა.

რაც უნდა მოზიდო თვალით თვალი,

თვალი თვალში ჩანაცრდება.

რაც უნდა ღიმით ღიმს ებლაუჭო,

ღიმი ღიმში ჩაიშლება.

ასეთია წასვლის კანონი.

მაგრამ...

შვილების ხელში რჩება შენი ხელი.

იმ ხელებით რამდენ რამეს მოიმოქმედებ!..

შვილების თვალში გრჩება თვალები.

იმ თვალებით რამდენი რამ გაქვს დასანახი!..

შვილების ღიმში გაილიმებ.

რამდენ ვინმეს გაუთენდება!..

0პონიაზ №1

სიხარულდაგმანულები ვართ.

ერთი ვიკითხოთ:

რა ჭირად გვინდა ეგ რაღაცა „სიხარული“,

ჩვილად ნაფერებ ბავშვობას რომ დამსგავსებია რაღრაღრაღაცით?

ერთი მეორეს მოგასურვებს,

მეორე – მესამეს.

ამდენი სიხარული საიდან მოვიდეს,

თან მაშინ, როცა მშობლობაზე ცით უარია?!.

სიხარულები არსაიდან ჩამოგვივარსკვლავდებიან

უცხო სხივთა ციალ-ციალით.

ჰოდა, ამდენი სიხარული სად მოვაგროვოთ?..

გამოსავალი ასეთია:

თუ არ გექნება პირველი, არც მეორეს მოისაკლისებ,

ალარც მესამეს.

სულ უბრალოა გასაგებად.

...და კიდევ უფრო უბრალოა:

სანამ სიკვდილი გაგვაარაფრებს, რაღას ველოდოთ?

ცოტა ხომ უნდა შევეშველოთ –

ერთიმეორე ლაზათიანად გავაარაფროთ,

სიცოცხლე რომ არ გვეგონოს შე-შე-შეუ-შეულეველი.

ყველაფერი შელევადია! – აი სიმართლე

მწარე-მწარე სიმართლეების ღრმა მორევიდან.

რამ გაამწარა ეს სიმართლე?

ვინ გაამწარა?

როგორი იყო გამწარებამდე?

ჩვილის კამკამა გამოხედვა ექნებოდა, სავარაუდოდ,

და ჩვილისავე უბოროტო ცნობიერება.

ვინც გაამწარა, რამხელა ცოდვა შეიგდო ბეჭინე,

მაგრამ რას გვარგებს ამის ცოდნა?!.

დაუცველია სათითაოდ ყველა სიმართლე,
თან იმდენად, რომ უსათუოდ გამწარდება,
ყოფის უცნობი პროპორციებით გესლს შეიზელს,
მწარე სიმართლედ იქცევა ბოლოს
და ყველა ენა აასავსავებს თავის ნებაზე.

ყველაფერი შეღევადია.

ვინც სიხარული მოგიტეხა ამ წკვარამ უსიხარულობაში,
სიხარულით დაგანაყრა,
სიხარული ჩაგაცვა,
სიხარული მოგახურა და ჩაგათბუნა,
არ შეცდე და არ დაინდო!
როგორც კი მიტრიალდება და...
ხ ი ე მ ა ხ ვ ი ლ ი!
შენგან არ ელის, იოლია.

აბა იმას რას დააკლებ,
სავსე პეშვიდან სიხარულის მარცვალიც რომ არ ემეტება,
ერთი უბრალო, ციცქნა მარცვალი?!.
იმას ველარაფერს ავნებ
(ვნებულია უკვე იმდენად).

ამას მოხედე!..

0გლენის №2

უთქმელობა კლდედ იზრდება
და ჩამოწყდება ერთხელაც უცებ.

ამბავი კი, რომლის შემდეგაც ამას მივხვდი,
სულაც არაპოეტურია
და ამგვარად მოსაწყენად მოიყოლება:
დეზოდორანტი (ქართულად რომ არც იცი, რა ჰქვია),
მაცდუნებლად სურნელოვანი,
შეიძლება მავნეც იყოს,
გისახსოვროს საოფლე ჯირკვლის მწვავე ანთება,
თმა გაგიქროს იღლიებში,
ღინღლი დაგრჩეს უფერული,
მხოლოდ ავი თვალისათვის შესამჩნევი...
...ფოტოს იღებთ საოჯახოს,
შვილებში ზიხარ,
ხელებს თავქვე აჯვარედინებ,
გეტყობა, რომ ბედნიერებამ მოგკრა თვალი
და შეყოვნდა შენს სახეზე,
რომელიღაც ღიმი ამოგიღიმიღა,
შენივე ღიმიღებიდან უაბრეშუმესი,
რომელიც ცხადყოფს,
მარადისობის რომელიღაც სიმს მიწვდომიხარ
და შიგ შუაგულ ღიმში ისმის ის უცხო სიმი...
შენ კიდევ დგები და იმ ფოტოს დებ
ზედ ფეისბუქის ღია კედელზე.

ფოტოს ძალა აქვს გადმომდები,
რა ძალითაც იმ წამს აივსო,
იმას გადმოგდებს.
რამდენჯერაც ნახავ, იმდენჯერ,

უთავებლად, სულ...

სოფლის სიავეს თერაპიული ფოტოებით უსწორდები
და ყოველი კეთილი თვალი,
კეთილი-მეთქი,
იმ ფოტოზე იმას ხედავს, რაც მთავარია,
რაც მთავარია... რაც მთავარია...

იმ თვალმა კიდევ... ის ღინღლი ნახა!..

„სრულიად ამსოფლიური შერცხვენა!..

არ იცის, როგორ გამოჩნდეს ხალხში!..

დაუკვირდით,

კიდევ... კიდევ...

უკეთ შეხედეთ....

დაინახეთ?

თუ არა, ისევ დაუკვირდით და დაინახავთ!..“

აი ამბავი დანახვის და ვერდანახვისა...

* * *

მოვისაკლისე, გავიხედე და
სამყარო მოადგა ფანჯარას.
ეს- მას შემდეგ,
რაც მოვიკითხე.

რასაც არ მოიკითხავ,
აღარც არსებობს.

ეზოში ჩავე,
ჭის მადლი ამოვაკრიალე,
ყოველმა ყლუპმა ძალით ამავსო.
ეს – მას შემდეგ,
რაც შევთხოვე, ძალა-მეთქი.

რასაც არ მოიკითხავ,
აღარც არსებობს.

სისაჩული

ორივე ხელი მთელ სიმაღლეზე აქნია და
მოჰკონდა ვეება, ათასვარსკვლავა სიხარული.
პირველად სადარბაზოს მეზობელმა დაინახა შუა ქალაქში.
ჩვეულებრივად მიესალმა და ჩაუარა,
თითქოს სულაც არ შეემჩნიოს
შუა ზეციდან ჩამჩამოჩამოციმციმელა ამოდენა სიხარული,
უთვალავათასი კილოვატ სიმძლავრის.
სიხარულს ერთი ვარსკვლავი ჩაუქრა.

მერე გამოჩნდა ნათესავი.
მოკითხვა. კოცნა. ღიმილები.
ნათესავმა იმ სიხარულს სულაც უსიტყვოდ შეავლო თვალი და
მორღვეულ ფეხსაცმელს ჩაცივდა ჯიუტი მზერით.
სიხარულს ერთი ციმციმელა ჩაუქრა კიდევ.

აჲა, ნაცნობი!..
სიხარულმა იწყო გიზგიზი,
მზის ყველა სხივი აიკრა და უფრო გაღვივდა.
...მაგრამ ნაცნობმა ველარ იცნო სიხარული და
ერთი გიზგიზიც ასე ჩაქრა.

მთელი დღე იარიარიარა,
არავის უხაროდა მისი სიხარული.
ქრებოდა თითო-თითო ვარსკვლავი.

ბოლოს ქალაქის მთავარმა ქუჩამ გამოუქანა
მეგობარი უპირველესი,
სიხარულის ქარისქარივით გამოუქანა.
იფიქრა: „ახლა კი ყველას ნაცვლად

იგი მაინც ისიხარულებს ჩემი ვეება სიხარულით,
ჯანდაბას ყველა,
სიხარულს კენტი მეგობარიც ეყოფა, ჰოდა
ერთად გავიხარებთ ჩემი სიხარულით.“
შეშეაშეაშეაცქერდა.
მაგრამ...

ის მეგობარი ზეზეურად იქავ მოუკვდა,
გარდაიცვალა, როგორც იტყვიან, მოულოდნელად.
ორ ფეხზე მდგომი მიცვალებული დატოვა და
შინ მიმავალმა ახედა ცერად
თავის სიხარულს.

სადღა იყო?
ბოლო ვარსკვლავიც ჩამქარალიყო.
დიდი მუქი ლაქა ეჭირა
მაღლა ხელებში.

* * *

არის ასედაც,
საიდანლაც მოდიან სიტყვები,
მოაკონწიალებენ ერთიმეორეს.
ჰოდა, შუაგულ ყოფიდან ამომიხტა
სიტყვა „სამსახური“
და მოიყოლა სიტყვა „საკადრისი.“
შეეწება ერთიმეორეს: „საკადრისი სამსახური.“
სიტყვა „საკადრისი“ გადავხაზე,
ზედ დავაწერე „აუცილებელი.“
აუცილებელია, სადმე მსახურობდე,
პურის ყუასავით აუცილებელი.
სიტყვა, რომელიც გადავხაზე,
ხაზქვეშ კონვულსიურად იკლაკნება.

* * *

სიტყვები, რომლებიც ნაადრევად ამოდიოდნენ,
მოუახლოვდნენ ბაგეს თუ არა,
პირი იბრუნეს,
მოულოდნელად უკან ჩაბრუნდნენ.
თუმცა, რატომ მოულოდნელად?
ნაადრევად ამოსვლაზე აკი ითქვა და
წასამეტიჩრებლად ატივტივებულებს
რა კარგია, რომ ეყოთ ჭკუა
ჩასულიყვნენ შიგნით და შიგნით,
გამოევლოთ რაღაც დიდი სამზადისი:
ღვიძლში უნდა ჩასულიყვნენ, განწმენდილიყვნენ,
მთელ ალქიმიას გამოივლიდნენ,
თირკმლებში – მარჯვენასა და მარცხენაში –
ხომ გამოიფილტრებოდნენ რაღაც-რაღაც მინარევთაგან,
შემდეგ ხერხემლის ყველა მალა უნდა მოევლოთ,
რომ საყრდენად ღირებულნი გამხდარიყვნენ,
კუჭის ჰადესშიც ჩაძვრებოდნენ, ამოძვრებოდნენ,
ელენთაში ჩაიჭრებოდნენ,
ტერფის ძვლებსა და მყესებს ამოგივარვარებდნენ,
გაიჭრებოდნენ, ვინდა იცის, გულისა თუ გონებისაკენ...

და ამის შემდეგ ამოვიდოდნენ,
აბა სადღა წავიდოდნენ?..

* * *

ვის შეუძლია მითხრას,
რა ერქვა ცხოველს,
მოულოდნელად
იმ სახიდან რომ შემომხედა?..
რომელ ზოოპარკს გამოექცა,
რომელ გალიას?
მე ვეღარ მითქვამს,
ვერვერავერა...
ღრუტუნით ვიცნობდი, ღორი ყოფილიყო.
თუმცა სიბინძურეში იწვა,
ღორი არ იყო, არც ტახსა ჰეგავდა.
ბლავილით ვიცნობდი, ძროხა ყოფილიყო.
თუმცა სიტლანქე სდიოდა კვალიდან,
ძროხა არ იყო, არც აქლემს ჰეგავდა.
ზურგსუკან მიპარვით ვიცნობდი, ტურა ყოფილიყო.
თუმცა თვალებიდან მზაკვრობები გადგადმოუხტნენ,
ტურა არ იყო, არც მელას ჰეგავდა.
რაღაც ამათმა შენაერთმა შემშემომხედა...
თვით დიდი კაფკაც,
დიდოსტატი სახეცვლათა
დაიბდაიბდაიბნეოდა...

* * *

„სიცოცხლე შვენობს შენითა.“
/ვაჟა/

ჩემთან ერთად ვზიგარ და ვამბობ:

– სიკვდილო, გიცი სახემრავალი.
ჰოდა, გაინ-გამოინ-გაინიეთ და დამენახვეთ,
შეგშეგაშეგათვალიეროთ,
რომელი ხართ ჩემი წერა,
თან – სხვებზე კარგი
და თან კიდევ – სიცოცხლის მშვენი.
ბოლო იმიჯი ასე იოლი შესარჩევია?!
შენ ეი, ზვავად წამომსვლელო,
ჩემი არა ხარ.

მოვემოულოდნელდები ისე ულმობლად,
გადაგვანაცარმტვრიანებ.
ვეღარც შენ, ძალად მოხმობილო,
ვერ იქნები, ვერა, საჩემო,
სულსწრაფობ, მონაადრევდები,
შუა სუნთქვაში გაგვაშეშებ.
და ვერც შენ, შიშის ოკეანედ რომ თუხთუხებ,
ვერ იქნები, ვერა, საჩემო,
მიგეახლ–მიგეკანკალდებით, ბალანამშლელო,
ძრწოლის მორევში ჩაგვაქანებ და ჩაგვაქრობ.
ვერც შენ – მელივით სუნსულით მსვლელო...
ვერც შენ – მგელივით ხარბად მავალო...
მაგრამ აი შენ... მგონი, ისა ხარ...
ერთადერთი და სწორედ რომ ჩემი...
ჩემი სიცოცხლის რტოს გაეკვირტე,
ჩემს გზაზე დგახარ, მელოდები და
ციფერბლატზე უკვე იცი წუთმონიშნული.

დასასრულისფრად გიფრიალებს მოსასხამი,
კეთილშობილურ-დარბაისლურ-რაინდულად მელოდები,
ვერ შემოგწყრები.
იმასაც ვიგრძნობ,
როდის და როგორ ჩამომინიკნიკდება ის წუთმონიშნუ-
ლიც,
და გეტყვი: ზღაპარ-არაკებრ
სიცოცხლე მომივარაყე.
რევერანსით მომახურავ ჩრდილის მოსასხამს,
ნაოცნებარი რაინდისგან განსხვავებით,
არსად,
არც ერთ გზად სიცოცხლეში სულმოუთქმელად რომ არ
მელოდა,
და... უჩინარმყოფ
ჩემგან რომელს?..

სულს კი...
სულისა შენ რა იცი?..
ამაზე შენთან არც ვისაუბრებ.

* * *

რაო, სიკვდილო, რას დამდევ,
ან რა პაემანს მპირდები?
შენთვის მცალია სწორედაც,
სიცილით ჩაგიბურდები!..
მელაო სახებნელაო,
ვერვერა, ვერა, ვერაო,
გამოგისხლტები ხელიდან,
არა ვარ შენი წერაო.
სულ ტყვილად მოიძურნები,
კვალზე სუნსული გეყოფა,
ლექსში შეგასწარ, საწყალო,
ცხვირიც არ შემოგეყოფა.
აქ შუქისშუქისშუქია
და მზეს უფეთქავს ნაკვთები,
შენი ძმა ვაჟას უქია,
ვა თუ შემშემომაკვდები!..

* * *

...და გაუბადრუკდიდდა აქაურობა.

რაკი ასეა,

დავდავადავაპატარაოთ,

კამერაზე ობიექტივის მიტრიალებით უგულებელვყოთ,
მოვისროლოთ შორშორეთში.

ვერ ავაორთქლებთ,

უკანასკნელი უმსგავსობის ჩათვლით

ვერ და ვერ შემოვიცლით ძველისძველისძველასავით,
მაგრამ გავაუვნებელვყოფთ,

ეგ შესაძლოა.

სამაგიეროდ წამოვილებთ იმას, რაც შორს გვაქვს,

ჩამჩამოშვებულ ქუთუთოებს მიღმიდან – აქეთ,

იმ ბურანის ნისლიდან – აქეთ,

იმ გუმანიდან – აქეთ და აქეთ,

იმ კვნესის წუხილიდან – აქაქეთაქეთ.

ჩვენივ მზერის კამერაზე ობიექტივის საპირისპირო მოტრიალებით
მოვწიოთ გამოსახულება,

მოვიახლოვოთ,

გავადიდოთ ის, რაც მართლა ასე დიდია

და ის ვამყოფოთ,

მასში ვიყოთ

და არა აქ, რაც არის, მაგრამ უჟანგბადოა

და მოვისროლეთ ცხვირზე ორივ ხელის თამაშით,

ზუსტად ისე,

როგორაც ჩვენ მოგვისროლა...

* * *

მოიქნევს ომი მოპირულ ცელს და
მისი ქშუილი ჯერაც ისევ ჰაერში იქნება,
რომ მოცელავს სიცილის ყვავილებს
ლიმის თოთო ყლორტებიანად

და გადავა დაფლეთილ კიდურებზე:

- მომე შენი მარჯვენა ფეხი!..
- მომე შენი მარცხენა ტერფი!..
- მომე შენი მარჯვენა ხელი!..
- მომე შენი ორივე კიდური

და გიხაროდეს,

გიხაროდეს, ტყვიებს თუ არ შეაცივდა შენი სხეული!..

ასეა.

ომში

ხეიბარი

ილბლიანია.

ყუმბარის ახლოს თუნდაც უცებ სმენა დაკარგო,
თქვი მადლობა,

რადგან არსებობს უარესიც!..

მოიქნევს ომი მოპირულ ცელს და

მისი ბერების ავი წივილი ჯერაც ისევ ჰაერში იქნება,
რომ ჩამოდგება უარესიც.

ჩამოდგება შენივე გულის –

უსასრულო გალაქტიკებიდან დაძრული თბოენერგიის

მუშტისოდენა რეზერვუარის – გათოშვით,

გაყინული ღია თვალებით,

ერთ სხეულში ათი ათასი ზამთრის სიცივით.

მოიქნევს ომი მოპირულ ცელს და

უთვალავი ჩამსვლელი მზის ქაფეაფა სისხლით

გადაღებავს უთვალავ დაისს

და გააჩენს უთვალავ ობოლს,

ობლობა კი სხვა რაღაა, თუ არა ცრემლის ყლაპვა მალულად?..

მოიქნევს ომი მოპირულ ცელს და...

* * *

მოადგი შენი პლანეტა ჩემსას,

გადავიდ-გადმოვიდეთ.

მე იქ ვერ გავძლებ,

შენ კიდევ აქა.

მაგრამ სტუმრობა შეიძლება.

რატომაც არა.

ამ პლანეტას ასეთი აქცს კონსტიტუცია:

მეტს ცხოვრობს იგი, ვინაც მეტს გრძნობს.

აქ ძველი დროის მოლექსეთა გრძედებია

და ახალ დროთა პოეტების განედები.

იკვეთებიან პოეტები და შორდებიან ერთიმეორეს.

მარადისობას მიუყვებიან თავთავიანთი ჭრილობებით.

ასწლეულები უფრიალებთ ლექსებს შერჩენილ ხორცის ნაფლეთებს

და ჭრილობებში ქარიშხლები დათარეშობენ.

ერთ მარცვალში უჯამდებათ მთელი ცხოვრება:

„ვერ.“

და პოეზიაც სწორედ ის არის,

რითაც მათი „ვერ“ აღემატება

ყველა ქვეყნის პიზნესმენთა,

მეფეთა, შაჰთა, იმპერატორთა, სულთანთა თუ პრეზიდენტთა

„ეს რა შევძელის.“

პოეზიის ეკვატორი თასმავს პლანეტას.

* * *

მოთმენის ზარდახშიდან ამოჯავრიანდა თავის ჯავრიანა
უსამართლობის იარა,
ტკივილწრიალა
კი არა,
წუხილი – პირზე ხელაფარებული ჭექა-ქუხილი.
ვერ გაძლო იქ, სადაც იარებს არ სძინავთ.

შეგონება: უსამართლობის იარები არ იძინებენ!..
დაუფჩენიათ უთქმელი პირი და დუმილობენ
და მუნჯაობენ და პირ-წყალ-ჩაგუბ-საცოდაობენ.
/დიდი ბოდიში გრამატიკასთან.
კვლავ შეგონება: უსამართლობა გრამატიკულად არ ამოითქმის!
სამართალი ჩამოიშალა?
გრამატიკა ან რად არ უნდა ჩამოიშალოს?!./

ხოლო დუმილი უთვალავია:
წყვილს შორის სიტყვის ზედმეტობის ხავერდოვანი დუმილი;
საფლავის ლოდის ტონანახევრიანი დუმილი;
ანთებულსანთლიანი ტაძრის იდუმალებისფერი დუმილი;
ლიბოდარღვეულ ციხეთა გლოვისფერი დუმილი...
ხოლო ეს იარები უთვალავთაგან ერთ-ერთში,
ყველაზე საზარელ დუმილში,
ენაზე კბილდაჭერილების ყუჩიში არიან
და ყუჩი – ეგ ჩაბრუნებული ზარია.
ცეცხლის ენებივით იკლაკნებიან და არ ქრებიან,
იმუქრებიან,
იმუქრებიან,

იმუქრებიან...

შენ კი დილით გადიხარ სახლიდან,
ცხოვრება გიხმობს სულ ახალთახალი,
ქაფქაფა უსამართლობის მორიგ ტალღასთან შესახეთქად.
ეს იმას ნიშნავს,
ზარდახშის ბინადრებს
გაუჩნდებათ ახალი ბინადარი
მანამ, სანამ ოქროდუმილობს,
სანამ მოთმენის ზღვარს გადავა.

ხოლო ის, ზარდახშიდან რომ გამოგექცა,
მიწას გახეთქავს,
ცას ჩამოფხრებს,
რადგან ფორმულა ასეთია:
დახშულ სიმართლეს კოსმიური ძალა ეძლევა!!!

* * *

ფრთხილად!..

ყოველი მოსახვევიდან
შენს მტკივან გულს შეიძლება თავს დაესხას
ათასჭიანჭველიანი ურუანტელი,
სისხლძარღვებში მანამ რომ იფუთფუთებს,
სანამ ათასივეს არ ამოსხამ ქალალდზე.

* * *

რას მიცოდვილობ, სოფელო,
შე მართლა ცრემლისმყოფელო,
რა სასოებას მიამსხვრევ,
ან საით წახველ-მოხველო.
ცრემლს მივცე დარდი – ვაპირებ,
აპანდე – გამიაპრილე,
რაც ჩამაყლაპე, ის ცრემლი
ლაწვეს მაწერია ნაპრალად.
შორადა, შორად-შორადა
გზა გაიყოფა ორადა,
სულში რომ ზეცა ჩამექცა,
არც გაგიგია ჭორადა.

ბაზუგობის სახლი

აქ

ხსოვნის კარის ღრიფოებიდან
დის ყოფილი კადრები და
თვალებიდან გიჩანს ბავშვობა.

აქ დედა არის სულ სხვა სხეულში,
მირონისებურ სხვა ღიმილში
და ერთდროულად ხედავ
იმასაც და ამასაც, მეცხრე ათეულში მყოფს,
ჩვენთვის მოგონილ მცხრალლიმილას.
აქ ორი ვაჟი და ერთი გოგო, –
/ეს მე და ჩემი ძმები ვართ/
წიოკობენ,
დაუბრუნებლად უდარდელად დასდევენ ერთურთს,
კინკლაობენ რაღაც-რაღაც სულელურებზე
და თან ისე იცინიან,
ამ სიჩუმეში ახლაც რომ ისმის...
...და გარინდების მეცხრე ტალღას
მოაქვს შოპენის ბროლის ვალსი, რიგით მეათე,
მამის თხოვნით რომ უკრავდი
და უმამოდაც ყოველთვის რომ მისთვის დაუკრავ.

აქ უხილავი თბილი ხელები
კედლებიდან გადმოდიან და
გულში გიკრავენ.

* * *

მოვისაკლისებ განა იქით მიწის ნამცეცებს,
(მტვრად სულშესაბერ სხეულს
ასეთი ქართული ცხვირით
და მტვრის გორგალზე
ბეჭედს 18-კარატიანი ოქროთი და ბრილიანტებით,
კოქტეილის კაბას გლამურული საყურეებით,
მაღალქუსლიან სანდლებს,
აქ პოდაგრას რომ ვერ მიფარავდნენ,
ახალმოდურ ვარცხნილობას სახელით „პიქსი“,
პირფერობის ფუჭად თაფლუჭა რევერანსებს,
იმ უგუნურ აპლოდისმენტებს,
ზედ შიშველ პატივმოყვარეობაზე
ოცდაათ ვერცხლად რომ დამ-დამჩხრი-დამჩხრიალებდნენ
და კიდევ, კიდევ ბევრ სხვა რამესა
როდესაც ავსაკვირველდები შეუცნობელში?!

* * *

შეხე,

ახლა შევახებ კალამს ამ ქალალდს და
ვარდები გაჩნდება,
გედისყელება დედოფლები,
მრავალკეცი იდუმალება
ხავერდის ხვეულებით,
ოდნავ ბაგეშესნილი
მომზადებული ძონისფერი რაღაცის საჩურჩულოდ...
არ ჭენებიან ვარდები, არა.
რამე სხვა ხომ არ ვუყიდოო, ალბათ, ჭოჭმანობდა,
ყვავილი დაჭკნება,
რაიმე ოქრო, ვთქვათ, საყურე, დარჩება და
ექნება და ექნებაო...
არ ჭენებიან ყვავილები,
ხსოვნის ლარნაკში სისხინებენ,
ფერში ფერი ემატებათ,
საიდუმლოში – საიდუმლო.
რაღაც ისეთი ფეთებაც მოაქვთ,
მაშინ რომ ვერ დაინახე,
ამდენი ხნის წინ.

სამოთხე და პოსტმოდენისტული გეზიები

აქ წაცდენილი ფიქრიც არსად გაიკლაკნება.

ქერუბიმებმა ასწიეს ფრთები

და ალივლივდნენ სიანკარები,

სადაც ყველა გულისნადები

მაშინათვე აშკარავდება.

ღვთის მზერის წრფეზე უხმოდ სხედან სერაფიმები

და ერთმანეთის ფიქრს კითხულობენ.

აი ხომ არის ყოველივე აუმღვრეველი?

მოდით, ახლა ამ ღვთაებრივ კამკამებაში

პოსტმოდერნისტულ ლოდს ჩავაგდებ, ამამღვრეველსა:

ღმერთი – ჩვენი კოსმიური რადიოლოგი –

მზერა მისი – რენტგენის რამ გამოსხივება –

გულთმისნობა – ფიქრის სწრაფი რენტგენოგრამა...

კრიმინალური ტელეპათი ჩაგვსაფრებია

და გვითვალთვალებს –

მიყურადება დანაშაულებრივი...

„ჯუარს აცუ ეგე!“ დაიმსახურა!

ხოლო იოანეს სახარებიდან აშკარად ისმის

არქიპოსტმოდერნისტის ხმა რამ საოცარი:

„არანაირი რამ უფლება არ გექნებოდათ,

მაღლიდან რომ არ მოგცემოდათ,

უფრო დიდი ცოდვა იმას, ჩემს გამწირველს აქვს!..“

* * *

სიხარულის თუ წუხილის ყოველი ყლუპი ჩემი ჭიქიდან იყო,
ყოველი ლუკმა – ჩემივ თეფშიდან.

...და პა, იმ ჭიქა-თეფშებიდან ამოდგა ფიქრი:

კვალთაგან ყოველი, რომელსაც ვტოვებთ

სამზარეულო-საპირფარეშოს რიტუალებში,

სამუშაო მაგიდაზე თუ სხვების გულში,

ამბობს:

– ღირს ღირებულის დატოვება.

მიწამ ჩაკბიჩა ცივილიზაციები,

ყბებში მოიგდო, ჩაახრამუნა და კვალთაგან ყოველი,

რომელიც წაიშალა,

ამბობს:

– საბედისწერო ხვედრია დატოვება.

სიტყვა „დატოვება“ შედედდა, გამკვრივდა,

წიბოებზე შუქი აიკრა მოიისფრო საფირონივით ,

მიტრიალდა, მოტრიალდა,

ბეჭდის თვალივით ჩაჯდა ლექსში.

საწუთროს ფარდი სიტყვაა „დატოვება“,

დანატოვარზეც მიგვანიშნებს და გა-გამო-გამოთხოვებაზეც...

აბარგებაც შიგ არის და სახსოვარყოფაც.

რასაც ელევი და რაც გრჩება მწრედ შე-შეუ-შეულეველი,

სულ ერთადერთ, კენტ სიტყვაში ჩაგიგროვდება.

* * *

ვინ გიმახსოვრებს

დავიწყების უთვალავი ცხენისძალის ქარბორბალაში?

იმდენჯერ ლენე სიმართლე თავს,

გაქვს უფლება, სხვასაც შეპბედო,

ამოგიჭეშმარიტდა რაც ცრუ ტაშებიდან:

ღირსეულთათვის არის სიმართლე.

სხვები ფარულ კობრად გარდასხეულდებიან

და თავიანთ საქმეს იზამენ.

მაგრამ ღირსეულს რაღად უნდა გზაზე ნიშნები,

გუმანითაც მუდამ იქით მიემართება.

ძალზე ვაი! მაგრამ ახ!.. და მერე ოო!..

ვაჳ-ვუჳ, ვუჳ-ვაჳ და ვაჳაჳაიმე!..

შენი ძალიან ღიმილით

ვის არსებაში აისახები,

ვინ გიმახსოვრებს

დავიწყების უთვალავი ცხენისძალის ქარბორბალაში?!.

და მაინც... რაკი ლოგიკა ასე ფშვნალია,

სული რაში გაქვს,

ხომ შეიძლება ეს ყოველთვის

გაცემისთვის არ სჭირდებოდეთ,

იქნებ იმიტომ გკითხავენ, რომ გადაგეფარონ?!

* * *

ვისხედი, ვბაასობდი უთვალავ „მე“-სთან

და ვიკითხე ერთ-ერთმა:

– ადამიანი, რომელიც გშია

შეიძლება კარივით შეაღო

სრულიად ფარულად

და ქურდულად შიგ შეიძურნო?..

– ფარულად როგორ? – რამდენიმე „მე“ ჩამეკითხა.

პირველმა ვთქვი, რომ ვგულისხმობდი შინასკნელში ჩუმად
შეღწევას.

მეორე და იქვე მესამეც დავიბენით. სულაც გავყუჩდით.

მეოთხემ ასე გადავწყვიტე: – შეპარვა ხომ აღარსად ვარგა?!?

ეგ ხომ უღირსი რამრამეა და თუ შესვლაა, აშკარად იყოს!..

მეხუთემ ჩავილაპარაკე: – თუ აშკარად აღარ გიშვებენ?..

მეექვსემ ვუთხარ დანარჩენებს: – შეპარვა ყველგან უკადრისია.

მეშვიდემ: – ფხიზლად ყოფილიყო, ხომ გაიგებდა?..

მერვემ: – იგებენ მხოლოდ იმას, რაც ეჭვებმია. ეჭვში რაც არ ჩანს,
ვერ გაიგებ ველარასოდეს!

მეცხრემ: – ...და მაინც როგორგოგორ შეძლო შეპარვა?..

რომელილაცამ: – რამდენი ვინმეც ჰყავდა, იმან ყველა მიიმხრო,
ყველას კითხვები ჩამოურიგა, ასაუბრა რამდენ ვინმესთან...
შემოგყავს, ვისაც ესიტყვები.

ჰოდა, მის კითხვებს რამდენი ბაგე ატრიალებდა

კარის ღრიჭოში უცხო კარის გასაღებივით.

რამდენ ვინმეს ამტვრევინა მისი კარები!..

აზუზუნდა უთვალავი „მე“: ეგ რას ჰგავსო.

ავიკრიფე ყველა „მე“ და წამოვდექი.

ბაასიც შეწყდა.

* * *

სიბერის ბზარი გასჩენია
გარდარეულად მხცოვან მელენტის.
უჩინარია ბზარი.
ვერც ერთმა ტომოგრაფიამ თვალი ვერ მოჰკრა,
არც ერთ მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევაში რომ არ იძებნება,
ექლსკოპიურ დაკვირვებაში ხომ საერთოდ არ ჩანს და არა.
იწრიტება და ვეღარ შველიან,
საამსოფლო საზრუნავისგან იცლება კაცი.
ყველა სიარული გაექცა ფეხებს,
ყველა მოფერება – დაჭმუჭნილ ხელებს,
სახეს – ღიმილთა მთელი სერია.
ყველა აქეთური გაფიქრება გამოიქცა ცნობიერებიდან,
ყველა აქაური აჩქროლება – გულისგულიდან.
სხვა რაღაცით ივსება კაცი,
სულ სხვა რაღაცით.
გარინდებაში ახლოვდებიან სხვა სიტყვები,
სხვა შეგრძნებები...
ჩვენებურად ამოუთქმელები,
ამოსახსნელები...
თქმას უფრთხიან,
თავს აძებნინებენ,
ემალებიან...
ეძებს...
ვერ ამბობს...

COVID 19

მე და პლანეტა რისკის ჯგუფში ვართ,
რა ხანია მაქვს გულის კორონალური სენი,
დედამიწა კი მოხუცდა
და ღერძზე ჭრიალებს.

ის მეუბნება: დავიბანოთ ხელები ხშირად,
მე ვეუბნები: დავიბანოთ და დავიცვათ დისტანცია,
სანამ თავად კორონას არ დაუბანია ხელები ჩვენზე,
როგორც იმ ხელებგადაჭდობილ ევროპაში.

ჩაიკეტე, თუ გინდა, სახლში.

მატყუარაა სიმარტოვე.

ვისზე ფიქრიც გამოილება,

ყველა აქა გყავს

და რომ შფოთავ, არ დავმართოთ სიკვდილი ერთურთს,

გახსენდება: ისინი უკვე გალმა არიან,

სამუდამოდ დაცულები კორონასაგან.

გამოღმელებს გვენატრება ისტორიის უღრანებიდან

აბლავლებული დინოზავრები.

ზარს დაგვცემდნენ და გამოვრბოდით თავპირისმტვრევით,

ეგ კი... უხმო... და უჩინარი... და ყველგანმყოფი...

ის მეუბნება: დაიბანე ხელები სხვებზე.

მე ვეუბნები: თუ გადაგირჩი, ვინ ვიქნები?..

* * *

რაღაც ისე ულაზათოდ
აიმალნენ მირაჟები,
ყველა ფანჯრით ვიხურები,
ყველა რაზით ვირაზები.
ნაფიქრალში მთვარე მომდევს,
როგორც ავი ტახის ეშვი,
შუქიც აღარ ეწურება
რაღრალრაღაც ერთი პეშვი.
ბინდი მიიბინდება და
ვის მისდევს და საით გარბის?
შუქი მინდა, როგორც ხსნა და
მთვარე – როგორც ღმერთის წარბი;
მოვანება-მიქცევები –
მწყალობელი თუკი მწყალობს,
დავიცალო და ავივსო,
ავივსო და დავიცალო...
რამრამრამით დავიცლები,
რამრამრამით ავივსები,
ღმერთო, ყველა ფანჯარაში
გამიჩალე აისები!..

* * *

ცხოვრება ბურუსია.
გგონია რამეა, რაკილა არ ჩანს.
გაორთქლილ სარკესავით ჩაიწმინდება და...
არაფერი.

* * *

დუმილის ლოდი ავხსნათ სათქმელებს,
გამოვუშვათ გაქვავებიდან.
გამოვაქვავოთ.
სიჩუმის მკაცრმა ღმერთმა ინება,
რომ შეელიოს ხმას გარინდება:
საფრთხის შვილი ვარ, ოლონდ არ ვიცი,
საიდან გამომეცხადება და ჩამიხუტებს.
საფრთხე მაცვია,
საფრთხეს ვჭამ და
საფრთხე მატარებს.
საფრთხეზე ვდგავარ ორივ ფეხით.
საფრთხე დამყურებს.
ყოფნა ერთი საფრთხის ტოლია,
გული რომ გულია, იქაც საფრთხეა – ექსტრასისტოლია.
მივაზომოთ საფრთხეები ერთიმეორეს.
ყველაზე დიდი ეგ ყოფილა –
უახლოესი რომ გგონია,
მიტრიალდები და ზურგსუკან
უცებ გაგიუცხოვდება,
ორი წუთის წინ პომადასავით რომ წაგიცხო
პირფერობა (პირზე ფერი),
მალულად გადაგინახშირებს.
მაგრამ არა, მეგობრებო,
ამ დროს სულაც
არ იძვრის მინა.

* * *

იმ ქვებში ნეტავ რა შედედდა
უხანო ხნიდან,
რა ვერ ამოთქვეს?
ჩამოქანების რა დროიდან
რომელ ცოდვის მთაგრეხილებს ჩამოწყდნენ ასე?!

შეხე, ამ თავნება სიტყვებს!-

„მთაგრეხილები“ რატომ მოვიდა „ცოდვის“ გვერდით?..
აკი მთა მუდამ უფლის მადლთან მიახლება?
ლიტერატურისმცოდნენი ხომ ასე მოწმობენ?..
ვითომ ცოდვამ ამოსწია ეს მიწა ცისკენ?
ან რა ცოდვას უნდა დაეგრუხუნა,
ასე ამომკვრივებულიყო,
ამომთაგრეხილებულიყო?..
დავიბენი...
ამას თავი მივანებოთ.
დავუბრუნდეთ გრანიტის დუმილებს.
რომელმა სხვა დინებებმა
მოაგორეს და გააშეშეს ამ დინებაში?..
ამოეთქვათ თუნდაც ოდნავ ვერბალური იეროგლიფი,
ღრუბელი რომ იტყვის ავდარში: – გრრრ!..
ან ნაკადული: – კლკ, კლკ, კლკ!..
რას უყურებდნენ ამოუთქმელს?..
კაცები ნახეს და ქალები,
მხეცები ნახეს, ფრინველები,
ხეები ნახეს – შრიალები,
რომელმა ერთმა ჩაუგდოთ ენა
სამარადჟამოდ?..

რომელ დანას ვერ აეფარნენ თვითმკვლელისას
და რაკი ვერ აეფარნენ,
უთქმელობის ლოდად დაადგნენ?..
რა წყლებში იყვნენ, საშიშრებში,
ვის ხედავდნენ, გამოქცეულებს სიცოცხლიდან,
როგორც ცეცხლის ალიდან,
გადმოშვებულებს თავდახსნაში:
მიშველეო, წყალს რომ შესთხოვდნენ.
ვერ მკვრივდებოდა წყალი, წყალწყალა,
ვერ ამოსწევდა წყლის ხელებს და
ვერა და ვერ ამოაგდებდა კვლავ სიცოცხლისკენ.
ამნაირების ნახვამ თუღა ჩაუგდოთ ენა?..
ამნაირები იმდენია,
თითოეულს მოგიყვებათ
თქვენსავ ლოდადსაქცევსა და ენაჩასაგდებ ამბებზე.
მეც გამახსენეს ჩემი ერთი ლოდადსაქცევი,
და შეიძლება სხვა ლექსს ვუთხრა, ჩავუჩურჩულო.

რა არის წარმატება?..

რა არის წარმატება?

დოჩანაშვილის რომელიღაც „გავძეხი“

შენზე ქებას რომ ამოაბოყინებს?..

თვითონვე ჰქონდეს და სხვ.

ნაცნობობით გალადებული

რომელიღაც ხმაურიანი პროექტის კოორდინატორი

ასევე ნაცნობობით რომ ჩაგსვამს

შუაგულ ყურადღებაში?..

თვითონვე ჰქონდეს და სხვ.

მართლა და მართლა, მაინც რა არის წარმატება?

რომელიღაც ბრიყვი,

ელექტრონულ ტექნოლოგიებში განაფული,

ამ მასობრივი წაუკითხაობის ეპოქაში

თავის ტექსტზე ათასობით მოწონებას

რომ იპროგრამებს?

თვითონ ჰქონდეს და სხვ.

აბა, რა არის წარმატება?

ან რაღას ნიშნავს ეს „და სხვ.?“

„და სხვ.“ სხვა რა უნდა იყოს,

გინებაა სამსართულიანი,

რომელიც იცი, რომ არსებობს,

გსმენია ან გაგიგია,

წაგიკითხავს, ფილმიდან გახსოვს,

მაგრამ ამ ათასი ცხენისძალით გაქანებულ გენდერის დროში

შენ მაინც ვერა, ვერასოდეს ველარ ამოთქვამ.

ჰოდა, სხვა რაღა უნდა გითხრათ, მეგობრებო?

და სხვ., და სხვ., და სხვ.!.

* * *

გადავთაროთ აბსურდი.

ეგ როგორ არის,

სიზმრის სიზმრიდან რომ თავი გამოუყვიათ

და ვეებერთელა შიშჩამდგარ თვალებად ქცეულან

მუსიე სიზიფე და ჰერ მწერი,

გადავთაროთ!..

აი ტორტი ჰაეროვანი კრემითა და შოკოლადის მინანქრით,

აი ბენეფისი, იუბილე, შეხვედრა, სუფრა...

აი აპლოდისმენტები...

აი მაკიაჟი, ვარცხნილობა, მიკროფონი, კამერა...

აი სამსახური თავისი რუტინით...

აი ყვავილებიანი პროცესია და მქუხარე დაკრძალვა...

აი...

* * *

ამა წლის ამა და ამ თვის ამ რიცხვში
დილაადრიან გამოვედი ჩემი სახლიდან.

ავტობუსით სამსახურისკენ გავეშურე.
დიახ, ზუსტად ასე იყო.

ეს კარგად მახსოვს.

მეცვა იისფერი მოსასხამი,
ადგილობრივ ატელიეში შეკერილი,
მოიისფრო ყელსახვევი მქონდა კისერზე,
იმავე ფერის ხელჩანთა – ხელში.

რომელმა მომკრა თვალი,
რომელმა?

საღამოს, ირწმუნებიან, რომ დავბრუნდი.

მეცვა იგივე მოსასხამი,
ადგილობრივ ატელიეში შეკერილი,
მოიისფრო ყელსახვევი მქონდა კისერზე,
იმავე ფერის ხელჩანთა – ხელში.

...და თუ დავბრუნდი,

სხვა გამოხედვა რატომ მომყვა?

სხვა გულისცემა?

სხვა სიტყვებით რად მევსება პირი რატომლაც?..

* * *

ზღვაშ გამაზავა წუხელ წყალდორმაში
და წყვილად ვწუხდით წყალშემომდგარ
წყლულთა საწუხარს.
გამომიკროლა უმთავრესი
და ჩაიქანა ჩუმალა ჩენჩო
სადღაც ღრმა ბოლოს,
რომ ისევ შეკრას, შეაბირთვოს
და ბევრად უფრო ზარდამცემი რამ გამოკროლოს.
ყოველ ჯერზე უფრო და უფრო...
ვის გავუმუდავნო, თვალთმაქცმა ბროლამ
რაც დაუნდობლად გამომიკროლა?!.

* * *

ყველამ თავის უფსკრულებს მიხედოს!..
გაქუცულია ღიმილი და ვერ გადაწვდება,
ხან ერთ ნახევში გა-გამო-გამოქვესკნელდება,
ხან – მეორეში.
სიბნელის გრავიტაციამ იცის, აჰანდე, შენ თვალწინ
ჩაყოლება-ჩაყირავება
ამობობლების ურთულესი შესაძლებლობის დატოვებით.
ღიმილის მაკიაჟი ვერ გადაფარავს, ცრუ იმედია.
ჰოდა, მიხედოს ყველამ საკუთარ ღმუილა უფსკრულებს!..

* * *

მე ვიცნობ გოგოს,
რომელსაც უცებ ჩაუტყყდა სიცოცხლე.
გაყინულ ტბაზე ყინული რომ ჩატყდება
(ტკაც! – დაიძახებს ბზარი
და ხიფათი ამოქანდება),
იმაზე ბევრად უარესად
და როგორც მარჯვედ გადახტებიან ყინულიდან ყინულზე,
ისე ცდილობს გადახტომას სიცოცხლიდან სიცოცხლეზე
გოგო, რომელსაც ჩაუტყყდა სიცოცხლე
და უფსკრულს ჩახედა კუნაპეტ ხახაში.
სიცოცხლის ინსტინქტმა დაქაჩა უკან
და... ისევ სიცოცხლის ხახაში აღმოჩნდა.
რომ დაფიქრდა,
ვერ გაარკვია, სად ერჩივნა.
გოგოს ამოჰყვა განცდილი ბნელი,
მან ხომ ქვესკნელს ჩახედა კუნაპეტ ხახაში
და როდესაც გესაუბრება,
შავად ამოსდის ახრჩოლებული სიტყვები,
თვალებიდანაც შავად ბოლავს.
რაც უნდა ხელი გაუწოდო,
ოდნავადაც არ განათდება,
შემურულია,
ამოგხედავს წყვილი მრგვალი ქვესკნელით,
ღმერთო, მიშველეო, გათქმევინებს.
სიცოცხლე ხომ წვაა, –
სიხარულიც, მწუხარებაც – ორივე წვაა,

მაგრამ თურმე
სიხარული ცეცხლად ტკაცუნებს,
მწუხარება – ხრჩოლავს და გახრჩობს,
სიხარული ალად კამკამებს,
მწუხარება კვამლივით ბოლავს.
ვერ გაიგებ, გოგონა, რომელმაც
ქვესკნელს ჩახედა კუნაპეტ ხახაში,
მიხვდა თუ ვერა,
შველა რომ გსურს?!.
შენი ხელის გაწოდება არაფრად უღირს,
ვინც უფსკრული განაცდევინა,
იმის მარჯვენას ელოდება.

* * *

სადა ხარ?

სადაც ფიტული დაგრჩა ფიტულებში
და „ჩემიას“ სენი მატლად ფუთფუთებს,
თუ იქ, სადაც სხეულგამოვლით ავიდა სული,
თვალის შევლების სისწრაფით
და აუხსნელი გრავიტაციით?..

სადა ხარ?

საგანგებოდ ლამაზსიტყვება წიგნებში
(რომლებიდანაც სული აორთქლდა),
სქელყდიანებში, ცხვირს რომ იპრეხენ საქულბაქოში,
თუ სადაც სიტყვებგადაცმულ სულს,
ყდებსიფრიფანას, სული უწუხს?..

სადა ხარ?

სადაც მათ ტრიბუნებს პირფერა ტაში მიატივტივებს,
თუ გულს რომ აგნებს, იმ სიჩუმეში,
სადმე განაბუღ დაფიქრებაში,
სადაც ფიქრის ფიქრება ისმის?..

* * *

წარმოსახვაში იფურცლება
შემოხედვათა მთელი ალბომი.
რომელიღაც განზომილებას შექსნა კარი.
შეგრძნებები ჩუმჩუმობენ ძალზე ხმამაღლა.
სიტყვას გაექცა მნიშვნელობა,
გადასიტყვავდა
და რომელ სიტყვას მიეტყუპოს, გადაავიწყდა.
(„ძალზე ჩვენში...“ თუ „სადღაც იქითში...“)....
აიკრიფნენ რითმები და რომელიღაც ვალსის ტაქტებში
გადაიხვეწნენ.
უხილავობენ სახილველნი, უხილავნი ხილვადობენ.
სუნთქვამ სუნთქვა ვერ ჩაისუნთქა,
ფიქრს ფიქრი ფიქრზე მიმოებნა...
იქ, მზერათა გადაკვეთის ბგერად წერტილში
ოდნავ მოისმის მეორე ოქტავის სი ბემოლი.
ფიქრობს პოეტი, სი ბემოლი
სულ უბრალოდ
როგორ უნდა ამოისიტყვოს...

* * *

(რეცეპტივით)

სასარგებლოა მარტოობა,
წარმატებით უმკლავდება ჭორიკნობანას,
ხელს უწყობს შენივ თავის შეცნობას,
სასიკეთოა შემოქმედებითი გააქტიურებისთვის.
უმი მარტოობა კარგად გამორჩევეთ,
გაწურეთ,
(წყალწყალა თვით მარტოობაც არაფრადა ღირს),
მზეზე საგულდაგულოდ გამოაშრეთ.
თვალი გეჭიროთ,
ჩიტებმა არ მიასკინტლონ,
აუქშიეთ,
ორპირ ქარში გაანიავეთ.
რომ მოგშივდებათ,
ჩამოჭერით მსუყე ნაჭერი და შეექეცით.
მაწიერია და მოგიხმობთ ანტიანდაზას:
მარტოკაცი მარტოობით წახემსებაში ბრალი არ არის.
რაც რამედ ღირს, მარტოობის მადლი აცხია,
მის ფესვებზეა ამოკვირტულ-ამოსხმული,
ამოჭკვიან-ამოკვიმატებული.
ხმასაც თავისას მოიყოლებს,
ტონალობასაც.
რომ შეგცივდებათ, აიღეთ და მოიხურეთ,
მატყლის საბნის თბუნება აქვს,
თქვენსავე სითბოს შემოგავლებთ ირგვლივ რკალივით
და იმ რკალში
ვერ შემოალწევს ბრიყვეჯეყანის ნაბჟუტურევი.
გამომშრალი მარტოობა დიდხანს გაგიძლებთ,
სულ სხვანაირად გამოგკვებავთ,
სულ სხვანაირად შეგმოსავთ და
სხვანაირადაც ამოგივათ ბაგეებიდან.

* * *

მოგსანთლებივარ.

პა, დაგიდექი შუა მზერაში,
ჩამინათელდა თვალი თვალში და
ჩემი სხეულის ყველა უჯრედი
შენს მზერაშია.

მთლიანმყოფო აქაურ-იქაურობისა,
აქაურ თხოვნაში მოგესანთლე,
შენი თითით ვარ ნაძერწი და
ჯერ ნუ!..

* * *

უბედურება?
ეს სამეზობლო
იმას იცნობს კარგა ხანია.
მეზობლის აივნიდან გადმოძვრება
ყოველ ცისმარე,
ოთხმოცდათს გადაცილებული დედის
მოთქმის სახე აქვს:
— საით გამიუჩინარდი,
სად გნახო, შვილო?..
რამე მანიშნე
და მიმახვედრე.
ვერსად გპოულობ.
ზევით ვიხედები,
ქვევით ვიხედები,
არსად არა ხარ.
წყალი ხარ,
ქარი ხარ,
ცისკენ გნახავ თუ
მიწის გულისკენ?..
შენ სადაცა ხარ,
იქ მინდა, შვილო.
მტრედი ხარ,
ჩიტი ხარ,
მზის სხივი ხარ თუ
ნისლის ნაფლეთი?..
რა მიმოქცევაში გეძებო, შვილო?..

* * *

ვინ ჩაკეტა სიტყვა „სიხარული“,
ვინ გამოწურა სიხარულისგან,
ვინ ჩაუქრო მაშალები,
ვინ შემოადნო გასახარელი,
ვინ დაჩუტა,
საპაერო ბურთივით ვინ გაფხრინა?..

ვინ ჩაკეტა სიტყვა „სიხარული“,
გასალები სად მოისროლა,
ამდენი ხანი ვერაფრით რომ ვერ მიგვიგნია?..

ხალხს უნდა სიხარული
სულ ცოტა მაინც,
თუნდაც იმდენი,
ლარის გამყარებით რომ გამოვიხმობდით
რომელიღაც ირეალური სფეროდან...
ერთი ევრო – ორი ლარი – ასე მაინც...
ჩვენი ხელფასი
ნახევარი ხელფასი მაინც იქნებოდა
იქ, ევროპაში,
და ეს სულაც აღარ არის პროზაული ამონათქვამი.

ხელისუფალნო,
ვინც წახვედით,
ვინც დღეს ხართ და
ვინც ხვალ იქნებით,
ვინ, ვინ, ვინ ჩაკეტა სიტყვა „სიხარული?“

ნახევრად ხომ ვერ ვისუნთქავთ,
ნახევრად ხომ ვერ ვიმკურნალებთ,
ნახევრად ვერ დავნაყრდებით,
ნახევრად ვერ დავმშვიდებით,
სანახევროდ ვერ ვიმედოვნებთ,
სანახევროდ ვერ დავრწმუნდებით,
სანახევროდ ვერ წამოვდგებით,
ვერა და ვერ ავიმართებით...
ეს სანახევრო ცხოვრებაც ხომ
ფანტასტიკის სფეროდან არის?..

ვინ ჩაკეტა სიტყვა „სიხარული?..“

* * *

შვილის დაბადების დღისთვის
აბრეშუმის კაბა შევიკერე,
ვარდისფერყვავილებიანი.
აი ისეთი, ქსოვილებს რომ დაჩითავენ
მფეთქავი ყვავილებით,
სურნელიც რომ იგრძნობა.
ჰოდა, ჩავიცვი მფეთქავი კაბა.

ქსოვილზე არ ხატავენ დამჭუნარებს,
სიკვდილის ულაზათობას თვალს უმალავენ,
ლპობას – ყნოსვას,
შემზარავ სიჩუმეს – სმენას...

მაგრამ გონით ვიცით და ვიცით:
სხეულის მსგავსად ლპება ყვავილი,
ყვავილის მსგავსად – ყველა სხეული.

ეს დაჩითული ქსოვილები მატყუარაა.
სხეული აგერ-აგერ შემოცლადია.
ჩვენ ვართ დროებითი ადამიანები
დროებითი სხეულებით.

სხეულის ყოველი მტკივნეული ჭუჭრუტანიდან
„ჭიტა!“ – იძახის სიკვდილი.
მაშინათვე პირი სიცოცხლით უნდა ამოუვსო –
მფეთქავი სიტყვებით –
გაიგუდება და მოკვდება.
ხან გულიდან დაგიძახებს,
ხან – ხერხემლიდან,
ხან – თირკმლიდან,
ხან – თავის ქალიდან...

რამდენჯერაც დაგიძახებს, იმდენჯერ
ამოუვსე, ამოუვსე პირი სიცოცხლით!..
შენ მფეთქავი სიტყვა გაქვს
თავისი თერმოდინამიკით,
მას – შემზარავი სიჩუმე.

ბოლო დაძახებაზე
თვითონ ამოგივსებს.

* * *

მშობლების შემდეგ დედამიწის ლერძი ჭრიალებს,
გადაქანდება დასავლისაკენ,
ჭრიალებს ისე, როგორც მოხუცი, სახსარატკივებული,
ანდა, დაუზეთავი ჭიშკარი,
იქით, ღია მისტიკისკენ
უნებურად სლუკუნით შეღებული...

და რა იკავებს დედამიწას,
რომ არ დაქანდეს,
რა იცავს მაღალ წონასწორობას?

აღმოსავლიდან ღია ცისკარს
ამოჰყვება
კამკამა ღიმი შვილიშვილების.

* * *

უძვირფასესი ქსოვილია დუმილი ახლა –
ჰეროვანი ბატისტი,
პრიალა ატლასი,
თბილი ბაიკა
ან ხაოიანი ხავერდი...
ოდნავ ღიმილში შეაზავე და გადმოფინე.
დაეფინება უთანხმოებას,
ყველა სხვაობას,
ყველა შეცდომას,
ყველა წამახვილებულ წყენას
დაფარავს, წაშლის, უჩინარყოფს საგულდაგულოდ.

მებე

ყოველი პანაშვილი, რომელზეც ვიმყოფებით,
დელიკატურად გვანიშნებს, რომ
ახლა არა, მაგრამ მერე
ჩვენც პანაშვილს გაგვიმართავენ.
მერე შორსაა, როგორც ათასი ტალღის შემდეგი ტალღა,
რომელიც საწიერში ჯერ არსად ჩანს,
მაგრამ დინება უწყვეტია და მერე ისე ახლოვდება,
ყოველ წუთში შეიძლება „ახლად“ იქცეს.
ყოველი ბორცვი, რომელზეც ყვავილს ვდებთ,
დელიკატურად გვანიშნებს, რომ
ახლა არა, მაგრამ მერე ჩვენს ბორცვზეც მოვლენ.
„მერე“ შორსაა, როგორც ათასი ქარის შემდეგი ქარი,
რომელიც ვინ იცის, როდის გამოიქროლებს,
მაგრამ ქარი დაიძრა, ვერავინ შეაჩერებს
და „მერე“ ყოველ წუთში შეიძლება „ახლად“ იქცეს.
ყოველი აქედან იქ მყოფი
დელიკატურად გვანიშნებს, რომ
ახლა არა, მაგრამ მერე ჩვენც ასევე გადავინაცვლებთ.
მერე შორსაა, როგორც ყველა იქ მყოფი,
რომელიც აქეთ არ იხედება და არ მოდის წასაყვანად,
მაგრამ დინება უწყვეტია, მერე რომელიმე მოვა
და ყოველ წუთში შეიძლება „მერე“ „ახლად“ იქცეს.

წესვლა

„მე წამოვდექი ჩემი გვამიდან
და წავედი საკუთარი არსის საძებნად.“
/ალეხანდრა პიზარნიკი/

...ჰოდა, დავტოვე ჩემივე თავი
და გავეშურე იმ ჩემკენ,
მომავლის ბურუსში რომ იდგა,
როგორც წარმოსახვის შესასვლელთან შეიძლება იდგეს ვინმე,
ან დილით რომ არ აგყვება, ისეთ სიზმარში,
საიდანაც მხოლოდ ის მახსოვს,
სავსებით ცხადად რომ მიქნევდა ხელს,
აშკარად, გარკვევით რომ მეძახდა
და ჯერ რომ სულაც არ ვიცნობდი.
ჩემგან წავედი
სხვა ჩემკენ.
უნდა გამეცნო ისე,
თვალდახუჭულად დამეხატა.
შემდეგ ისევ...
ისევ.
იმ ხმამ ახლაც თუ დამიძახა,
მომიწევს ჩემი დატოვება,
სხვა ჩემკენ წასვლა.
მთავარ წასვლამდე,
ავტოპორტრეტის ბოლო შტრიხები რომ გაივლება,
ეს რამდენი წასვლა ყოფილა!..

კანდეგიური

შიშის დღეა, შიშზე ეშმა ზის, რქები უელავს,
დღეა, კოლხის თქმით, ხინტურ-მანტური⁴.
სახლში ხარ.

შვილებს გარდა ვინცა გყავს,
გყავს მობილურში ან ფეისბუქზე.
დღე ისეთია,

სიახლოვე სამუდამოდ რომ დაგაშორებთ.

გზები დამოკლდა:

ეზოს მიჯნიდან ჭიშკრამდე და იქიდან-აქეთ.
გახვეტე ეზო, გაუღიმე უსაფრთხოებას.

ახლო მარკეტში შეირბინე ორი პირბადით,
გამოირბინე,

შეუდექი სადილის საქმეს.

უსაფრთხოებას გაუღიმე.

მეზობელს კართან დაუკიდე
ხილი ტომსიკით.

შემოდი, ისევ გაუღიმე უსაფრთხოებას.

თუ ვინმეს რამე...

ფეისბუქი მიატივტივებს,

შეგიძლია დაემშვიდობო...

უცებ სახლისკენ.

სხვაგან არსად.

მოკლეა გზები.

რა ცხადი გახდა წინაპრის თქმა,
რომ დაპოტიკობს⁵ ადამიანი.

4. ხინტურ-მანტური – მეგრ., ეშმაკური, ეშმასთან წილნაყარი, ა. ქობალია, ქართულ-მეგრული ლექსიკონი, გვ. 738, არტანუჯი, 2020 წ.

5. პოტიკი – მეგრ., ამაო საქმიანობა, იქვე, გვ. 327.

სამაგიეროდ, ფიქრი ყოჩალობს,
ყველასთან მიღის უშიშრად და დაუბრკოლებლად,
რომ მოეფეროს, გაამხნევოს, მიეხმატებილოს,
მხარზე ხელს დაპკრავს და კიდევაც გადაეხვევა.
სამაგიეროდ, ფიქრია ვრცელი,
დედამიწას მერამდენედ შემოევლება,
წაილებს ცისკენ გულის ზრახვას,
ვეღარ მოიშლის ვარსკვლავებთან შეთამამებას,
მერე ჩაიკრავს მარცვალ-მარცვალ
ყველა ვარსკვლავს, რომ
უკლებლივ აქეთ ჩამოგიტანოს,
მოტრიალდება
და... მოაქვს შენთან ექო ისევ
შენივე შიშის...

პირბადე

ლიმი ჩაყლაპა პირბადემ და
ის ნათება ზეცისმიერი
გაუჩინარდა.
სიცოცხლეს შუქი გამოერთო,
ჩრდილი ჩამოდგა.
შევრჩით ერთმანეთს ულიმილო და ულიმლამო.

ლიმი – ფანჯრის გამოლება,
თოშიდან დახსნა,
შიგ კაკალ გულში შემოშვება,
სიმრავლეში წერტილოვანი „დაბომბვები“,
მაშველი თოკი კუპრის ხრამიდან-
გაუჩინარდა.

ლიმი ჩაყლაპა პირბადემ და...

* * *

ეს ზღვა სხვისია.

იმ სხვის მკლავს ცნობს აქ ყველა ტალღა,
ყველა ხვეული უკვე სხვისი ტერფნაკრავია,
ყველა ზვირთი ზედ სხვის გულზე გადავლილია.
კილვატერული ტალღების ვერცხლი,
თვალს რომ იტაცებს,

მაცდურებაა.

სხვის კილვატერში ვერ იმოძრავებ,
სუიციდს უდრის.

შენ დაგიძახა უკვე შენმა ზღვამ,
მოუსმინე,
ჯერაც გეძახის.

შეხე, ქარები აუშლია საბედისწერო.
ხიფათებს თვალი ეხილებათ,
გადმომდგარან და გამომცდელად გითვალთვალებენ.
ხედავ – გხედავენ.

მკლავებში უნდა მოიქციო ეს ზღვა,
შენი ჰყო,

მაჯა მაჯაზე მიატყუპო
და როცა პულსი გათანაბრდება,
შენც გაგიჩნდება შენი კვალი.
ყველა კვალი იმისია, ცინცხალი იყოს.

მოთვალიმაქცდა გელია

ლაქუცის ორგანო რომელია?
პირით ვმლიქვნელობთ თუ თვალით?
ჩვენია სიტყვა „თვალთმაქცი“,
ჩვენია სიტყვა „პირფერი.“
ესე იგი, პირია პირფერი,
ესე იგი, თვალია თვალთმაქცი.
ლაქუცის ორგანო რომელია?
ლიქვნაში პირი აშავებს,
თვალიც აშავებს,
ტუჩებზე ცრუ ღიმი რომ გამოსკუპდება,
ტუჩებიც აშავებენ.
ცხოვრება ისეთია,
ერთი-ორჯერ მაინც
მოდის ლაქუცა და წითლად ინთება სიტყვები:
„მოთვალთმაქცდა მელია.“
ლაქუცის ორგანო რომელია?
რა შუაშია პირი, თვალი, ტუჩები?
ესენი ხომ სიყვარულს ამხელენ?
სიყვარულს რომ ამხელენ, სწორედ ისინი,
სწორედ ისინი,
ისინი...

* * *

გამომცემელმა
არა, არ ვარგაო ეგ სურათი,
კოჭქვეშ სხეული არა გაქვსო,
არ ეხებიო მიწას,
კამერას ფოკუსი მორღვევია,
თითქოს ჰაერში ჰკიდიხარო,
არარეალურში ჩანსარ.
არა, არ ვარგაო ეგ სურათი,
კოჭქვეშ არ გიჩანსო არაფერი,
მიწას ასცილდიო, თითქოს,
რაღაც ჩრდილი ჩანსო უსხეულო,
ჰაერში ირწევიო ლანდად,
ბურანში ნანახივით.
არა, არ ვარგაო ეგ სურათი,
უტერფო ხარო ამ ფოტოზე,
საყრდენსმოწყვეტილი, თითქოს,
კოჭქებქვეშ ჰაერი გაგდისო,
თითქოს აგიშვაო მიწამ
მისტიკაგარეულში.

* * *

ნაბიზე ზის და ლილინებს,
თუ მახსენდება ნაბიზე, რომელიც
ზის და ლილინებს?
(ხსოვნის ქარვაში – მწერი).

სულ ცოტა ხანში, როცა
ნაბიზესაც და მეც
წარმავლობის წყალი წამ-წამ წაგვატიალებს
(როგორც ამდენი მჟღერი და ფშვინვიერი წაშლის
თუნდაც მკვეთრ „ნ“-ს),
ვის ეხსომება ნაბიზე, რომელიც ზის და ლილინებს?!.

* * *

ერთს მიაქვს სათლი, კრიალით სავსე,
ბროლი უთვალავწახნაგიანი,
დაისხამს, ჩაიმარგალიტებს
მზით სავსე ყლუპებს.
მეორეს, თურმე, იმავ ჭიდან დუნე წყალი ერგება მხოლოდ,
სისველეს სვამს და მაინც სწყურია
და მის ყლუპებში
სხივიც არასდროს ჩავარდება.
ერთის სიტყვები ისეთია,
მეორისა...

* * *

აფხაზმა საძმო ფიალაზე ამიკრა ხელი,
უნდა წამართვას ღვთის წყალობა -
ეს ზღვა და ხმელი.

ვიღამ მონუსხვა, ავად რამ ჰყო,
არარა ესმის,
მიწყივ საერთო ამიტკივა ძირი და ფესვი,
აფხაზმა ავად წამიქცია მირონი ნათლის,
დედასამშობლოს დაადინა ბალლამის წათხი...

აფხაზმა საძმო ფიალაზე ამიკრა ხელი,
საძმო ფიალა ძმად შეფიცვას
კვლავ დღემდე ელის!..

ენგურის ხიდთან წაფიქი

ენგურს ისევ ადგას მტრობის ქუფრები,
ვერ შეთანხმდნენ, ვერა, ხელისუფლები
და მტრობაზე ალმატებულ უფლებით
გადიან და გამოდიან ღრუბლები.
რაც სამოყვროდ ჩააკონებს ამ ნისლებს,
მიწის შვილებს იმას ვინდა ალირსებს?
იმ სინათლის, იმ სიმალლის ვერშვილნი,
რა იქნება, ზეცასაც რომ ვეშვილოთ?..
მაგრამ... დახეთ! ცირას ხვდება ენგურთან
ბრგე აფხაზი ტრფობის მაღალ უფლებით.
უგნურების ისევ გვიდგას ქუფრები,
ვერ შეთანხმდნენ, ვერა, ხელისუფლები!..

* * *

მან უკვე იცის,
რა უცებ გარბის სოფელი სოფლიდან...

დაცლილ სოფელში მიკისკისებენ გოგოები
უკვდავების ნაკადულივით
მაგრამ აქედან ერთი წვეთი მისი არ არის.

ხედავს, მზე როგორ ჩაედინა
ჩიტსავსე ხის ურიამულების თაიგულში,
მაგრამ არც ერთი ბგერა და სხივი მისი არ არის.

რა მაძლრად მწვანეა ზაფხულის ტოტები,
მაგრამ სიმწვანის ნაკუნიც კი მისი არ არის.

მანქანები რა ჩვეულად ჩქარობენ სადრაც,
მაგრამ არც ერთი „სადლაც“ ახლა მისი არ არის.

დღეს მისია ორივ მხარეს ბასრი ლანცეტი
ონკო ქირურგის
და ჯერ არ იცის,
შეტრიალდება სოფელი სოფელად?!.

* * *

უთხრეს, კარგი ლექსიაო
და იმანაც მთემელს მადლობა გადაუხადა.

სინამდვილეში ლექსს ძველმანი რითმა ეცვა,
ბალან-ბალან ცვიოდა რიტმი
და საუკუნის წინა კი არა,
მთელი ორი საუკუნის ხავსი ტროპიკა...

პირად ფოსტაში მივწერე:
არ ვარგა-მეთქი,
მაგრამ იმას მადლობა არ გადაუხდია.

ნეტავ მადლობას,
იმ თვალმზიანს,
მადლით რომ ლვივის,
ვის სიტყვებთან ყოფნა ერჩივნა?!

წარუჩაშეგებლი წარჩაშეგა

ამობრუნდა სიცრუე გულალმა
და აგერ, შეხეთ,
როგორც ელდენით დახოცილ თევზებს,
მიატივტივებს ზედაპირზე აპლოდისმენტთა სწრაფი მდინარე.

* * *

ორფანჯრიანი სივრცეა აწმყო.
მარცხნიდან უნაპირო წარსული შემოგყურებს,
მარჯვნიდან – უნაპირო მომავალი.
ვერ დაიგინყა თვალმა ჩვევა
ფანჯრებში ცქერის.
მზერის წრფე მარჯვნივ მიდის თუ მარცხნივ,
გაურღვეველ ბურუსს ეხლება.
მხოლოდ ვიწრო აწმყოშია
ცხადი მკაფიო.
კრიალოსანი ეპყრას თითქოს ხელში ვიღაცას, –
გადმოინაცვლებს მარჯვნიდან წუთი შუა აწმყოში,
არც მეტითა და არც ნაკლებით, წუთით შედგება
და მარცხნისაკენ წაშრიალდება,
მაგრამ ყოველი წუთი მოდის მარჯვენა ბურუსიდან
და ცხადი აწმყოს სწრაფი გავლით
იქით, მარცხენა ბურუსისკენ მიემართება.

ჰავავა ისეთი...

რაიმე ისეთი უნდოდათ ქორწილში,
ქორწილივით მანამ რომ არ ჰქონდათ,
სხვებს რომ ვერა და ვერ ექნებოდათ,
განუმეორებლად მათი,
როგორც თითის ანაბეჭდები,
ან უეცრას წამსკდარი სიცილი,
დაუზეპირებელი, წაუმეცადინებელი...
მაგრამ...

ფოტოგრაფი იგივე იყო,
ვიდეოკამერა – იგივე,
პეიზაჟი – იგივე,
რესტორანი – იგივე,
სიმღერები – იგივე,
მენიუ – გივე,
ცეკვები – იგივე...

მერე და მერეც
ყოფითობა – მკაცრი დირიჟორი
სულ ტრადიციულად იქნევდა ჯოხს და
სტანდარტულად დირიჟორობდა:
პირველი შვილი – სასწაული ნომერ პირველი,
ჯაფა და დალლა...
მეორე შვილი – მეტი ჯაფა და მეტი დალლა,
სამსახური,
ბაზარი,
სამსახური,

ბაზარი,
რუტინა...
სიჩქარე, სიჩქარე, სიჩქარე...

სხეულის შიგნიდან, თითქოს, გარბოდნენ
რაიმე ისეთისკენ,
გარედან – ვერა.

სტანდარტული იყო რეკვიემიც.

* * *

დაფარულიდან გამოაღწია,
შემოიცალა ნამცეც-ნამცეც, თითქოს, ნაჭუჭი.
ამას იმდენი დრო დასჭირდა,
ამასობაში გაუცხადდა დამალვის სიბრძნეც –
უახლოვდება ისევ დაფარულს.

* * *

დადიანების ბალში კი არა,
ჩემივ ბავშვობის შუაგულში უნდა შევიდე.
იძრას, რაც იყო და შემეგებოს.

ორსაუკუნოვანი შრიალიც გაირინდება:
ამ გზაბილიკზე ახალგაზრდა დედა და მამა სეირნობენ
ჩემთან და ჩემს ძმებთან ერთად.

მერე მამა კარუსელზე კი არა,
ცისფერ ბედნიერებაზე გვსვამს
და კარუსელის კაცს უთანხმდება,
ძალზე მაღლა არ აგვაქანოს,
როცა ანიშნებს, შეანელოს
და ასე შეა სისწრაფეზე
გვამყოფოს ერთხანს.
მიფრთხილდებიან,
არ გავცივდე,
თავბრუ რომ არ დამეხვეს,
ან არ შევშინდე...

.....
ასე მოუვათ ჩემს შვილებსაც,
მერე კიდევ – იმათ შვილებს...
შემოვლენ ამ შრიალებაში,
მაშინდელსაც და იმ გარდასულს ერთად ნახავენ.

წ08ნ0ს პანონი

ქალალდი არ არის არაფრის გარანტი,
ქალალდმა რა იცის ხვალისა?
მას ობი ედება,
ავტორს – ბრაზი,
მას სოკო უჩნდება,
მკითხველს – ალერგია.

ძველდება ქალალდი,
ძველდება, ძველდება...
ძველი შექსპირი ჩამოდის თაროდან,
თაროზე ადის ახალი შექსპირი,
ახალი შექსპირი პინკინა ქალალდზე.
ძველი დანტე და ძველი რუსთველი
იცვლება ახალი დანტე-რუსთველით.

ავტორის შემდეგ რაც იბეჭდება,
ის გადარჩება.
მაკულატურას რაც გადაყვება,
უნდა გადაპყვეს, –
სწორედ ეს არის წიგნის კანონი.

ავტორიდან ათი წლის შემდეგ
უკვე იგრძნობა,
ასი წლის შემდეგ კი
მოქმედებას სრული ძალით იწყებს კანონი.

ო, რა ტომები ჩამოცვივა თაროებიდან,
ოქროთი მოვარაყებული სქელი ტომები,
გამოცემული ძმაკაცური რამ მონდომებით...
ქალალდს რომ დასწვდი, ფიქრობ ამაზე?!

თქლის

იცინის თალია თუ ნიღბის ბრალია? –

თქვენო უმაღლესო იმედგაცრუებავ,
მახსოვს, თმის შეღებვა რომ გსურდათ ფერფლისფრად,
შეუღებავიც ფერფლისფერი ხართ,
რა სიბრძნეს გამორჩით? – კისკისებს თალია.

ეშმასფეხება ქალია თალია,

ჰა, ერთი ლექსი ფიქრი ამაზე, – ამბობს თვითონვე, –

თქვენ კბილიანთა მოდგმას ეკუთვნით,

დღემდე არ გიგრძვნიათ?

რიოში ღიმილი მეტ ციმციმს აიკრავს,

დღემდე არ გიგრძვნიათ?

ღალატი – ზურგზე ამოსული შხამყვავილა –

გეცოდინებათ;

სიხარული – ეგ, მგონი, ისაა... დიახ, დიახ, ზუსტად ისაა,

ჯერ მოგიკლავენ, მერე გულით რომ გისამძიმრებენ,

გეცოდინებათ.

მადლს უკან აღარ უნდა მოჰქედო,

მაგრამ თუ დაგძლია საწუთრომ და მოგახედვინა,

მადლი ქვაზევე რომ ორთქლდება,

გაივლი და... ქვებია მხოლოდ,

დღემდე არ გიგრძვნიათ? – იცინის თალია.

თქვენო უმაღლესო იმედგაცრუებავ,

კარებთან დაგხვდებით რევერანსებით,

გთხოვთ, შემობრძანდეთ ფერფლისფერ ასაკში,

ამგვარი სიბრძნე რომ დაჲყვება შლეიფად.

მოიცათ, შლეიფსაც თვითონვე აგინევთ...

ეს რა სიცილის ფიალა დალია,

იცინის თალია...

ლექსალ გონატბე!..

ჩამოეშვა ქალალდზე
ზეცის აბლაბუდები,
ლექსით წავალ, ლექსითვე
დაგიბრუნდები.
ჰოდა, ლექსად მისურვე,
ლექსად მისურვე!..
ლექსი სხეულისაგან
ათავისუფლებს.
ლაუვარდს კაბად ვიზომებ, –
გაგიყავი ზმანება, –
მიჩუქნია ხილვებით
შეტორტმანება.
ნისლს მოვიხვევ ნაკანრზე
და სისხლივით შრიალით
გადმოჟონავს ლექსების
იალ-კიალი.
სიტყვა ზეცის სხივია,
ზეცისავე ბუნების,
სიტყვით მივალ შორეთში,
სიტყვით ვბრუნდები.
აქ ნუ მეძებ, აქ არ ვარ,
ლექსში დავიბინადრე!
ქალად კი ნუ მომიხმობ,
ლექსად მინატრე!..

* * *

საიდან გეცოდინებოდა, რომ ეგ სულაც ბოლო სუნთქვაა?!
ყელში თითქოს რაღაცამ წაგიჭირა,
თან ისე ფრთხილად,
რომ ვერც კი იტყვი, ყელში თუ გიჭერს,
უბრალოდ, სუნთქვა ვერც ადის და ვეღარც ჩამოდის.

რა იცოდი, თუ ვერავის დაუძახებდი,
ყველა ბგერა სადღაც შიგნით ჩაგექცეოდა
უხმოობაში
და ოდნავი ამოძახება
იმოდენა ენერგიას მოგთხოვდა,
დედამიწას რომ შეატრიალებდი იმ ძალით.
თან ნახავდი, რა მარტო ხარ ამ წამებში და
ნუთისოფელსგარეთაც რომ აღმოჩნდებოდი...

* * *

მე ვამბობ ბალახს,
სასაფლაოს ბინადარ ბალახს,
რომელსაც რაღაც ამოუცნობ-ამოსაცნობი ამოაქვს ჩვენთან.

ას სამი წლის სონიას საფლავზე
ბალახი გალობს.
ვალმოხდილი განისვენებს კეთილი ქალი.
დამწვრის მალამო იცოდა ისეთი,
დამდუღრულს სულაც უკვალოდ არჩენდა.
ბავშვივით კამკამა სიცილი ჩამესმის.

როცა ვიხსენებ.

ეს მისი ხმაა,
აკუსტიკური მისი ხატი.
მთელ სოფელს მისი მალამო ჰქონდა კარადის კუთხეში, –
იმედი უცები შემთხვევის დროს.
მის საფლავზე ბალახი გალობს.

მანქანა შეასკდა ახალგაზრდა ქალბატონს, ბელას.
შვილს მობილურით ელაპარაკა,
თან ქუჩაზე გადადიოდა.
ვერ შეამჩნია მანქანა და...
მის საფლავზე ამოქვითინდა
საცოდავად მოსლუკუნე სიმწრის ბალახი.

ქალაქის ცენტრში ცხოვრობდა ქალი,
კარგი ექიმი, მედიკო ერქვა.
ერთხელ მიეჭრა ვიღაცა და
საკუთარ სისხლში ამოახრჩო.
ათასი ჭორი აგანგაშდა – ათასი ჩაქრა.
რა, რატომ, რისთვის, სამარეში თან ჩაიყოლა.
მის საფლავზე, რა ხანია, ბალახი ბლავის.
გულის ფიქრი ამოაქვს ბალახს.

* * *

მზის სისტემის პლანეტიდან ვარ.
მზე გვაცვია მეცა და ჩემს დედამიწასაც-
ჩემს უკედლებო სახლად რომ მსურს.
აქ ხე გამოთქვამს უთვალავ შრიალს,
ზღვა – ტალღების ვერცხლა ნამსხვრევებს,
გზები კი აბლაბუდებივით იხლართებიან
წყალში, ჰაერში თუ ხმელეთზე.

ცნობიერო, ხარ რომელიმე პლანეტაზე
და მხედავ ნეტავ?
ხმა როგორ უნდა მოგაწვდინო?
ან შენ როგორ მიმახვედრებ, რომ არსებობ?
ლითონის მდორე მდინარეებს გაჰყურებ მართლა?
ლითონის ტინებს აჰყავს შენი მზერა ცისაკენ?
ჟანგბადი არის ნეტავი თქვენთან?..

ეს ბურთი ჩემი დედამიწაა.
მოახლოვდები –
გადიდდება,
დანანევრდება მთებად, ხევებად, ოკეანე-კონტინენტებად,
ქვეყნებად, (ორ ზღვას შუა მიწა ჩემია.
„ჯერ-სა-ქარ-თვე-ლო!“ – პულსირებს მაჯა.
ასევე იქნებ ჩაგესმას კიდეც: „სა-და-ვი-თო“, „სა-თა-მა-რო“,
მაჯა გაგამხელს, საიდანა ხარ.
რობოტთაგან, სულ პირველი, ეს განგვასხვავებს);
ქალაქებად, (დასავლეთით ზუგდიდია, ჩემი ქალაქი
და ასევე – გულისცემის აჩქარება);
ქუჩებად, (ნინოშვილის №5-ში ჩემი სახლია);
ეს ჩემი ეზოა,

სადაც ბებოს ხელში ასურნელებულ ჭვიშტარს
მოკლეშარვლიან ძმებთან ერთად შეჰციმციმებს ჩემი ბავშვობა.

ნეტავი როგორ გიმასპინძლო? მამის ნამყენ ვაშლს გაგითლი,
მისი სული ამ ვაშლში მაქვს.

დედამიწის ბინადარი ვარ.

ლექს ვწერ.

იცი, ლექსი რა არის?

გულში რომ აგიტორტმანდება სიტყვა ზღვასავით,
რამდენიც უნდა დაიოკო,
არ ჩადგება, გადმოდის ქალალდზე
და ვინც წაიკითხავს, ახლა იმის გულშიც გადა-ვაჟ-ტორტმანდება,
ეგ არის ლექსი /მეორე, რაც განგვასხვავებს ჩვენ
მანქანა-დანადგართაგან/,
ხოლო თუ ლექსში მამულიც სუნთქავს,
რაც განგვასხვავებს, გვიორმაგდება.

შენს პლანეტაზე რა იციან ნეტავ ასეთი?..

* * *

შეუძლებელში გადავიხედოთ,
შეუძლებლით, მოდით, ერთი კარგად დავიმშეთ,
შეუძლებლით დავმაგნიტდეთ და გავემართოთ!..
მერე რა, თუ შეუძლებელში
პირველივე თვალის შევლებით
შეუძლებელია შეძლება რამის.
შეუძლებელს რომ შეჰედე,
იგი უკვე შეუძლებლად შესაძლო ჰქმენ.
ვეღარაფერიც რომ ვერ შეძლო,
შეუბედავის იარლიყი ხომ მოაცილე?!.
სინამდვილეში შენ ამაზე მეტი შესძელი:
შეუძლებელია შეუძლებელს სულ რაღაც ბეწო,
ციცქნა შესაძლოს ვერ გამორჩე.
სწორედ ამ რამრამრამეთი იწყება მასზე იერიში.
შენ რა გგონია, რისგან შედგება შეუძლებელი?
შესაძლებელთა უსასრულო სიმრავლისაგან.
დააქუცმაცე შეუძლებელი მარცვალ და მარცვალ,
ნამცეც და ნამცეც,
ციცქნა და ციცქნა შესაძლებლებად
და გახსოვდეს:
ცოტცოტაცოტა შესაძლებლებს ვინც გადაუვლის,
საბოლოოდ გადაუვლის შეუძლებელსაც,
მოექცევა ციცაბოზე და
ეს ცოტცოტაცოტაცოტაობანი
იმგვარ ძალას ჩაუდგამს ძარღვში,
იმ ციცაბოდან ვერაფერი გადმოანარცხებს.

ვაი მას, ცოტცოტათა გვერდის ავლით ვინც აჲყავთ მაღლა!..

* * *

უთვალავი აყირო
რაც უნდ ბევრი აყვირონ,
სადღაც არის შორით
თავი ერთი-ორი.
ასე არის ეს და
ვგონებ, არის სწორიც:
უთვალავი აყირო,
თავი ერთი-ორი.
აი მთელი ჩმახი:
ჭკვიანებზე ახი –
თავს თავს წაჰვარის სხვა თავი,
ხამს ურიცხვი კვახი!..

* * *

რიცხვები ჩამოჩუმდნენ ქვედა სფეროებში,
გადაიცვეს ხილული ქვეყანა,
„უთვალავი ფერით“ ჩაყუჩდნენ ფორმებში,
ბრძნენთათვის აშკარა აუცილებლობით
ემატებიან, აკლდებიან ერთიმეორეს,
იყოფიან, მრავლდებიან,
უკანმოუხედავად იცვლებიან,
ფორმულებად ყალიბდებიან,
ფორმულიდან კი მარადისობა შემოგასუნთქავს.
ჩვენ, რიცხვთა შიგთავსზე ჩამოცმულებს,
ამ რიცხვზე გვცხელა, იმაზე – პირიქით,
სიცივე აგვიტანს,
ჩვენი შიმშილი და სიმაძლრე ან ამდენი ავადმყოფობა
სულ უბრალო რიცხვთა საქმეა,
სიყვარულსა თუ მონატრებას სხვა რიცხვები განაგებენ
(რომელიდაც ქიმიური ნივთიერების რომელიდაც ოდენობა
დაგმართებს ტრფობას),
გულიც რიცხვებში ბაგაბუგობს,
ჰარმონიაც რიცხვია და დისპერსიაც.
და დილის სიოს შეხებასავით მოდის მიხვედრა:
წარუვალიც ჩვენშია და წარმავალიც.
რომ გვეცინება,
ესეც კარგად გამოთვლადია,
რიცხვთა რა თანაფარდობას რასთან – მოაქვს
გაცინების სურვილი,
მაგრამ რიცხვი აღარსადა ჩანს,
მოჩანს სიცილი.
ყველა სიცილი ერთადერთია.

...და რაა კაცი?..

...და რაა კაცი,
მზერით თუ გაცრი,
გულის სახმილით
ნაფერფლი ნაცრის.
და რაა კაცი?
არაკი მკაცრი,
ვარდი და ხინვი,
მადლი და ქაცვი,
დამყოლი, ურჩი,
ვაგლახად ფუჭი,
და რაღა უჭირს?
ლექსი და კუჭი.
და რაა კაცი?
ზედაშე თასით,
ვაგლახად ხასი,
ბარბითის ბასი.
და რაა კაცი?
ზმანება ბაცი,
ამ სოფლის განძი,
სასო და ქანცი.

* * *

გზაწვრილი გამყავს ოცნების,
რას დამყიალობ, ღრუბელო,
უთენარ ლამის უბეო,
რა მტრობა დაიგუბეო.
თავადაც ჩამეკოცნები,
თუ ჩამოიწევ ადლითა,
ისე ვარ სავსე მადლითა,
სიავე მადლმა დაფლითა.

* * *

/ცდა ორმარცვლედისა/
როდის
მოდის
ფიქრი
მწირი?
როცა
ხოცავს
ურვა
სურვილს.

ს0უჩიჩბ0ზ0

ვხედავ, ღმერთმა ნეტარმყო,
ლხენად არ დამიწუნა –
მიკროფონთან ბიჭუნა დგას,
ჩემს ლექსს ამბობს ბიჭუნა.
განა ფიცარნაგზე დგას,
ღრუბლისკენ აბიჭულა,
სისპეტაკის ცალაუვარდა
ანგელოზად მიწნულა.
ნეტავი რა მოეწონა,
ან რამდენი ირწმუნა,
რას მიხვდა და მისახვედრი
რა დაურჩა ბიჭუნას?!.
სად სიწმინდე სიავესთან
მკვეთრად გადამიჯნულა –
დგას ბიჭუნა მიკროფონთან,
ჩემს ლექსს ამბობს ბიჭუნა!..

ბაზარში

/ანუ ვარიაცია სოციალურ მოტივზე/

იმ ხელჩანთას,
რომელშიაც ფასებალხიან ბრონქულებთან,
სულუგუნებთან,
ძროხის სუკთან,
ნიგვზის საწებელში ჩასაწოლად
გამზადებულ ზუთხთან ერთად
ეშმა მოკალათებულა,
ხომ მირჩევნია ჩემი –
ჩემთან ერთად ღვთის ხელი რომ მიამსუბუქებს –
კარტოფილიანი,
კომბოსტოთი თუ
ეკალათი ამოვსებული,
მოკრძალებული თხილით
და იქვე
გადასაზელი ჭყინტი ყველით
პიტნიანი საწებლისათვის.

* * *

მიხვდა მახვილს.

არა, კი არ დაუნახავს, მიხვდა.

ბეჭში ჰქონდა სიკვდილის ეშვად
და იმავე წამს გაერღვა აურა.

არ ეგრძნო,

ვერც მიხვდებოდა,
აბა, საიდან?!.

მოშლილ ონკანს წყალი რომ წასკდება,
წასკდა სასიკოცხლო ენერგია.

დიოდა უცხოვრებელი ცხოვრება,
იცლებოდა მყოფადისაგან
იწრიტებოდა.

გარღვეულზე სიტყვა დაიდო,
ჩაიბრუნა თქრიალი.

ეშველა.

თითქოს დენის შესაკავებლად ლახტი დაედოთ.

რა მახვილიც მოგიღერონ, ის კი არა და
შენივე გონი გარღვევს – გამთელებს.

* * *

ბედს მივანებე
სიტყვები სიტყვაგვიანები,
სულის ამოსვლისდროინდელი ნათელზილვები.
დანახვის დანახვა და...
სულს შეეხება.
არა და... იგივე სიტყვები
ზევიდან ქვევით
ქალალდზე წამოგეშოტება
უჭირისუფლო მიცვალებულივით,
მთელი თავისი სხეულით
და ეგ იქნება
ცხედარი პოეზიისა.

* * *

შემეძლო წლობით მცმოდა კაბა უჩინმაჩინის,
მევლო და გზა-გზა მეგროვებინა
შემხვედრების ნამდვილობები...
მოვედი ჩემი კოლექციებით,
რომლის დათვალიერებაც მხოლოდ და მხოლოდ
მე შემიძლია და არც მინდა, სხვა თვალმა ნახოს.

როგორ შემეძლო, კენტი შრიალა ტალღისაგან
ზღვა გამეჩინა
თითო ტალღაზე ცხრა მარგალიტით
და ამ ცოცხალი მარგალიტებით სავსე
სივრცე მეჩუქებინა...

როგორ შემეძლო, გულის ერთადერთ გატოკებაზე
პირველქმნილი ველური ღელვა გამომეწვია
თითო სიტყვაზე ცხრაპალიანი ატორტმანებით,
ისეთი, ცა და მიწა ერთმანეთს შეწვდენოდნენ
და ეს მუდმივი აფოფრება მეჩუქებინა.

ეს შეძლებები იქ, ნისლიან შორეთში დამრჩა
ნამდვილობების ხილვის გამოცდილების ფასად.

* * *

შემოუივეუდა
დილა უმანკო.
ქუჩა გაცოცხლდა, გაიყო და
გამდინარდა იქით-აქით.
და... ვიწყეთ
ხვასტაგის ძუნძული,
მელიის ცუნცული,
წრუნუნას ძვრომა
და რქოსანთა ტლანქი ბოტება
სარფის ძიებად.
ღმერთო, ამდენ წალმა-უკულმა
სვლა-ბიჯებაში
შენ შეეწიე ალალ ნაბიჯებს!..

* * *

...და გადაგვივლის უამი უჟამო
მართლა მეფურად,
მიითვლის მავანს, ვინც ეშმას ძმობდა,
მავანს, ვინც ლექსით გალოთებულა.
ვინც მთელი ყოფა ხაფანგს აგებდა,
ერთხელ სიცოცხლე ვერ შეიფერა,
ვინც უდაბნოში წყალივით იყო
და ჰქონდა სული ფირუზისფერი.
ესეც და ისიც, ისა და ესა,
კოლბოხი კოლბოხს
და ბელტი ბელტსა!..

* * *

იძრა ვეება სინანული,
უშველებელი,
უნაპირო,
უთავებელი.
მილეთზე ვეღარ დასატევი,
იძრა ზვავივით...
აწვა სისხლის საფასურმა, ვარვარა ვერცხლმა
ბარძაყის ხორცი,
გადაყარა და გაიქცა...
სინიდისმა დაარისხა ველური ზარი,
აგუგუნდა,
ამრისხანდა,
სმენა დაუხშო,
ბაგე გაეხსნა ცოდვილიანი
და ჰაერი არ იყო მისთვის,
ერთი ჩასუნთქვა ჰაერიც კი აღარსად იყო.
მერე ხელებმა მოძებნეს თასმა - ხსნა ერთადერთი,
გამონასკვეს და
უცებმა ნასკვმა ჩაიხუტა ცოდვის შვილი,
თორმეტთაგანი.

ცოდვა - გადლი

ცოდვა ქვესკნელს ჩაეხეტა,
მადლი - ზეცას ავიდა,
მზის კუნწულად გადმოშუქდა,
იად ამოყვავილდა.
თითო სხივად გვერგო ყველას,
ნახა ყველა ფანჯარა...
ცოდვა ქვესკნელს ჩაეხეტა,
კოჭლაბუხა, კვანჭალა.

* * *

„გიყვარდეთ თქვენი მტერნი“.
(სახარება მათესი, თ.5, მ.44).

ჩემი გულწრფელი სალამი
ჩემსავ პანანა მტერს,
სულმოკლესა და ბეზლს,
უმწეოსა და ბერწს!
მიითრევს თავის ძელს:
მუდამდღე მზირალს ქვე
შური დააყრის წნელს,
ველარ აითრევს ბეჭს.
მტერი მაფხიზლებს, მანჯლრევს,
სიკეთე ღუპავს მტერს,
მტერს სიბეჯითე სძლევს,
მტერს კარგქალობა სძლევს.
წარმატებებში, ვხედავ,
მეგობარია, მწე!
მტერს დავუდგამდი ძეგლს, –
სავალს მაჭიდებს ძნელს.
მტერო, ნუ მიწევ მტრობას,
ველარ ილადებ ბევრს,
მრავალს შემამთხვევ ხეირს,

თავად შეერთვი მტვერს!..

* * *

...და მოგვიყოლა ენგურის
კალმახივით სხმარტალა ტალღამ,
როგორც ჩვენამდე ოცჯერ ასის წინამ კი არა,
მანამდე კიდევ უფრო წინამ,
ვიდრე ოცჯერ ასი ტალღაა,
იმ ხვეულმა კულულმა ევფრატისამ -
– ინანა და მწყემსი დუმუზი.
ეს მაინც რა ჰქნა იმ დალოცვილმა,
თქვენი ჭირიმე!..
სწრაფ დინებაში ჰკრა ხელი და
თავის სანაცვლოდ სულაც ქმარი ჩაგზავნა
მიღმეთს.
ეს მაინც რა ჰქნა!..
ჩვენს იქით სულაც ოცჯერ ასის
მერეც და მერეც
მოიყოლებს სხვა ტალღა სხვა წყვილს,
გადაეჭდობა კვლავ ორი მზერა:
ერთში – ბურუსი იდუმალების,
მეორეში – ქულაბას ჭალის ავი ზმანება.

* * *

ადულდა ცოდვა სოდომ-გომორში, –
არ იპოვება ათიოდე ალალ-მართალიც.
მორჩა! – გოგირდმა იწვიმოს უნდა,
ცეცხლის ენები მოვიდეს ციდან!
ბოლი აუვა ბრალიან მიწას
და ბრალეულებს კუნაპეტი ჩააწყვდიადებს.
მაგრამ დაიცათ,
უნინარეს ლოტი ჯალაბით
უნდა გავიდეს ცოლარ-ქალაქში, –
ბოროტეულთა ქალაქიდან იხიზნება ერთადერთი
უცოდველი,
მარტოკინა ლოტი – მართალი.

იცდის უფალი...

* * *

სხვის თვალში ბეწვსაც ვიხილავთ,
ჩვენსაში – არცა დირესო.
გვიხსენი ბოროტისაგან! –
ლირსთა მამათა სწირესო.
უამბა აოტა უამი და
უამნი კვალადცა ჰერესო, –
სხვის თვალში ბეწვსაც ვიხილავთ,
ჩვენსაში – არცა დირესო.
ბალლი მკითხვადა: იესო

რაისთვის მოაკვდინესო.

სიყვარული

როცა უკვე აღარ ეძებ,
მაინცდამაინც მაშინ, როცა უკვე არ ეძებ,
სულ რომ არ ელი,
რომ არ ელი სულაც, იქაა.
ვერანაირი ქალური ალლო ვერ გიშველის:
განწირულია დაუნახველობისთვის.
მიუხვედრელობისთვის,
უპასუხობისთის.
თითქოს იოლი დასანახია:
ჯოჯოხეთურად ბაგეშეკრული
უცები მზერის იასამნებს გიძლვნის მალულად,
მაგრამ რაკი იქ არ ელი,
აღარ ელი რაკილა იქა,
ვერასოდეს დაინახავ,

ვე- რა-სო - დეს!..

* * *

ორი სამყარო შემომეფეთა ადამეთში:
სიტყვებს იქითა და აქეთა,
ნამდვილი და მოჩვენებითი.
სიტყვებს აქეთა ქვეყანაში ხდება გაცნობა-მოწონება,
გვირგვინის ფსკვნა, ყონაღთან ჩხუბი,
მეგობარი ქალის ღალატი, ხმაური და
აურზაური...
ყური უსმია, თვალი – უნათლო, კოცნა –
გაცემა...
ვლიან ათასი იკლიბაკლი გზასავალითა...
სიტყვებს იქით კი ისეთი სიმყუდროვეა!.. იქით არაფერს
დამტკიცება არა სჭირია, ყველაფერი აშკარაა
და ურიოშო;
ღიმილი – ღიმილია, წყენა – წყენა,
მზერა – ლამუნია,
შეხება – ფიცი,
ამბორი – ალსარება.
იქით გუმანის გზა მიდის მხოლოდ,
რომელზეც მხოლოდ გულთამხილავნი იარებიან...
იმ უპირატეს ქვეყანაში დამითქვამს ბორჯი.

გუბანის ეპიტაფი

იმ წამიდან ამ წამამდე,
იმ ჭამიდან ამ ჭამამდე,
სოფელი ხომ ვერჭამეა,
ჩვენც ვჭამეთ და თან ვერ ვჭამეთ.
ჭამასა და ჭამას შუა
სხვაც კი იყო ცოტა რამე,
სულში ჩელო ქვითინებდა:
— ვინ ხარ ახლოს, ხმაი გამე!..
ჭამას ვიყავ, საშიშია,
ვერჭამეშიც ნამყოფი ვარ,
ბოლოს თუკი ისევ გშია,
ჭამა ბრძნული არ ყოფილა.
ჭამასა და ჭამას შუა
სხვაც კი იყო ცოტა რამე,
სულში ჩელო ქვითინებდა,
რარიგ ჩავაჩარირამე!..
რომ მეგონა ცოტა რამე,
იმან გამინათა ღამე.

ჰეცინგტი შურის დასაძლევად

როცა ჩრდილი შეგიპყრობს,
 ეშმას დარია,
 როცა ეშმას დარია,
 შური ხოხავს, პარია.
 იფხიზლე და იხილე
 შარიშური შავი შურის.
 მოწამეა უფალი,
 შიგაშიგი შუშპარით
 შეგრაგრნვა და შეცოცება
 მისი რარიგ გეოცება.
 აქა – ვაი!..
 ახავაი!..
 ნუ დააცლი,
 ნუ დააცლი,
 თუ დააცლი,
 ფასს გაგაცლის!..
 მკვეთე,
 აშინე,
 უცხუნე
 მაშინვე!
 ნუ შეგიქცევს ყურებით,
 აახილე ყურება.
 იყვირე: – მშურს,
 ვაგლახ, არა მსურს!..
 მამსგავსებს მძორს,
 მორს, შორს!..
 და რაც უფრო მეტია
 ცხუნება და თაქება,
 მოშავშავე უსწრაფესად
 ჩაქრება და გაქრება.
 ღვარძლით ფერზე ვეღარ მოვა,
 ბოლმით ვეღარ დანაყრდება,
 ძალა მიაკლ-მოაკლდება,
 შავეთს ჩაჩაჩანაკდება.
 აი!..

* * *

ოცნება და ტყვილა
გაფრენილა წყვილად,
გალოკილა თითქმის
თაფლიანი ქილა.
ტყუილს გულად ცა აქვს,
მეტაფორის ცილა,
ზღაპარბაგის ღამე,
სასწაულის დილა.
ზმანება და ტყვილა,
ზმანება და ტყვილა.
ნასულა და მხოლოდ
ლექსად დარჩენილა,
ლექსშიც – გასაკვირად
ლაჟვარდის წილ – ფთილა!..

* * *

ადამიანს საკუთარ სილრმეშიც
შეიძლება გზა აერიოს,
რადგან ფიქრი უსიერია.
მიმტყუებელიც.
ულრანში სხივი შეიძლება არსაით ჩანდეს.
მიდიხარ და ხვდები,
აქ არავის უვლია.

* * *

ლამეზე ნაღდი ვინა გყავს სადმე
აღმოსავლეთით ანდა დასავლით?
ლამე ჩაგყვება სასთუმლად იქაც,
აქაც გეხვევა დასავით.

ლამის უბეში შეიყუჟები
შემცივნული და მიუსაფარი
და ლამეც ორთავ თვალში ჩაფენილს
ჰა, შეერხევა ლექსის ფაფარი.

და გაგიტაცებს ლურჯ გრიგალებში,
კურთხეულია ესე ქროლება,
ახლა „მერანიც“, „ლურჯა ცხენებიც“
ლამიდან უონავს ცხელ სტრიქონებად.

დაბლა კი შენი დედამიწაა
თიხის ქალებით, თიხის კაცებით,
ყირამალაობს საკუთარ ლერძზე
თიხისებური რამ გატაცებით.

მაგრამ ვის ეტყვი ლამის ხვაშიადს,
ვის გინდა უთხრა ეს სასწაული,
გაუგებარი თიხის ქალთათვის,
თიხის კაცთათვის ვერსაცნაური.

გდიგალში ნათევაში ლექსი

(გვიან ლამით, როცა ვაჟას ჭაპებს ვყავლი ტყველ)

ვერ დაეტივნენ ღამის უფსკრულში,
მიუსაფარნი ძრწიან სულები,
ჯოჯოხეთიდან ამოსულები.
– ქშშშ!..

ქროლვით თრობაა.
სულებს შორისაც მარტოობაა.

გრიგალმა ლექსი ამოაგდო
აქა-იქ მთვარის ვარაყით,
აქა-იქ რითმის არაყით.

ლექსი ვერა და ვერ დაეტია
გულის ფართქალში.

რომელი მეტია: ლექსი თუ გრიგალი?
აპა, ცხადია და არა სიზმარი,
ლექსი, გრიგალში ნათილისმარი
იტევს გრიგალებს.

– ქშშშ!..

გესმით? ლექსშია გრიგალი,
გრიგალში – ლექსი.

გესმით?

– რას დალექსაობ, ქალაო,
წამამყე მაღალ ფორტეში,
არ გვინდა ჭორებ-შპორები
და ვარსკვლავების კორტეული.
წამამყე ღამებნელაში,
წამამყე დათქმულ ალაგას,
შენ რა ქალი ხარ, ერთაი
საიდუმლოც კი არა გაქვს.
ცად ავყრი ისეთ აკორდებს,
შენს სახელს წამოაბოდებს,
აგინთებ მთვარის მაშუქებს,
ერთ საიდუმლოს გაჩუქებ!..

ზარდაშვილი

(შელოცვა ადამიანის შინასკნელში შესასვლელად)

იცის კი ვინმემ, რა განძი დაგრჩა?

არა, არცა ვინ.

ბა-გე-ზარ-დახ-შა

ი-ა-რებ-სა-ცა-ვი

გამიხსენი,

რომ ვთქვა: ზარდახშას

განძი არ დახშა,

დავიხსენი;

ზარ-დახ-შა არ დახ-შა.

— გახსენ ბაგე,

— განძი მარგე

განძიარების

ჩაზიარებით.

სასაფლაოზე გიყიდე გონი

სასაფლაოზე ვიყიდე მიწა,
ვინც იყო, ყველა მიწაზე მიწვა,
მეც ეს მომელის, თუმც ახლა ვზივარ
და ტაეპების მუზარადს ვიწნავ.

ტაეპო, მშველი? აბა, მითხარი! –
აქ მე ვიქნები, იქ – ჩემი ქმარი!
დავდე ხელფასი, მომცეს ქვითარი,
გაუგებრობა – არავითარი!

მარადი საბნის ჩამოველ ფასი,
სიცილ-ხარხარში ვინც გაიფხრინა,
ან ვინც სიცოცხლის ეძია არსი,
ყველა თანაბრად ჩაიკრა მიწამ.

სასაფლაოზე ვიყიდე მიწა
და თუნდაც მზემან სრულ მომიკირწყლა,
გამოვეპაროთ, ტაეპო, ნელა,
დავტოვოთ სახტად ჩვენი მიქელა!..

ფატმან - პარმენი

თეძოებს შუა მოვიქციე მამაკაცეთი:
ჭაშნაგირიც, ავთანდილიც,
თვალად ნასი და მჭლე უსენიც,
ვინც ვისურვე, ყველა, ყველა!..
ნაკლებ ვინცა მსურს, ვუშსხვერპლებ იმას,
ბარძაყებში გასაჩრელად ვინაც უფრო მეტად მწადია.

...თმაში ელდა – ჟასმინის ლერნი
ან აკაციის ყვავილები...
გზად შეგეყრები
და ფაშატივით შეგირხევ თეძოს.
ჰოროსკოპით ცეცხლოვანი რაშის წრისა ვარ...
ხოსე, ლუკასი... და შემდეგი მასტი ვინ არის?
ნამის ხანძარი!..
ნამში თაფლია.
შეხვედრათა ბედნიერება განშორების ბედნიერების
კვალდაკვალ მოდის.
ყოველი წამის ნექტარი მსურს და ვინ დამიშლის?!.
კარმენს ძალით ვინდა მოჩანგლავს?!..
გომებმა დაახვიონ ჩემი გზებიდან!..
აი მათი ჭკუაც ვატირე!..
ოჯახი – ეს სულის ხუთვაა,
ტუფტა კოცნა და ჩვეულება ღამე ხახუნის, –
დუნე, ჩლუნგი, მოჩოლფორთებულ-მოშვებული,
მაშინ, როდესაც ჩემი შეხება დენის დავლაა,
მაშინ, როდესაც მაგმა ამომდის და ვიღვიძებ
ქალი – ვულკანი!..

რას მეტყვის სამთცდამეათე?..

ჩაყრებების დოკუმენტი

* * *

სიტყვამ მისცა **პინა**,
განა ჩინჩხლებმინავლული?..
ხომ იქნება **ახი**,
ვერ ცნოს საქმე **სახიფათო**?!
ცეცხლს რომ გაჰყრის, **საით**
გაიცემა **საიდუმლო**?..
სიტყვა – დაზე **დაი**
საიდუმლოს **დაიდუმებს**?
ელდად გასცემს **რასაც**,
იქნება კი **გასაძლები**
მისთვის, შერჩა **ვისაც**
ბინად სიტყვის **მისამართი**?!.

* * *

რუმპა- რამპა- რამპარა,
რა მომცა და რა მპარა
უსასრულო ლოდინმა?
მოლოდინი მოლალა,
დააგორა ლოდივით
საყვედური მოლალატური:
რა ტყუილი შუქისკენ
მირაჟ-მირაჟ მატარე,
მომაჩვენე, ჩამოდგა
თითქოს ჩემი მატარებელი;
ცხადის ელდამ უცებმა
უცნაურად გამზარდა,
გამომაწრთო უცები,
არ დამზარდა თავზარდამცემად;
იმედების ლანანში
სიბრძნეც მწარე ჩამოვა
და რაც ბრძნულად დავწანით,
გამოლმისკენ ჩამოატივებს
ტივის ბრძნული ყუმბარა,
რამპა- რუმპა- რუმპარა!..

* * *

თითებშუა როგორც სილა,
ჩაიშლება ყველა სილამაზე.
ვინ ვართ, ვისი ვინმეს ვინა?
რა გვაქვს ხსნად დ რალა ვინანიოთ?
ან რადა ვართ აქ და ახლა? –
რა ქსელში ვართ ერთად გახლართული?..
რაც გულს ხვდა და სულს მიეთბო,
სხვა რამეა, სხვა მიეთმოეთი.
ცის და მიწის სხვა რამ ლუწი –
ის სხვა სხვას ვით უნდა ვუწილადო?!.
რაო ცამ და მიწამ რაო?
გასამხელი რჩება რაოდენი.

* * *

სანთელი ადნობს ზღვარგამყოფ ფარდას
და გადმოდიან ნახმობი გარდა ც ვ ლ ი ლ ე ბ ი .
არ მოვენატრეთ იმათაც განა?
თვალი გვევსება ნაცნობი ანა რ ე კ ლ ე ბ ი თ .
კვლავ ერთად ყოფნის წუთია ამო,
იქეთა მხარე აქეთკენ ამო ტ რ ი ა ლ დ ა .
კურთხეულია შეხვედრის წამი,
მოგონებებით ნაფერებ- ნამი ნ ა ნ ქ რ ე ვ ი .
და მოინევენ სანთელ და სანთელ,
მერე გვტოვებენ თითქოსდა ნათელ მ ხ ი ლ ვ ე ლ ე ბ ს .
რა უნდა ვუთხრათ მადლობის გარდა
ამ საიდუმლო გადმოსვლა- გადა დ ი ნ ე ბ ა ს ?!.

* * *

ნისლის ჩამოდგა ბოლი,
ყოფა ოცნებებს **ბელავს**
და ამოძრავებს კალამს
დარდჩაკმეული **მელანქოლია.**
ჩათვლემილია ბედი,
ცრემლები დასდით **სანთლებს**
და სიხარული არის,
ოლონდაც ისიც **ჩათვლემილია.**
თვალს გამოახელს, როცა
ბედი მოუქნევს **წკნელსა,**
რა მოაქვს, თვითონ იცის
და მოაქვს რაღაც **ძნელსახილველი.**

* * *

ჭირი რაღატომ გავგზავნო იქა?
იქაც ლხინი და სიკეთე **აქაც**,
ღირდეს, რისთვისაც გაგძვრება სიქა,
ეს დავრდომილი ქვეყანა **საქართველოა.**

თვალს არ ამოგწვავს იმისი ბრელო,
ფოტოსაც სულ სხვა რაკურსით **ულებ**,
მაგრამ ხედავ, რომ დღეს საქართველო
საბედისწერო გადადის **ულელტეხილზე.**

თუ ჯერ ჩვენა და ქვეყანა – მერე,
იმ ოქროს დროის მირაჟი **გჯერსა?**
მომწყურებია, გისურვო მე რომ...
და მაინც... მაინც... და მაინც **ჯერსაქართველო.**

* * *

...და ზარდახშაში გაგროვე, სიტყვავ,
გექებდი, სიტყვის ვერთქმულო **ფერო**,
და ვერთქმულები გისურვეთ სეტყვად
ჯერ ვერმიკვლეულ გზებსა და **სფერონებში**.

გამოუთქმელი სათქმელში ვცვალე,
მაგრამ ჯერ მისთვის ყურები ყრუა,
პწყარს გარეთ გარბის ორი მარცვალი,
რიტმისთვის რაა ამაზე **უარესი**?!.

ვინ გაპატივებს? მწარედ ინანებ,
ჯვარცმაა ორი მარცვალის **გამო**,
როგორ გაბედე და გვასმენინე
დისპარმონიის ახალი **ჰარმონია**?!.

* * *

ჰოი, მზევ! ჰოი და ჰოი, ცაც!
როგორ არ მოვთქვამდე **კარდაკარ:**
სიკეთე მახვილად მოიქცა
და შენ კი გეგონა, **გადაგარჩენდა.**

ცხოვრებამ აი, რა გახილვა:
ვარდის წილ ვის ნარი **დაუგეს,**
სიკეთე მოიქცა მახვილად,
ეს არის ძალიან **გაუგებარი.**

გზებია გრაგნილი იქედნედ,
ამ სიბრძნეს არ ვფლობდი, **აუ, ჯერ!**..
მახვილად მოიქცა სიკეთე,
ეს არის მართალი **დაუჯერებლად.**

მ ო ს მსგავსად აგიყირავდება
ანდაზა ქვებისა და **მადლის,**
სიკეთე მ ო ს ო ა, ავდება
იმ ძველი არშინის და **ადლისაებრ...**

მოაგანზე – ძალიან მარტივად

საქმე ის არის, ის არის საქმე,
რას ისურვებ და შესწოდები **რასა**,
რა დაგახვედრეს და თავად რა ჰქმენ,
აი ეგ არის ნამდვილად **დასაფიქრები**.

ბერწი არა ხარ, თუ რამ გაქვს შენი,
თუ რამ შენი გაქვს, არა ხარ **ბერწი**,
რაც რამ შენია, სხვაგვარად შვენის,
თუნდაც სულ ცოტა, სულ ცოტა, **ბენვისოდენა**.

გადაარჩიე შენი და სხვისი,
შენსას უთხარი: ამოვედ, **ამო!**..
სად შენ იწყები, იქ დასაწყისი
იგულისხმე და წერე, რაც **ამოიძირა**.

* * *

გლეხმა თქვა: „ჩალაც აღარა ჰეურავს“, „აპსურდი ჰეურავს!“ – კამიუმ, კაფკამ, – ავხედე, ვნახე, ეხურა თუ რა, ქვეყანას ჰეურავს ლაშვარდის კამკამელები.

რის მაქნისია ნეტავი? არც რის, გულმა მშველელად ვინ დაიგულა? – არვის იმედობს მუსიე სარტრი, და მაინც... გვხურავს კამკამი ულაუვარდესი.

ჰაი ჰაი, რომ ეგ არის რაღაც, ეგ რაღაც არის, ჰაი და ჰაი!.. გრანელმა იცის იქ ცქერით დაღლა, მაგრამ ვერ ამბობს ვერაფერს ჰაიდეგერი.

ვეღარაფერსაც გვეტყვის შუქიანს ხელჩაქნეულთა სრულიად საძმო, ვის თვალებშიაც ყოფნა მუქია, ვერ მიხსნის, ვერა, რა მოაქვს, რაც მოკამკამებს.

მოგვწყურებია შუქი რამ ციდა, სხვა – არც რა მეტი, სხვა – არც რა არც ვის, ფესვით – მიწაში, ავსებით – ციდან, ცისავ ნაფლეთით, თუნდ მდოგვის მარცვლისოდენით.

ჰოდა, საფლავში თუნდ გადაბრუნდა ეგ მთელი საძმო, აშკარა როა, ხომ უნდა ითქვას, რა ახსნა უნდა, რაც მოდის ციდან და ზეცას მოაკამკამებს?!.

କାଳ ମେତ୍ୟାଙ୍ଗିଳି ସାମନ୍ଦରାଜମହାରାଜ?..

ପ୍ରଥମାଂଶ

* * *

კურცხას ორდა, კურცხას,
აკანს აკაბურცხას,
დიგორი ალა-მალა,
ქოიძახუნდა გვალა.
თი საირო ქიანასგ
გეგენქ იფრელს გვიანასგ,
მუ ამბე რე თექ,
მითინს ვათქუ ექ.
დღაშ მულაშა ვაიჩქა,
გეგენქ აკა დღასგ,
მუთ უჩქა, მარა ვარაგადე
სქანდა აგაგასგ.
თი რჩეინაშა მეურსგ
ირკოჩ აკახვალე,
მუთ გითასუნ, ეურსგ,
მინშა ემალ ვარე.
აქ ტყურა რე ბრელი,
აკოპოტიკელი,
კურცხას ორდა, კურცხას,
აკანს აკაბურცხას!..

* * *

სოდე ოფუნუანდესგნ,
ამბექ თექ ფ,
მირჩქილი დო გეგე,
არიკის გ.

ბოშის ცირა ქაძირეს,
თი გინართუში ჟ,
მიდგაქ თენა ქიმინუნგ,
ამბე თიქ ზ.

მიქთ ამბე გილელუნი,
კვარჩხიშე თიქ ქ,
ინეფს ართიანქ ეყოროფე,
ჯგირობუაქ თ.

ართიანიშა ირულეს,
მირე ამდღა ბ,
თი ძღაბი დო თი ბოშით
ლორონთქ ჯგირო ც.

* * *

გოთანთალერი გოფშა თუთა,
სო იდი დო სო მედინი?..
ელატყობუქ ჩე მუნაფას,
სისანდი ვარე სოლეთინი.

შურს შურებშა გექთუტყობუ,
ჟას წკვერნკვენტის ულუანს,
ეცალი თუთარჩელა სერს
მუ ჭირი დუგორულუანს?!.

ვო მუნაფა, ჩე მუნაფა,
მიშვ ულაამუ თის ცუნაფა?!.

მითინს ვაუჩეუ მუთუნი

მის უჩქჲ, მიშო ზოთონჯანს,
მიშო ზოჯუნს აფუნი,
მი სო გილეთვაფუნი.
მი მის მურე აფუნი?!.

ღორონთი მიშვ კარს ონჯანს,
მი მეტებულღ აფუნი,
უღორონთეთ ხანდა მის
წყარშა ინორღვაფუნი;

მიქ მუ მიოთურთუნი,
მიშო მუსხი უთუნი,
მიქ მის სო ეურთუნი,
მითინს ვაუჩქჲ მუთუნი.

მის გური მიშა ურთუნი,
თასილქე მის ეურთუნი,
კუმა რე დო თუთუმი, -
მითინს ვაუჩქჲ მუთუნი.

* * *

ორთა ნგერს ვაგუნია,
მუშენ თქუა თესია,
ვემერჩეს თეში რჩქინა და
მუშენ ვემერჩესია?!.
მიდგა-მიდგაქ ვემეხვადეს,
ქოთ ბრელქ უდინესია,
ნგერს უღუს მი უზიმუანს,
მი გაბედუ ფერსია.
კურცხას ვარდუნ, ფია-ფიათ
ინა ეკიდესია,
გოკურცხი დო ქიმეხვადი,
მუთა გიკებუ ხესია.
გიწი, მარა მუშოთ გოკო,
ვაგგაგინუ თექ სია,
თოლს ჩინება ვაიღუ და
უჩათ ორწყექ ჩესია.
ყუნგა ვარექ, მარა მუ რე
გურს ვაუჩანქ ბრელსია?
ნამუს გურს ვაუჩანქვნ,
მეუღუ ცალა ნგერსია.

ინჯირუქ დო ირულუა
უთანაფუ სერსია.

ნამ რე ათაქ გურ-მარგალი,
ცუკიში გილმათაჩატალი,

ნამ რე ათაქ გურ-მარგალი,
ცუკიში გილმათაჩატალი,
მუნაფაში მათაჩალი,
ნამ რე ათაქ გურ-მარგალი?!.

ქომწით ასე მა მართალი,
მი რე ქუჯიში ნავითალი,
მი რე ცოტნები ნავითალი,
მის უღუ ზიტყვა შხვაშ გართალი,
ნამ რე ათაქ გურ-მარგალი?!.

ობადდიხაშ მის არჩეილე,
ვართ მითინიშ ნაფაჩალი,
მის უფუნს შქაბან გურს
აიაშდ ბუაშდ ნაბარჩხალე,
ნამ რე ათაქ გურ-მარგალი?!.

* * *

ეთი შარას ტყობუ ღურუ,
იშა მუჭო ვამოშკურუ,
ვამოშკურდას ვაშინერს,
მარა ჩქიმდა ვაშქირენს.
ითამ შურო ვამჩინენს,
ვებჩინენქ ითამ შურო,
ვარც თაში დო ვარც თეში,
ვარც ჟგირო დო ვარც ფურო.
— ვო ღურუ, რსხება გოგონდას
ჟიმალობა გოკონდა,
სოდგა რენო რექია,
ქოტყობუდა თექია.
მუუამს ჟგირო დიფშირუქუ,
ვეშმალებე ისხია,
დოიძახუქ დო ქომსაშველი,
თე რინაშე მირსხია.
ნარაგადა ქუგომშინი,
დოლასი, მუდგა ბრაქვალე,
შირილი ნოჭკუდიაცალო
იშო მიდმოქვაქვალე.
ეთი შარას ტყობუქ, ღურუ,
სქანდა მუჭო ვამოშკურუ,
ვამოშკურდას, ვაშინერს,
მარა ჩქიმდა ვარშქირენს.

გემანგალი, სამარგალო!..

გურს მონტუქე, სამარგალო,
ვაგაფუქე შხვაში თური,
ართო თოლიში სინთე რექ,
შხვა მუ ბთქუა ოცქვაფური.

მთელი ქიანა მიღე ხოლო,
თოლს მუს უკინდუა ეცალს,
ართო გურიში სიტიბა რექ,
ბუა დო თუთაში მუკნაკვეცა.

ბორჯი ილენს მასქერშორო,
რშუ მუ იღუ დო მუ მიღუ,
ბაბუში ბაბუში ბაბუში იშო
მითაუამიში ნინა გიღუ.

გიხვამანქ ჟინქი დო ცას,
ცაშა თსუას გიხვამანქ,
სქანი ტანიში არძა ჭუა
გიმე—გიმე მიღვამანკ.

მუთ ცოთენი, კინი იცი,
აიაში ბუაში ნატრი რექ ვვალო,
ხურხიშა ახუჭოლათვარი,
გემანგარი, სამარგალო!..

* * *

კოჩინიერ ლურელს – მარდი,
ჩხორო მარდი – მაშინეს,
სანთელცალო მიღვა რდუნი,
ვაშინუე – ვაშინერს.

ცურუს მითა შუდუ, მარა
გასაშინე გაშინეს,
კოჩინიერ ლურელს მარდი,
ჩხორო მარდი – მაშინეს.

პუშა გოშეურა...

მუშა გოშეურუ, ბაბაჩია,
სქანი ბუა დო ორთაში დორთა
ამარ გერე, გიძიცანს –
თოლეფონკონდა სქანი მოთა.

მუშა გოშეურუ, ბაბაჩია,
ახალი ეურს ნაცალას,
ჩხანას გიმე გიმულებუ,
ამარ ეთვობარჩხალანს.

ა სქანი ჩხანა – სქანი ჭყანა.

* * *

კოჩი მუ ცოფე! მუდგა თის
მუშ—მუში თია დურიგე,
მირულე დო
მეზგირტე დო
მიხვარხვალუ ურიგეთ.
ნოტე თევრე მუ ამბე რე,
თევრე მუ რე, შურიგე?..

* * *

სამართალი ვეშაპუნა,
თოლი განჯი, უნჩაში, თოლი ვაწკურა,
მუთ მიწითგნ, არძო ქულა,
კაბინეტიში ნასასურა.

გვალო ეცალ კაჭა ზიტყვა
შუროთ ვარე ცაშა მალუ,
დიპანჯუ დო დიტატარუ,
დიპანჯუ დო დიტატარუ.

ცოდა ფუნს დო იგვარგვალუ!..

ვართ ჭოლორიში,
კოჩიში სქუაში
გეგონი, უნჩაში, მინაცურა:
ქო, სქან ჭირი, ახავაი,
ქოთ მართალი ე სქან ტყურა!..

* * *

რინა ქოისხუნგ ულაშა,
ღურუშ მოტყობუაშა,
ექ მუ გელუნგ, ვაიჩქუ დო
ვაღურედა ღურაშა.

ჩქინ კარტის უჩქინეთა
სოდგარენი ფაჩუნა,
ათე ლრთაშ იქილე
სო მეურთუნ, ვამჩქუნა.

სისმარს მუთ უკაგუ ე რინა,
ხეს გეიშქვა ნირზიშა,
მითქვაქვალუთა სოდგარენი
ნირსგშე – უმოსი ნირსიშა.

* * *

როგუნჯი მურსა დო მომერეხანსა,
სი მუ გოკო თის მოთხუე,
მარა თიცალსა იბირბინწუ,
ჭვიტის ვერზენს, ვა ქოთქუე:

ვო როგუნჯი, სი როგუნჯი,
სქანგ ბირბინწი მის ოხუჯუ?!

ფარსაკი რე ე ქიანა,
ქიგთმოხუნეს წკურუმიას,
დუდო ღორონთი, მუშ-მუში ირკოც!
თოლი გაფუნო წკურილია?..

ვო როგუნჯი, სი როგუნჯი,
სქანგ ბირბინწი მის ოხუჯუ?!

ტყაშ მაფა დო ოჩოკოჩი

წყარს ეკოხე ტყაშ მაფა დო
მუშ მანწარა აფუ რინა,
მიგვარგვალუ ინგირნყარი,
ჭა დო გვალაშ მითნარგინა.

ინგირპიჯის მიკინგარსგნ
ტყაშმაფა რე ჩელაია,
მოტყობუნს ოჩოკოჩი,
ფრიმულოჩერჩელაია.

ირული, ვეგიახაბარკა დო
ვეგიანთხა ნახაფულს,
სი სარალო, ეთიმწკუმა
ძირუნქ ჩხე-ჩხე ჩილამურს!..

მიფიორუ ტყაშმაფა დო
სო იტყობუნ, მის უჩქ თინა,
ოჩოკოჩის ვეგიაჭიშუ,
მუშ მანწარა აფუ რინა!..

თე ცოროფა მუ ცოფე დო
მუნერი ცოფე, ოკო რჩქინა...
მიგვარგვალუ ინგირნყარი,
ჭა დო გვალაშ მითნარგინა...

ზოთონჯი

ნოცელი ნოცელს თეშ გეთხობ,
მირულედან მორულეთი,
ბორიაქ გეშეხანგალუ დო
გილეწუ ბორულეთი.

ქინთიტყობუ ნოცელეთს,
მინ კიჩუნს დო მინ ფაჩუნს,
მოურს თირი, მოფუცქინუნს,
მოცენს დო მოფაშქუნს.

მოურს ბამბეშ ნოსეფცალო,
მოურს ფართვალიაშორო,
ე ყინიშა მუს ვარბინე,
ეშ მასქვამა ვარდას, მორო?..

აბა ნამუს გითაღინე
ე ზოთონჯი თოლისერი!..
ღორონთი, სქვამას გომთანე დო
ღორონთი, სქვამას დომისერი!..

* * *

ქვარა რძლათას ვემიაშქვა,
დიო სო რე თანათა,
ე პიჩვანს ლებიაშა
ღუმუში ელაწაწათას

შურო მუ უკგუ,
ნტკორუნქ თიშენი,
სქან ომბარალ დომბარე,
ნამთინ კობუ ირჩინუ დო
ნამთინ ჯგირო ტომბა რე.

ჟუმანერი დღაში მოძირავა

ოროიას ალახე
ჩე დედიბი ხვალახე.

ოგვაჟეს კარგალით
სუმ დუდვალუ მარქვალი.

სუმშა გაგმუკვანწე ონწე,
ურდე სქუა, მუში მონძე.

სუმი ურდე ერცქემი,
ღორონთ, მარდი ქვერსემი!

სუმი ურდე ყილო,
ვეკოროცხე კილო.

სუმიხოლო ქომოლი
ომბოლობაშ ორზოლით.

სუმი ყა რე ფალირი,
სუმი შარა – ხარილი,
ხანდა ვარე დინაფილი,
თაში ყოფე ჭარილი.

სკუალეფიშ ჯირობუათ
ხომ მუთუნს ვადალახე,
ოროიას ალახე
ჩე დედიბი ხვალახე.

მუდა სერ დო მუდა თუთა...
სუმი ბჟა დო სუმი თუთა...

სუმ ხორუა, სუმ მენდი,
მუქ ილუას ეშ მეტი.

მიტკვარჩალუნა მოთალეფი,
მურ დო გურიშ ორთალეფი...

.....

ოროიას ალახე
ჩე დედიბი ხვალახე...

შპვითი ტანკა

* * *

სასათვლაშე დიხა
ქინოკინე, გონჯამე.
— ეკვოთვშათ მალას,
ვაოძირათ დიაჩქინს, —
დიუფხორეს სქუალეფქ.

* * *

წკურუმია სერს
ეიპოპორგ ბორიაქ,
იუმინუ თეში,
მერეთის იჩიებუ,
ტყურა-ტყურას ბარდღალანს.

* * *

თიშნერო თანდუ,
უიშე მურს ძალეფი, —
შულადა მეურს, —
თოლიშინთეთ ითშათუქ,
მოინარტუანს ხანდებას.

* * *

იახა, თაშ რე,
მეღირჭკვინუნს ქიანა,
ჩქი ხოლო მეპუნთ,
თის მუ ოლირწვინუანს,
ცოდათ ვარდას დობურზილი?!.

* * *

რულაიათგ
ბაღანობა გენკომუნი,
ცირობუა გენკომუნი,
აჭ დო გაჭით მირულექ,
ბორჯი, სო მინჭუათუე?..

* * *

წყარს უი მა ვორექ,
წყარს თუდო – ჩქიმი ლანდი,
დუდს ლანდო ორნყექ,
დუდს ლანდო იჩინენქ დო
შხვას რენო ვაჩირთუექ?

ძირაშ ძალა

ბუა ვალუნს ძიცას,
ბუას წყურგილეთ მაბარჩხალა,
ინივარკალა ცა,
ბუა, წყურგილ დო ცა ართო –
ძიცაშ ძალა მერჩამდას!..

ოთხი ჰაიკუ

* * *

კოჩგ თისხი რექ,
მუშ ორან გილა მუკმუკი,
მუსუთ იგინანქა.

* * *

ოროიაშვერა
შურეფი გილევალუნა
წკურუმია სერს.

* * *

ნოქური გოსქიდა,
ჸვეშიშჯვეშიქ მოიჩინა
გილართე სქვამას.

* * *

გურს მიდგა რცუნს,
თოლეეფშათ ინოიხე
მუდგა ქიმინე.

რას მეტყვის სამთცლამებთე?..

ს პ პ პ პ შ პ ტ

(0 ლ 0 – ბ 0 ლ 0 ს ლ ე ჟ ს ე ბ 0)

(წაუკითხეთ 2-3 ნლის პატარებს, რომლებსაც ჰქვიათ ილია)



ჭუპა-ჭუპა

ილის უყვარს ბანაობა,
ერთიანად გაილუმბა,
გაისაპნა გულ-მკერდი და
ჭუპა-ჭუპა, ჭუპა-ჭუპა!..

ილიმ ხელი ხელს შემთკრა,
ფეხი ფეხთან შეატყუპა,
რა კარგია საპნის ქაფში
ჩაწოლა და ჭუპა-ჭუპა!..

0ლია და ჩრდილი

თავის ჩრდილს რომ გაეკიდა,
განა გასაკვირია?
ჯერ წლისაც კი არ არის,
ჩრდილს არ იცნობს ილია.
შუქი როცა მოგანათებს,
ჩრდილს დაგიფენს, ილია.
შენ მოძრაობ – ის მოძრაობს,
ის ხომ შენი ჩრდილია?..

ოითები

შეხე, შეხე, რა გქონია,
რარიგ გასაკვილია,
ერთ ხელზე გქვს ხუთი თითი,
მეორეზეც, ილია.
თრივ ხელზე ერთად
უპყვე ხუთი წყვილია,
თითებს პირში რა უნდა,
თითს ვერ შეჭამ, ილია.
არ იჭმევა, არ არის
ბლითები და ვაშლია,
მომუჭავ და ვაშლია,
მომუჭავ და ვაშლია.
ჭამის წილი არ არის,
თითი შრომის წილია,
ამ თითებით რამდენ რამეს
გადკეთებ, ილია.



პილგელი სიჭყვა

ეს რა ვნახე, ჯერ როდესაც
სიტყვის თქმას ვერ ვბედავ,
მამას უნდა, პირველ სიტყვად
მათქმევინოს „დედა.“
ამიჩემა, ტკბილიათ
სხვა სიტყვებზე მეტად,
აბა, თქვით, აბა, თქვით
დედა, დედა, დედა.
კიდევ უფრო გასაკვირი!
რაღას ვხედავ ამას,-
დედას უნდა, პირველ სიტყვად
მათქმევინოს „მამა.“
მამის ფასს თუ ვერ მიხვდები,
რამ გამოარდოს, რამა?!.
აბა, თქვით, აბა, თქვით
მამა, მამა, მამა.
ჩემთ დედი, ჩემთ მამი,
ვიცი, კარგად ვხედავ,
რომ ყველაზე ძვირფუბსი
მამაა და დედა.

პიჭები

ბებოს ისე უხარია,
რომ ამთმდის კიჭები,
მინდა ხშირად ვანახო
და მუდამ ვიკრიჭები.
ის კი აღარ მანახებს
და გამიჩნდა იჭვები:
მგლი, ბებოს არა აქვს
ჩემისთანა კიჭები.

ძლიერი

ჩემს გაწოდაში დედისა და
მამის დიდი წელილია,
მამა ისე ძლიერია,
დედა ისე ფრთხილია,
ამაგო თუ დაგუვიწყო,
მე არ ვიყო ილია!..
ოლონდ ერთი ვერ გავიგვი,
მართლა გასაკვირია, —
მამა გადაბლილია,
დედა გადაბლილია...
მათზე ბევრად ძლიერი
ხომ ვყოფილვარ ილია?!

80ც0

ბებო ზრუნვით დამტკრიალებს,
თითქოს ნიავქარია,
ვიცი, ვიცი მშვენივრად,
ბებოს ჰაც უნარია.

მამას ვხედავ ღიმილიანს,
დედას – სახემხიარულს, –
ერთი წელი მისრულდება,
უკვე ვიწყებ სიარულს.


0ლ0ა და ბაჭია

სკუპა-სკუპა ბაჭიანმ
სათამაშოდ გასწია,
ილი-ბილი მიპყვება,
ისიც ციცქნა, ბაწია.

სკუპ!- იძანის ბაჭია,
სკუპ!- იძანის ილია,
თამაშობენ რა კარგად,
მეგობრული წყვილია.

გზეო

გაღმოშალე სხივი
მზეთ, მზეთ, მზეთ,
მოგვაფინე სითბო
დედამიწაზეთ.
შენ სიცოცხლე მოგყავს,
შენ ხალისი მოგყავს,
მათამაშე შენთან,
დამიბრაწე ლოყა.



806 გარ?

ვინ თქვას, ვინ ვარ? ბებუნას
გულის ტკბილად ძგერამთ,
მისი თვალისწინი ვარ,
მისი გულის მალამთ.
ვინ თქვას, ვინ ვარ? მგონია
მისახვედრობდ ადვილი, —
მისი კოკოჭინა ვარ,
ნაფვრისთვალი ნამდვილი.

ორპეოგილი

ბებოს მთაქვს ილი-ბიჭთან
თრუნთბილა დაცუნთბილი,
წრუნუნასებრ ახრამუნებს
თრუნთბილებს ილი-ბილი.

ილის თავის ბებოსთან აქვს
საქმეები ჩაწყობილი:
ბებო მოზელს, აცხობს, ბრაზვეს,
ახრამუნებს ილი-ბილი.

ჰაზოგელა

რა ხდება და რატომ ხდება,
მუდამ რომ მსუკს ვიცოდე,
ამიტომაც აღგნენ და
რატომელა მიწოდეს.
რატომ გინდა, ნიავთ,
ფოთლებს სული უბერთ,
ნეტავ საით მიცურავ,
ფორთაქათქათა ღრუბელო?
ნეტავ კმეფა სურნელისა
არის ვარდის სიცოცხლე?
რას ამბობ და რატომ ამბობ,
მინდა, ჩიჭო, ვიცოდე.
ნეტავ ლამეს რა ათენებს
ამ ზეცატე მთლიანად?
ეს მზეცეცხლა ამ ლაშვარდზე
რამ ამთაბრიანდა?..

ნეტავ ფისთ რად არის
ძალლთან გაუბედავი?
ცუგო მუდამ თავს რომ ესხმის,
რატომ, რატომ ნეტავი?..

დედისები

აბა, უიღას ვეთამაშო?
მე ვარ ბიჭი დედისებოთა.
და რომ მყავდეს, ძმა რომ მყავდეს,
ვითამაშებ მათთან ერთად.
დედი, მამი, ვინმე მინდა,
სიხარული რომ გავიყოთ,
სწრაფად უნდა მომიყვანოთ
ან დაიკო, ან ძამიკო.

წპუპა-წპუპა წვიმა

წპუპა-წპუპა წვეთი,
სულაც ერთი ციდა,
წამოვიდა უცებ
მოწმენდილი ციდან.
მზე რომ პის იბანსო,
ასე იყო წვიმა,
წპუპა-წპუპა წვეთები
მძიმედ ჩამოჭიმა.

ქუჩა

დედისა და მამის გვერდით
ღინჯად, შშვიდად, ნელა-ნელა
მიაბიჯებს ნეკისნელა
ილი-ბილი ბიჭუნელა.

შშობლებს ხელში ხელს ჩასჭიდებს
და მიღიან ფრთხილად ასე:
ილი თავის გზაზე მიღის,
მანქანა კი – თავის გზაზე.

დედ-მამას ვინც ხელს ჩასჭიდებს,
შენც იცი და იცის ყველამ,
საფრთხე აღარ ემუქრება,
ილი-ბილი ბიჭუნელა.

ჰინტერი

ჭანჭი-ჭუნჭი-ჭინჭარი,
ბუსუსი მაქვს ცინცხალი,
აბა, ხელი შემახეთ,
მანდ გულადი ვინც არი.

სულ არ მინდა ბუსუსი,
არის დასაფიცარი?
თ, როგორ მენატრება
მთფერების მისნალი!..

თამაშით რომ გულს ვიჯერებ,

კი არ მივყრი უალაგოდ,
ყველა ჩემი სათამაშო
კოხტად უნდა მივალაგო.
დედა, მგონი, ჩამიხუტებს,
მომიწინებს მამა ძლიერ
და ნეტავი რა სიჭყვებით
შევიქები ბებს მიუჩ?..



დედის თვალები

ეს თვალები ვისია,
ასე გასახაოები?
თითქოს ცატე გაეკრა
ცისაბოტყელის რკალები.
მზით სავსებ თვალები,
დივლი-დალალალები,
ასე შვილს ვინ შეხედავს?
მხოლოდ დედის თვალები.



გადაბეჭდი

მანქანების სავალ გზაზე
მიცოცავდა ლოკომინა,
აიყვანა, ღობის ძირას
მიუჩინა ილიმ ბინა.

შეხეთ, როგორ გაიხარა,
ილიმ რომ გადაარჩინა!..
სიხარულით გაცოცდა და
გამოცოცდა ლოკომინა.

რა კეთილი ბიჭუნა გეყავს
ილი-ბილი პაწაწინა!..

ზღვაზე

ზღვის ჭალლასთან ვთამაშობ,
თბილია და მიზომ,
ფეხუნიებს მისველებს,
მკონის ვითომ-ვითომ.
ილი-ბილი, მთდიოთ,
დაძიძებებს თვითონ.
ცურვა უნდა ვისწავლოთ,
მართლა, განა ვითომ.

ბალში ვსწავლობო მეგობრობას

ბალში ვსწავლობთ მეგობრობას,
როგორ? გვნახეთ, მიხვდებით,
მასწავლებლის თანდასწრებით
ვიჩნეუბებთ, შევრიგდებით.
სადაც ჩვენ ვართ, ცელქობა
და ხალისი იწყება,
რაზეც კი გვიჩნეუბია,
ხუთ წუთში გვავიწყდება.
ჩვენ აქ ვსწავლობთ პატივებას,
ვსწავლობთ გულლიათობას,
დიდი-დიდი ხუთი წუთით
ჩვენი ბუჭიათობა.
ბალი მთელი ცხოვრების
დიდ საჩუქარს გვიკეთებს,
ჩვენ აქ ვსწავლობთ მეგობრობას,
შერიგებას, სიკეთეს.

სპეციალისტი

მრწამსი	3
*** თვალსაწიერში თვალუხლები როგორ შემოვა	4
მსგავსება	5
იყო და არა იყო	6
*** პოეტებს – საკუთარ თავში ჩაგროვილ ადამიანებს	7
გზა	10
*** როცა მიღანიდან ვბრუნდები	11
*** წინაპრების ძვლებითაო... მითი როდია	11
*** გამოველ გარეთ	12
კადრის აჩქარება	13
*** ათასწლეულთა ნელ სუნთქვაში დრო მომდუმარებს	14
*** ისე ჩასკუპდა გუბეში მთვარე	14
რას მეტყვის სამოცდამეათე?!	15
უჩინარმყოფი	16
*** წაილილინა სადღაც ახლოს მეზობლის ბავშვმა	17
*** მოდი, დავიმალოთ მეტაფორაში	17
გამშველებელი	18
*** ზეცამ წვიმა გვიფეშქაშა	18
სიყრუისა	19
კარგად დახელოვნებული ღარიბი მსახიობი	20
მინიმები	21
საოჯახო ფოტოალბომი	22
სატელევიზიო ბათქიბუთქები	22
სალიმილო	24
ხმა	25
როცა აივნიდან ცას ასცქერი	26
საღამო. ბალი. ჩრდილები	26
სასაფლაოზე	27
*** მოვალო და	27
*** ვერაფერს წაილებო	28
*** ღმერთო, მომეცი ძალა	28
ოცდამერთეშიაც	29
დამლაგებელი	30

ალკპაიმერი	31
შელოცვა	32
გასაღები	33
ფრაგმენტი	34
*** ზღვავ, თუ ენა დაიდუმო	35
*** ეგ ღამე რა ღამეა, ვინ იცის	36
*** ბოლოს და ბოლოს ჯიკავ-ჯიკავით	37
*** საკვირველებავ	38

პამელა ჯოუნსი – ლექსები (თარგმნა ზეინაბ სარიამ)

*** ტყულუმპ!	40
*** Splat!	41
*** რა კარგი იყო საღამოს კრუიზი	42
*** What a good evening cruise that was	43
*** დედამიწის ამ ნაჭერზე ვარ	44
*** I'm on this piece of Earth	45
*** მოვდივარ და მომყავს სხეული	46
*** I'm coming and bringing the body I reside in	47
*** აღარ არის	48
*** It's gone	49
*** ორიოდ დღისავ	50
*** Of barely two days old	51
(ბუნებისაგან ნასწავლი სქემები)	52
(Schemes learned from nature)	53
გრიგალივით	54
Like a Storm	55
პეპლის ფარფატიც წესია და გავიმეოროთ:	56
Butterfly's Fluttering is Also a Rule and Let's Repeat:	57
*** გადაადგილების დიდოსტატი ვარ	58
*** მამაჩემს რომ პყავდა თეთრი „ტოიოტა კოროლა“	59
*** როცა მარტო ხარ	60
*** დღეები, ჭიპლარით პურის მაღაზიასთან მიბმულები	61
რასაც პამელა არასდროს დაწერდა	62
*** რა დროა	63
*** რეალობის ურჩხულები როცა აეშვებიან	64

*** გზები, არსაიდან არსაით	64
*** იმან იმას შესთავაზა	65
*** დახოცილი დღეები გამოვცოცხე	66
*** შეხედავდნენ და – ორი თვალი	67
ბამბის კამფეტი	68
*** სისხლის სამართლის კოდექსის წკეპლა	68
ზღვაზე – წირები	69

ერთსიტყვიანი ლექსები 71

და სხვა ლექსები ...

*** ორი სტიქიის ხმა შემომესმა	78
*** სიჩუმეს ამბობს ყოველი ლოდი	79
*** ვისთვის ცაა დედა და ვისთვის – მინა	80
*** ვარ პლანეტაზე, სადაც სიცოცხლეს შენი სახე აქვს მხოლოდ ერთ-ერთი „მე“	81
ახდენა	82
აი, თურმე...	83
როგორლა?..	84
დიქტატურა	85
*** ხეს ხორციელზე წრფელი ხმა აქვს	87
ნამი ბალახზე	91
ანაქრონიზმი	92
*** გსტუმრებია სტუმართაგან ულამაზესი ძველი რვეულიდან	93
*** წინ ვინ მიცდის	95
*** მზემ მასესხა თვალში სხივი	96
*** რაა ის?	96
ტრიპტიხი	97
ნულებს აკაწრული	98
*** ვარდო, ბალლივით მიამიტო	106
სურები	108
ნიჟარა	110
*** სამყარომ და მე	111
*** „ამ ცხოვრების ნახევარგზაზე“	112
	113

ზეინაბ სარია	
*** გარინდებების კრიალა ბროლში	114
*** ვისაც რა გვიყვარს, იმით ვქეიფობთ	115
*** მზე რომ ჩადის და	116
გზები	117
ქარაგმა	118
მედეა	120
*** ყოველდღიური ფაციფუცებიდან	124
*** „დამავიწყდა“ ვეება ტომარაა	126
მიტყვი?!.	127
რად მოველ წვიმად	128
სარკესთან	130
*** მზემ მომახალა ტალღები და	132
*** შემომაცრემლა ეზომ სიყრმის მოგონებები	133
კაფეში ანუ ნატურმორტი ლექსებით	134
*** ენგურს დარდი გავატანე	135
*** გასწრებაზეა წუთის სიცოცხლე	136
*** წუთისოფლის გულისგულში რა არი	137
მზეს გაუთავდა სხივი...	138
*** სულ უბრალო რამ ყოფილა	140
ჩახუფვა	141
*** მზემ დასავლეთით რომ იბრუნა მღიმარი ლოყა	143
*** რომელი უფრო ფრინველია	144
სამშობლო და მისი მიტინგები	145
არის სიტყვები...	146
კანონი წასვლა-მოსვლისა	147
ირონია №1	148
ირონია №2	150
*** მოვისაკლისე, გავიხედე და	152
სიხარული	153
*** არის ასედაც	155
*** სიტყვები, რომლებიც ნაადრევად ამოდიოდნენ	156
*** ვის შეუძლია მითხრას	157
*** ჩემთან ერთად ვზიგარ და ვამბობ	158
*** რაო, სიკვდილო, რას დამდევ	160
*** ...და გაუბადრუკდიდდა აქაურობა	161
*** მოიქნევს ომი მოპირულ ცელს და	160

*** მოადგი შენი პლანეტა ჩემსას	163
*** მოთმენის ზარდახშიდან ამოჯავრიანდა	164
*** ფრთხილად!..	165
*** რას მიცოდვილობ, სოფელო	166
ბავშვობის სახლი	167
*** მოვისაკლისებ განა იქით მიწის ნამცეცებს	168
*** შესე	169
სამოთხე და პოსტმოდერნისტული გაფიქრება	170
*** სიხარულის თუ წუხილის ყოველი ყლუპი	171
*** ვინ გიმახსოვრებს	172
*** ვისხედი, ვბაასობდი უთვალავ „მე“-სთან	173
*** სიბერის ბზარი გასჩენია	174
COVID 19	175
*** რაღაც ისე ულაზათოდ	176
*** ცხოვრება ბურუსია	176
*** დუმილის ლოდი ავხსნათ სათქმელებს	177
*** იმ ქვებში ნეტავ რა შედედდა	178
რა არის წარმატება?!.	180
*** გადავთაროთ აბსურდი	181
*** ამა წლის ამა და ამ თვის ამ რიცხვში	182
*** ზღვამ გამაზავა წუხელ წყალლრმაში	183
*** ყველამ თავის უფსკრულებს მიხედოს	184
*** მე ვიცნობ გოგოს	185
*** სადა ხარ?	187
*** წარმოსახვაში იფურცლება	188
*** სასარგებლოა მარტოობა	189
*** მოგსანთლებივარ	190
*** უბედურება?	191
*** ვინ ჩაკეტა სიტყვა „სიხარული“	192
*** შვილის დაბადების დღისთვის	194
*** მმობლების შემდეგ დედამიწის ღერძი ჭრიალებს	195
*** უძვირფასესი ქსოვილია დუმილი ახლა	196
მერე	197
წასვლა	198
პანდემიური	199
პირბადე	201

*** ეს ზღვა სხვისია	202
მოთვალთმაქცდა მელია	203
*** გამომცემელმა არა, არ ვარგაო ეგ სურათი	204
*** ნაპიზე ზის და ლილინებს	205
*** ერთს მიაქვს სათლი, კრიალით სავსე	205
*** აფხაზმა საძმო ფიალაზე ამიკურა ხელი	206
ენგურის ხიდთან ნაფიქრი	206
*** მან უკვე იცის	207
*** უთხრეს, კარგი ლექსიაო	208
წარუმატებელი წარმატება	209
*** ორფანჯრიანი სივრცეა აწმყო	209
რაიმე ისეთი...	210
*** დაფარულიდან გამოაღწია	211
*** დადიანების ბალში კი არა	212
წიგნის კანონი	213
თალია	214
ლექსად მინატრე!..	215
*** საიდან გეცოდინებოდა?	216
*** მე ვამბობ ბალახს	217
*** მზის სისტემის პლანეტიდან ვარ	218
*** შეუძლებელში გადავიხედოთ	220
*** უთვალავი აყირო	221
*** რიცხვები ჩამოჩუმდნენ ქვედა სფეროებში	222
...და რაა კაცი?..	223
*** გზანვრილი გამყავს ოცნების	224
*** ცდა ორმარცვლედისა	224
სიურპრიზი	225
ბაზარში	226
*** მიხვდა მახვილს	227
*** შემეძლო წლობით მცმოდა კაბა უჩინმაჩინის	229
*** შემოჟივეუდა დილა უმანკო	230
*** ...და გადაგვივლის უამი უუამო	230
*** იძრა ვეება სინანული	231
ცოდვა-მადლი	231
*** ჩემი გულწრფელი სალამი	232
*** ...და მოგვიყოლა ენგურის	233

*** ადულდა ცოდვა სოდომ-გომორში	234
სიყვარული	235
*** ორი სამყარო შემომეფეთა ადამეთში	237
გურმანის ეპიტაფია	237
*** რეცეპტი შურის დასაძლევად	238
*** ოცნება და ტყვილა	239
*** ადამიანს საკუთარ სიღრმეშიც	239
*** ლამეზე ნაღდი ვინა გყავს სადმე	240
გრიგალში ნათქვამი ლექსი	241
ზარდახშა	242
სასაფლაოზე ვიყიდე მიწა	243
ფატმან-კარმენი	244

ჩაყრუებულრითმიანი ლექსები

*** სიტყვამ მისცა ბინა	246
*** რუმპა-რამპა-რამპარა	227
*** თითებშუა როგორც სილა	248
*** სანთელი ადნობს ზღვარგამყოფ ფარდას	248
*** ნისლის ჩამოდგა ბოლი	249
*** ჭირი რაღატომ გავგზავნო იქა	250
*** ...და ზარდახშაში გაგროვე, სიტყვავ	251
*** ჰოი, მზევ! ჰოი და ჰოი, ცავ	252
მთავარზე – ძალიან მარტივად	253
*** გლეხმა თქვა: „ჩალაც ალარა ჰეურავს“	254

მეგრულები

*** კურცხას ორდა, კურცხას	256
*** სოდე ოფუნუანდესენ	257
*** გოთანთალერი გოთვა თუთა	258
მითინს ვაუჩეუ მუთუნი	259
*** ორთა ნგერს ვაგუნია	260
ნამ რე ათაქ გურ-მარგალი	261
*** ეთი შარას ტყობუ ლურუ	262
გემანგარი, სამარგალო!..	263

*** კოჩანიერ ღურელს – მარდი	264
მუშა გოშქურ...	264
*** კოჩი მუ ცოფე! მუდგა თის	265
*** სამართალი ვეშაპუნა	266
*** რინა ქოისხუნა ულაშა	267
*** როგუნჯი მურსე დო მომერეხანსე	268
ტყაშ მაფა დო ოჩოკოჩი	269
ზოთონჯი	270
*** ქვარა რძლაფას ვემიაშქვა	271
ჭუმანერი დღაში მოძირაფა	272
შკვითი ტანკა ტანკა	274
ოთხი ჰაიკუჟაიკუ	276
 საბავშვო (ილი-ბილის ლექსები)	
ჭუპა-ჭუპა	279
ილია და ჩრდილი	279
თითები	280
პირველი სიტყვა	281
კიჭები	282
ძლიერი	282
ვიცი	283
თამაშით რომ გულს ვიჯერებ	284
მზეო	284
ვინ ვარ?	285
ორცხობილა	285
რატომელა	286
დედისერთა	287
წკუპა-წკუპა წვიმა	287
ქუჩაში	288
ჭინჭარი	288
ილია და ბაჭია	289
დედის თვალები	290
გადარჩენა	291
ზღვაზე	291
ბალში ვსწავლობთ მეგობრობას	292

ზეინაპ სარია – დაიბადა 1954 წლის 5 მარტს.

ინტერესების სფერო: უახლე-
სი ქართული ლიტერატურა. სა-
კანდიდატო დისერტაცია – 1996
წ., სადოქტორო – 2006 წ.



ქ. ზუგდიდის №2 საჯარო
სკოლაში სამ ათეულ წელზე მეტ-
ხანს იმუშავა ქართული ენისა და
ლიტერატურის მასნავლებლად.
1976-2006 წლებში ჩამოაყალიბა
და უხელმძღვანელა ნორჩ შემოქმედთა წრე „ფიფქებს“, რო-
მელზეც საბჭოთა პერიოდში არაერთი ტელეგადაცემა მომ-
ზადდა. 1991-2005 წლებში კითხულობდა ლექციებს ზუგდი-
დის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობდა
თავის მიერ დაარსებულ ლიტერატურულ წრეს. 1996-2006
წლებში უძლვებოდა რამდენიმე სასწავლო კურსს თსუ ზუგ-
დიდის ფილიალში. აქვე დაარსა ლიტერატურული სალონი
და ჟურნალი „მაფშალია“. 2007 წლიდან დღემდე კითხულობს
ლექციებს უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში
შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. ასე-
ვე უძლვება რამდენიმე სამაგისტრო დისციპლინას. 2007-
2015 წლებში იყო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა
კრებულის რედაქტორი, უძლვებოდა სამცნიერო მუშაობას.
დაბეჭდილი აქვს მონოგრაფიები, 60-ზე მეტი სამეცნიერო
ნაშრომი. 2012-2017 წლებში არის თავის მიერ დაარსებული
შემოქმედებითი გაერთიანება „ებგურის“ ხელმძღვანელი. მისი
ინიციატივით 2017 წელს გაერთიანებასთან დაარსდა სალიტე-
რატურო ჟურნალი „ებგური“, ხოლო „ებგურთან“ – გრანელის
სახელობის სალიტერატურო პრემია. გამოცემული აქვს პოე-
ტური კრებულები: „ვინძლო, მიხსნას ლექსმა“, „ჰპა?!“, „ვინც
ამ წიგნს არ წაიკითხავს“, „ჭრილობისფერი ლექსები“. არის
თარგმანებისა და კოლხური ლექსების ავტორი.

ISBN 978-9941-493-64-5



9 789941 493645